

მოცემული დანართი წარმოადგენს, ბაზვი 1 ჰესის თანამშრომლების მიერ, 2021 წლის მაისიდან, 2021 წლის ნოემბრამდე ჩატარებული ძირითადი შეხვედრების ოქმებს. *(გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა აღემატება წარმოდგენილი ოქმების რაოდენობას, რადგან კომპანიის წესის მიხედვით, ხდება მხოლოდ ძირითადი შეხვედრების დაოქმება).*

ოქმებში მოცემულია ინფორმაცია, სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან გამართული საჯარო შეხვედრების შესახებ.

შეხვედრის ოქმი # 1

საჯარო შეხვედრა და ბაზვი 1 ჰესის პროექტის განხილვა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 5 მაისი, 2021

მოკლე რეზიუმე

შეხვედრა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის ინიციატივით შედგა, რომელთაც სურდათ დამატებითი ინფორმაცია მიეწოდებინათ საკრებულოს წევრებისათვის ბაზვი 1 ჰესის შესახებ. თუმცა, შეხვედრა ღია იყო ფართო საზოგადოებისათვის და მას ადგილობრივები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ჯამში, შეხვედრას 40-მდე ადამიანი ესწრებოდა. CCEH-ის დირექტორმა პროექტის შესახებ ზოგადი პრეზენტაცია წარადგინა, ხოლო პროექტის მენეჯერმა ტექნიკურ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება. CCEH-ის ESG მენეჯერი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს შეეხო.

პრეზენტაცია კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. საკრებულოს წევრებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მრავალი კითხვა დასვეს. ბაზვი 1 ჰესის პროექტთან დაკავშირებით, ადგილობრივებს, ძირითადად, შემდეგ ასპექტებზე სურდათ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება:

- პროექტის დეტალური ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA), რომელშიც ნაჩვენებია იქნება პროექტის შესაძლო უარყოფითი ზემოქმედება ადგილობრივ გარემოზე და ის სარგებელი, რომელსაც პროექტი ადგილობრივ მაცხოვრებლებს მოუტანს;
- პროექტის ჰიდროლოგიური ნაწილი, განსაკუთრებით, თუ რა ზემოქმედებას იქონიებს წყლის ნაკადის გადაადგილება მდინარის ცოცხალ ორგანიზმებსა და მიმდებარე ჰაბიტატებზე, როგორი იქნება მდინარისათვის განსაზღვრული მინიმალური „ეკოლოგიური ხარჯი“ და ამ მაჩვენებლების გაანგარიშების მეთოდოლოგია;
- ბაზვი 1 ჰესის მშენებლობის შედეგად შექმნილი წყალსაცავის გავლენა კურორტ ბახმაროს კლიმატზე.

ადგილობრივების მოთხოვნა იყო, ბიომრავალფეროვნებაზე, ჰიდროლოგიასა და კლიმატზე ზემოქმედების კვლევები კომპეტენტური და სანდო უცხოელი ექსპერტების მიერ ჩატარებულიყო. CCEH-ის გუნდმა აუდიტორიას განუმარტა, რომ აღნიშნული კვლევები ნამდვილად სოლიდური და გამოცდილი უცხოური კომპანიისა და ექსპერტების მიერ ჩატარდება, რაც აღარ დატოვებს ეჭვებისა და შეშფოთების საფუძველს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ კონსულტაციები და განხილვები დეველოპერ კომპანიასა და ადგილობრივ საზოგადოებას (მუნიციპალური მთავრობა, არასამთავრობო სექტორი და ადგილობრივი აქტივისტები) შორის კვლავაც გაგრძელდება.



შეხვედრის მონაწილეები:

- CCEH-ის წარმომადგენლები:
 - მიხეილ ნიბლაძე, დირექტორი
 - ნანა ბერძენიშვილი, ESG მენეჯერი
 - გიგლა სიხარულიძე, პროექტის მენეჯერი
 - ნიცა ჩოლოყაშვილი, PR მენეჯერი
 - დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები:
 - ირაკლი კუჭავა, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი
 - ზაალ მამალაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
 - კობა კალანდაძე, საკრებულოს წევრი (სოფ. ხიდისთავიდან არჩეული)
 - მაია პაიჭაძე, საკრებულოს წევრი
 - ქეთევან სიხარულიძე, საკრებულოს წევრი, საინიციატივო ჯგუფის - „არა ჰესს ბახმაროში“ წევრი
 - დავით ბერძენიშვილი, საკრებულოს წევრი
 - მანანა მინდაძე, საკრებულოს წევრი
 - და სხვები. უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს 38 წევრიდან შეხვედრას მხოლოდ დაახლოებით 15-20 ადამიანი ესწრებოდა. საკრებულოს წევრების სრული ჩამონათვალი და საკონტაქტო ინფორმაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის [ოფიციალურ ვებგვერდზეა](#) ხელმისაწვდომი.
- არასამთავრობო სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება:
 - ირმა გორდელაძე, გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია “ECO”-ს დამფუძნებელი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი სოფ. ბაილეთის საჯარო სკოლაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

- ვახუშტი მენაბდე, დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი, კონსტიტუციონალისტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)
- თამაზ ტრაპაიძე, ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)
- გიორგი (გიგო) ბერიძე, აქტივისტი, ადგილობრივი მცხოვრები
- კოკა კილურაძე, ადგილობრივი მცხოვრები, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი

• მედია:

- პირველი არხი
- იმედი ტვ
- რუსთავი 2
- მთავარი არხი
- ტვ პირველი
- გურია ნიუსი

კითხვა-პასუხი:

პრეზენტაციის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, დაისვა შემდეგი კითხვები:

#	ავტორი	კითხვა	პასუხი
1	არასამთავრობო სექტორი	პრეზენტაციის დროს გარკვეული გაურკვეველობა გამოიწვია ჰიდროლოგიური მონაცემების ცხრილმა. აუდიტორიას სურდა გამოყენებული ტერმინოლოგიის განმარტებები მოესმინა (მაგალითად, რას ნიშნავდა ტერმინი „ეკოლოგიური ხარჯი“), როგორ და რა მეთოდოლოგიით მოხდა მონაცემების შეგროვება და გაანგარიშება.	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ბაზვი 1 ჰესის სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის ოდენობის განსაზღვრა დეტალური პროექტის დამუშავების ეტაპზე მოხდება და გზშ-ს ანგარიშში აისახება. საქართველოში, წლების განმავლობაში მსგავსი ჰესების დაგეგმვის დროს ეკოლოგიურ ხარჯად 10%-ის დატოვების მიდგომას იყენებდნენ. სკოპინგის ეტაპზე წყლის ხარჯად 0.29 მ³/წ განისაზღვრა, პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიებზე არსებული მცირე შენაკადების წყალიც შეემატება ამ ოდენობას. პროექტის მონაკვეთზე,

		<p>მდ. ბახვისწყალს სხვადასხვა ზომის 32 შენაკადი უერთდება, რომელთა ჯამური საშუალო წლიური ხარჯი 0.332 მ³/წ შეადგენს. შენაკადების წყალი მდინარის გადაღების სხვადასხვა მონაკვეთზე შეუერთდება, რაც, უდავოდ, მდინარეში წყლის ოდენობას გაზრდის. თავის მხრივ, ეს პოზიტიურ შედეგს იქონიებს წყლის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების თვალსაზრისით. სათავე ნაგებობის საპროექტო განივ კვეთში მდ. ბახვისწყლის საშუალო მრავალწლიური წყლის ხარჯი 2.44 მ³/წ შეადგენს. აქედან გამომდინარე, სკოპინგის ეტაპზე გაანგარიშებული მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი (0.29 მ³/წ) საშუალო ხარჯის ≈12%-ს შეადგენს. მდ. ბახვისწყლის საპროექტო მონაკვეთზე, მდინარე მოედინება V-სებურ ხეობაში, რის გამოც მდინარის კალაპოტი ერთიანია, არ გვხვდება განტოტვა, რისი გათვალისწინებითაც არ მოხდება ეკოლოგიური ხარჯის კალაპოტში გაბნევა. ბიოლოგიურ გარემოზე წყლის ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა მდინარის კალაპოტის გამოკვლევას ითვალისწინებს ყოველი წყალდიდობის შემდეგ და, საჭიროების შემთხვევაში, კალაპოტის რეგულირებას იხტიოფაუნის ჰაბიტატისა და მიგრაციის პირობების შესანარჩუნებლად. ეკოლოგიური ხარჯის ოდენობის სისტემატური კონტროლის მიზნით, სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში ავტომატური ხარჯის გამზომი მოეწყობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ხარჯის ონლაინ აღრიცხვა, ხოლო შემდგომ შედეგები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის</p>
--	--	---

			<p>სამინისტროს გადაეცემა. ბაზვი 1 ჰესისათვის ეკოლოგიური ხარჯის გაანგარიშება იგივე მეთოდით მოხდა, რომელიც მოქმედი ბაზვი 3 ჰესის შემთხვევაში იყო გამოყენებული. მდ. ბაზვისწყალზე მოწყობილი ბაზვი 3 ჰესის ეკოლოგიური ხარჯის ოდენობა საკმარისია ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, რაც ასევე დასტურდება არსებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგით, რომელიც წელიწადში ორჯერ ხორციელდება დამოუკიდებელი, მესამე მხარის მიერ.</p>
2	ჩოხატაურის მერი - ბ-ნი ირაკლი კუჭავა	<p>კითხვა ეხებოდა წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობს და თუ რა ზემოქმედებას იქონიებს ის კურორტ ბახმაროს კლიმატზე</p>	<p>კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მსგავსი მცირე ჰესებისთვის არ არსებობს გაანგარიშების სათანადო მეთოდოლოგია, ვინაიდან მისი სარკის ზედაპირი იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მან კლიმატის ცვლილება გამოიწვიოს მიმდებარე ტერიტორიაზე. თუმცა, თუ მსხვილი ჰესებისთვის არსებული სარკის ზედაპირების ზემოქმედების გაანგარიშების მეთოდოლოგიით ვიხელმძღვანელებთ, რაც ბაზვი 1 ჰესის მიმართებაში არაზუსტი იქნება (იმის გათვალისწინებით, რომ ეს გაანგარიშებები მხოლოდ მსხვილი ჰესების შემთხვევაში გამოიყენება), დაგროვილი წყლის გაანგარიშებული ზემოქმედების არეალი უმნიშვნელო იქნება და მაქსიმუმ 200 მ-იანი რადიუსით შემოიფარგლება. თუ გავითვალისწინებთ, რომ მანძილი სათავე ნაგებობიდან ბახმაროს საკურორტო ზონამდე და უახლოეს დასახლებებამდე მნიშვნელოვნად აღემატება 200 მ-ს (630 მ და 1 760 მ ჩადრეკილის დასახლებამდე და ბახმაროს საკურორტო ზონამდე, შესაბამისად), კლიმატური პირობების</p>

			<p>ცვლილება მოსალოდნელი არ არის. გარდა ამისა, დაგეგმილი წყალსაცავის სარკის ზედაპირი 3.3 ჰექტარია. აქედან 2.3 ჰექტარი მდინარის უკვე არსებულ ბუნებრივ კალაპოტს დაემატა, რომელიც 1 ჰექტარ ფართობს იკავებს, რაც ბახმაროს რეკრეაციული ზონის 0.1%-ზე ნაკლებია. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ კურორტ ბახმაროსა და წყალსაცავს შორის სიმაღლის სხვაობა 150 მ-ს შეადგენს, რაც გამორიცხავს შესაძლო უარყოფით ზეგავლენას ბახმაროს კლიმატზე.</p>
3	ბ-ნი ვახუშტი მენაბდე, GYLA	<p>ზოგადად, მისი მეგობრები და თავად ვახუშტი არ არიან ჰესების წინააღმდეგნი. თუმცა, მათთვის მნიშვნელოვანია ჰესების მშენებლობა კანონთან შესაბამისობაში, გარემოზე მინიმალური უარყოფითი ზემოქმედებითა და გარემოსდაცვითი უფლებების სრული დაცვით განხორციელდეს. მისი თქმით, მნიშვნელოვანია პროექტის დეველოპერმა გარემოზე ზემოქმედებისა და მიღებული სარგებლის დეტალური შედარებითი ანალიზი, ანუ ხარჯთ-სარგებლიანობის ანალიზი (CBA) წარმოადგინოს.</p>	<p>კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ცალ-ცალკე ჩატარდება გარემოზე ზემოქმედებისა და ბიომრავალფეროვნების კვლევები. კვლევებს განახორციელებენ საკონსულტაციო კომპანია SLR (https://www.slrconsulting.com/), გლობალური ლიდერი გარემოსდაცვითი და საკონსულტაციო გადაწყვეტილებების მიმართულებით, და 25-წლიანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე უცხოელი ექსპერტი, პიერ ბიდერმანი, რომელიც Alpage-ის კონსულტანტია, პუბლიკაციის „გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები ჰიდროენერგეტიკული პროექტებისათვის“ მთავარი ავტორი და საერთაშორისო ჰიდროენერგეტიკული ასოციაციის (IHA) პუბლიკაციის „ჰიდროენერგეტიკის სექტორის კლიმატური ცვლილებებისადმი მდგრადობის სახელმძღვანელოს“ ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის წევრია. აღნიშნული კვლევა გზმ-ს ანგარიშს დაერთვება. ასევე აღინიშნა, რომ კომპანია IFC-ისა და EIB-ის მიერ დაწესებულ გარემოსდაცვით,</p>

			<p>სოციალურ და მმართველობით (ESG) მაღალ სტანდარტებს იცავს, სოციალური, გარემოსდაცვითი და მმართველობითი საკითხების დაცვის გზით. კომპანიის წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ მომავალში დაინტერესებულ მხარეებს პროექტის შედეგად მიღებული სარგებლის ჩამონათვალი წარედგინებათ.</p>
4.1	ბ-ნი თამაზ ტრაპაიძე, GYLA	<p>რამდენად შესწავლილია პროექტის დეველოპერის მიერ ტენიანობის ზრდის საკითხი, რასაც ჰესის მშენებლობა კურორტ ბახმაროში გამოიწვევს? მისი თქმით, ბახმარო მშრალი კლიმატით ხასიათდება, ხოლო წყალსაცავის მოწყობა ჰესის პროექტის ფარგლებში ტენიანობის ზრდას გამოიწვევს და გავლენას მოახდენს ბახმაროს კლიმატზე. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გამოქვეყნდეს ბახმაროში დღეის მდგომარეობით არსებული ტენიანობის თვითური მონაცემები, რათა მოხდეს მათი შედარება ჰესის მშენებლობის შემდგომ მოსალოდნელ მდგომარეობასთან.</p>	<p>საპასუხოდ კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომპანია კლიმატის ცვლილების რისკის შეფასებას გეგმავს გზშ-ს შემუშავების ეტაპზე. აღნიშნული კვლევა ორი დამოუკიდებელი პროცესის მეშვეობით განხორციელდება. ერთი მხრივ, კლიმატის ცვლილების რისკის შეფასებას საერთაშორისო ექსპერტი, ბ-ნი პიერ ბიდერმანი მოამზადებს, რომელიც კარგად იცნობს მსგავსი კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების ფართოდ აღიარებულ მიდგომებს. მეორე მხრივ, კომპანია გეგმავს საერთაშორისო კომპანიის დაქირავებას, რომელიც საერთაშორისო ჰიდროენერგეტიკული ასოციაციის (IHA) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით იხელმძღვანელებს. IHA-მ შეიმუშავა პროტოკოლი კლიმატის მდგრადობის შესახებ, რომელშიც წარმოდგენილია მეთოდოლოგია ყველა ტიპის, მასშტაბისა და გეოგრაფიის ჰიდროენერგო პროექტისათვის. პროტოკოლში წარმოდგენილი ექვსფაზიანი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კლიმატის რისკის სკრინინგს, მონაცემთა ანალიზს, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადობის გამოცდას, კლიმატის რისკის მართვასა და მონიტორინგს, შეფასებასა და ანგარიშგებას.</p>

4.2		<p>ბაზვი 3 ჰესი CCEH-ის მიერ აშენდა თუ მისი წილი CCEH-მა შემდგომ შეიძინა? მან ასევე აღნიშნა, რომ ჰესის ტერიტორიაზე ორჯერ ჩამოწვა მეწყერი.</p>	<p>კომპანიის განმარტებით, ბაზვი 3 ჰესის წილი კომპანიამ მისი დასრულების შემდეგ შეიძინა.</p>
4.3		<p>მისი მტკიცებით, შეერთებულ შტატებში მიღებული პრაქტიკის თანახმად, წყლის მხოლოდ 70%-ის გადაგდება ხდება სადაწნეო მილსადენში. აქედან გამომდინარე, მისი მტკიცებით, თუ ბაზვი 1 ჰესის დეველოპერი ამერიკული კომპანიაა, ის ამ პრაქტიკით უნდა ხელმძღვანელობდეს.</p>	<p>კომპანიის წარმომადგენელმა ექვევეშ დააყენა ეს მტკიცება და სთხოვა, ინფორმაციის ოფიციალური წყარო დაესახელებინა. თუმცა, კითხვის ავტორმა ასეთი წყარო ვერ დაასახელა.</p>
4.4		<p>შეუქმნის თუ არა ბაზვი 1 ჰესის მშენებლობა საფრთხეს რეგიონის ტურისტულ პოტენციალსა და ტურისტული მარშრუტების განვითარებას?</p>	<p>კომპანიის განმარტებით, ამ ეტაპზე გურიაში დაგეგმილი დაცული ტერიტორიების პროექტთან დაკავშირებით ჯერ საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. შედგა შეხვედრა კომპანიისა და ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლებს შორის, შეხვედრაზე მხარეებმა მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაცია გაცვალეს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. WWF-ის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, ბაზვი 1 ჰესის პროექტი გურიის დაცული ტერიტორიის პირობით საზღვრებში ხვდება, რომელიც ამ ეტაპზე შემდგომი კვლევების საგანია. WWF-ის მიერ სამუშაოების დასრულება 2023 წლის 30 ივნისისათვის იგეგმება. შედარებისათვის, WWF-ის მიერ მოწოდებული shp ფაილის თანახმად, შემდეგი მოქმედი კალაპოტური, ბაზვი 1 ჰესის მსგავსი ჰიდროელექტროსადგურები ასევე ხვდება გურიის დაცული</p>

			ტერიტორიის პირობით საზღვრებში: მოქმედი: ბჟუჟა ჰესი, ბახვი 3 ჰესი, საშულა 1 ჰესი, საშულა 2 ჰესი და პროექტირების ეტაპზე, მშენებლობის ნებართვების მოპოვების პროცესში მყოფი: ნატანები 1 ჰესი, ნატანები 2 ჰესი, ნატანები 3 ჰესი, ბახვი 2 ჰესი, ბჟუჟა 2 ჰესი, საშულა ჰესი. დაგეგმილია აქტიური კომუნიკაცია WWF-ის კავკასიის ოფისთან გზშ-ს ეტაპზე, აღნიშნული ორგანიზაციის შესაბამისი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება პროცესში.
4.5		ჰესების მშენებლობის გამო, WWF-მა შესაძლოა შეცვალოს გურიის დაცული ტერიტორიის საზღვრები ან ასეთი ტერიტორიის შექმნა მიზანშეწონილად აღარ ჩათვალოს. შესაბამისად, მისი წინადადებაა, ხომ არ უნდა დავიცადოთ 2023 წლამდე, როდესაც WWF დაასრულებს დაცული ტერიტორიის დემარკაციის პროცესს ან, თუ ასეთი ხანგრძლივი დროით ლოდინი შეუძლებელია, ხომ არ უნდა გამოაცხადოს WWF-მა რომ ბახვი 1 ჰესი არ უქმნის საფრთხეს WWF-ის პროექტს.	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, დაგეგმილია აქტიური კომუნიკაცია WWF-ის კავკასიის ოფისთან გზშ-ს ეტაპზე, ამ ორგანიზაციის შესაბამისი რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება გზშ-ს მომზადების პროცესში. ამასთან ერთად, კომპანიის მიერ განხორციელებული კვლევები ხელს შეუწყობს და დაეხმარება WWF-ს დაცული ტერიტორიების განსაზღვრისა და გამოცხადების პროცესში.
4.6		რამდენი ელირება ბახვი 1 ჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგია? წარმოებული ელექტროენერგიის საქართველოს სახელმწიფოსთვის მიყიდვის რამდენწლიანი ვალდებულება აქვს კომპანიას?	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ამ მომენტისათვის არ არსებობს სახელშეკრულებო ვალდებულება სახელმწიფოსა და CCEH-ს შორის წარმოებული ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებით. თუმცა, ცხადია, კომპანიას სურს, მიყიდოს წარმოებული ელექტროენერგია სახელმწიფოს დეფიციტურ სეზონზე (ე.წ. ზამთარში), რომელიც ამჟამად 12

			თვიდან 10 თვეს გრძელდება. მოსალოდნელი ღირებულება დაახლოებით 6 აშშ ცენტი იქნება ერთ კილოვატ საათზე.
5.1	ქ-ნი ირმა გორდელაძე, ECO	სკოპინგის ეტაპზე დეველოპერის მიერ წარმოდგენილი კვლევები მოძველებული (საბჭოთა) მეთოდებითაა ჩატარებული და, მისი აზრით, თუ დეველოპერი ამერიკული კომპანიაა, მაშინ ჰიდროლოგიური და კლიმატის ცვლილების კვლევები სოლიდურმა დასავლურმა კომპანიებმა უნდა ჩაატარონ.	კომპანიის განმარტებით, გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კვლევას სოლიდური ევროპული კვლევითი ორგანიზაცია - SLR და მისი უცხოელი ექსპერტი ბიომრავალფეროვნების საკითხებში ნიკოლა ფოლკსი ჩაატარებენ; კვლევა გზშ-ს ანგარიშს დაერთვება. გარდა ამისა, კომპანია კლიმატის ცვლილების რისკის შეფასებას გეგმავს გზშ-ს შემუშავების ეტაპზე. აღნიშნული კვლევა ორი დამოუკიდებელი პროცესის მეშვეობით განხორციელდება. ერთი მხრივ, კლიმატის ცვლილების რისკის შეფასებას საერთაშორისო ექსპერტი, ბ-ნი პიერ ბიდერმანი მოამზადებს, რომელიც კარგად იცნობს მსგავსი კვლევების დაგეგმვისა და განხორციელების ფართოდ აღიარებულ მიდგომებს. მეორე მხრივ, კომპანია გეგმავს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის დაქირავებას ((Afry-ის https://afry.com/en ან Blue Rivers-ის https://www.bluerivers.kiev.ua/), რომელიც საერთაშორისო ჰიდროენერგეტიკული ასოციაციის (IHA) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით იხელმძღვანელებს კლიმატის ცვლილების რისკის შეფასებისას. <i>დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ პასუხში კითხვა # 3-ზე.</i>
5.2		რამდენი წყალი იქნება დატოვებული მდინარეში ეკოლოგიური ხარჯის სახით? მან მიუთითა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე და მისი	<i>იხ. პასუხი კითხვა # 1-ზე.</i>

		ნორმების დაცვის აუცილებლობაზე ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრისას.	
5.3		ჰესის საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში შესწავლილი უნდა იქნას ოთხი ადგილი, დაკვირვება ერთი წლის განმავლობაში უნდა განხორციელდეს. მან აღნიშნა, რომ დეველოპერმა ასევე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მდინარის წყლის დონის შესახებ გვალვის დროს და მოხდება თუ არა მდინარის კალაპოტის რეგულირება წყალდიდობის დროს.	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ბიოლოგიურ გარემოზე წყლის ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა მდინარის კალაპოტის გამოკვლევას ითვალისწინებს ყოველი წყალდიდობის შემდეგ და, საჭიროების შემთხვევაში, კალაპოტის რეგულირებას იხტიოფაუნის ჰაბიტატისა და მიგრაციის პირობების შესანარჩუნებლად. ეკოლოგიური ხარჯის ოდენობის სისტემატური კონტროლის მიზნით, სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფში ავტომატური ხარჯის გამზომი მოწყობა, რომლის მეშვეობითაც მოხდება ხარჯის ონლაინ აღრიცხვა, ხოლო შემდგომ შედეგები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაეცემა. დაგეგმილია თევზგამტარის მოწყობა. წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მიხედვით, ამ ეტაპზე ე.წ. კიბისებრი თევზსავალის მოწყობა განიხილება. თუმცა, დეტალური პროექტის დამუშავების ეტაპზე შესაძლოა ზუნებრივ პირობებთან მიახლოებული შემოვლითი არხის მოწყობის გადაწყვეტილება იქნეს მიღებული. წყალმიმღებ ნაგებობებში მათი მოხვედრის რისკის შესამცირებლად, თევზთა მოძრაობის მიმართულების შემცვლელი დანადგარის/მოწყობილობის დამონტაჟება განიხილება. თევზთა მოძრაობის მიმართულების შემცვლელი მოწყობილობის დეტალები დეტალური პროექტის დამუშავების ეტაპზე განისაზღვრება.

5.4	მისი მტკიცებით, წარმოდგენილი ჯვრის წყალსაცავის ანალოგი ბაზვი 1 ჰესის წყალსაცავის სარკის ზედაპირის გარემოზე ზემოქმედების შესაფასებლად, არც მართებული და არც მიზანშეწონილია ამ შემთხვევაში. ეს რეალობა ინდივიდუალურად უნდა იქნეს შესწავლილი თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.	<i>იხ. პასუხი კითხვა # 2-ზე.</i>
5.5	რა გაანგარიშებებით განისაზღვრა ეკოლოგიური ხარჯის ოდენობა, კერძოდ, 12%-ი?	<i>იხ. პასუხი კითხვა # 1-ზე.</i>
5.6	მან შემფოთება გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ ჰესების კასკადი (ბაზვი 1, 2 და 3) მდ. ბაზვისწყალზე მდინარეს სრულად მოაქცევს მილებში. ამიტომ მას აინტერესებს, შესწავლილია თუ არა კუმულაციური რისკები?	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, კომპანია IFC-ისა და EIB-ის მიერ დაწესებულ მაღალ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს იცავს, უზრუნველყოფს რა სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური უფლებების დაცვას. მან დაამატა, რომ გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კვლევა სოლიდური ევროპული საკონსულტაციო კომპანიის - SLR-ისა და აღიარებული უცხოელი ექსპერტის მიერ ჩატარდება. <i>დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ პასუხში კითხვა # 3-ზე.</i>
5.7	მისი განცხადებით, შესწავლილი უნდა იყოს ჰაბიტატების ცვლილება, იხტოფაუნის მოდელირება, კლიმატის ცვლილების ზემოქმედება, წყლის ხარჯი და მდინარის ჰიდრაულიკა.	<i>იხ. პასუხი კითხვა # 3-ზე.</i>
5.8	რა იქნება ბაზვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ფასი?	<i>იხ. პასუხი კითხვა # 4.6-ზე.</i>

		გააიაფებს თუ არა ის ელექტროენერგიის ფასს?	
5.9		მისი მთავარი შეშფოთება იმ ფაქტს უკავშირდება, რომ კვლევა და სკოპინგის ანგარიში GAMMA Consulting-ის მიერ მომზადდა, რომლის მიმართაც მას საკმაოდ კრიტიკული კითხვები აქვს და არ ენდობა მათ მიერ განხორციელებულ სამუშაოს.	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, გზშ-ს ანგარიშს GAMMA Consulting-ი მოამზადებს. მაგრამ საზოგადოების მაღალი ინტერესის და სკოპინგის გადაწყვეტილების პირობების გათვალისწინებით, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ განახორციელოს ბიომრავალფეროვნების დამატებითი კვლევა IFC-ისა და EIB-ის მიერ დაწესებული მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების დაცვით, რაც უზრუნველყოფს სოციალური, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური უფლებების დაცვას. მან დაამატა, რომ გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კვლევა ცალ-ცალკე ჩატარდება გარემოსდაცვითი და საკონსულტაციო გადაწყვეტილებების მიმართულებით გლობალური ლიდერის - საკონსულტაციო კომპანია SLR-ისა (https://www.slrconsulting.com/) და 25-წლიანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე უცხოელი ექსპერტის, პიერ ბიდერმანის მიერ, რომელიც Alpage-ის კონსულტანტი, გარემოსდაცვით საკითხებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოფილი წამყვანი მრჩეველი, EBRD-ის პუბლიკაციის „გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები ჰიდროენერგეტიკული პროექტებისათვის“ მთავარი ავტორი და საერთაშორისო ჰიდროენერგეტიკული ასოციაციის (IHA) პუბლიკაციის „ჰიდროენერგეტიკის სექტორის

			კლიმატური ცვლილებებისადმი მდგრადობის სახელმძღვანელოს“ ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის წევრია.
6	ბ-ნი კობა კალანდაძე, საკრებულოს წევრი	მას აინტერესებდა, ჰქონდა თუ არა CCEH-ს კონტაქტი საშუალა ჰესის დეველოპერთან (კიდევ ერთი ჰესი გურიის რეგიონში), იმის გასარკვევად თუ რამდენად სწორია მათი პროგნოზი და გათვლები რეალობაში. მისი აზრით, იმის დასადგენად, თუ რამდენად საჭიროა პროექტის განხორციელება, მნიშვნელოვანია შესაძლო ზემოქმედებისა და მოსალოდნელი სარგებლის დეტალური ანალიზი.	კომპანიის წარმომადგენელმა ჩაინიშნა ეს წინადადება. მისი განმარტებით, უახლოეს მომავალში კომპანია დაინტერესებულ მხარეებს წარუდგენს იმ სიკეთეების ჩამონათვალს, რომლებიც პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება. რაც შეეხება საშუალა ჰესს, აღინიშნა რომ კომპანიას არა აქვს შეხება საშუალა ჰესთან.
7	ბ-ნი ვლადიმერ სიხარულიძე, საკრებულოს წევრი	მისი განცხადებით, 2014 წელს ბახმაროს რეკრეაციული ზონის სტატუსი მიენიჭა. ის სამუშაო ჯგუფში შედიოდა და მაშინ არ ყოფილა საუბარი აღნიშნულ ტერიტორიაზე ჰესის მშენებლობაზე. მისი აზრით, ანალოგის გავლება ბჟუჟა ჰესთან ასევე არასწორია, ვინაიდან ბახმაროში ჰაერის მასების გადაადგილება სხვა მიმართულებით ხდება, ასევე სიმაღლეებში სხვაობის გამო (ბჟუჟა ჰესი და გომისმთა, ერთი მხრივ, და ბახვი 1 ჰესის წყალსაცავი, მეორე მხრივ.)	კომპანიის წარმომადგენელმა ჩაინიშნა ეს საკითხი და ბჟუჟა ჰესთან ანალოგის გავლების საკითხი შემდგომ იქნება შესწავლილი.
8.1	ბ-ნი გიორგი ბერიძე, ადგილობრივი მცხოვრები	მცირე ჰესები ნამახვანი ჰესისგან მხოლოდ სიმძლავრით განსხვავდებიან, სხვა მხრივ ისინი თანაბრად დამაზიანებელია.	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, გარემოზე ზემოქმედების თვალსაზრისით მსხვილი და მცირე ჰესების შედარება არამართებულია.

8.2		იღებს თუ არა დევლოპერი ვალდებულებას, რომ გამომუშავებული ელექტროენერგია საქართველოში დარჩება?	კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ამ მომენტისათვის არ არსებობს სახელშეკრულებო ვალდებულება სახელმწიფოსა და CCEH-ს შორის წარმოებული ელექტროენერგიის შესყიდვასთან დაკავშირებით. თუმცა, ცხადია, კომპანიას სურს, მიყიდოს წარმოებული ელექტროენერგია სახელმწიფოს.
8.3		რა არის ბაზვი 1 ჰესის მშენებლობის მიზანი - ენერგოდამოუკიდებლობა თუ ეკონომიკური სარგებელი?	კომპანიის წარმომადგენლის განმარტებით, ბაზვი 1 ჰესის მშენებლობა ხელს შეუწყობს როგორც ენერგოდამოუკიდებლობას, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, განსაკუთრებით როდესაც დასავლური ინვესტიციის მოზიდვა COVID-19-ის პირობებში მოხდა.
8.4		რა გარანტია არსებობს, რომ ჰესების მშენებლობისა და მდინარეებში დასატოვებელი ეკოლოგიური ხარჯის საკითხი თბილისში არ გადაწყდება? ის ფიქრობს, რომ ადგილობრივი მთავრობა უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს პროცესში და საკუთარი პოზიცია გამოხატოს.	(პასუხი მერისგან) მერის განცხადებით, მუნიციპალიტეტი აქტიურად არის ჩართული განხილვის პროცესში. მათ დასვეს კითხვები და საკმარისი ინფორმაცია მიიღეს კომპანიისგან, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ოფიციალური წერილითაა გამყარებული.
9.1	ქ-ნი ქეთევან სიხარულიძე, საკრებულოს წევრი	მან აღნიშნა, რომ საინიციატივო ჯგუფის- „არა ჰესს ბახმაროში“ ერთ-ერთი წევრია. ჯგუფმა დაიწყო ბაზვი 1 ჰესის მშენებლობის წინააღმდეგ პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება და უკვე 1 000 ხელმოწერა შეგროვდა ჩოხატაურში.	N/A
9.2		ის მახინჯი და გაუმართლებელი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგია.	კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, კომპანია IFC-ისა და EIB-ის მიერ დაწესებულ მაღალ გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებს იცავს, უზრუნველყოფს რა სოციალური, გარემოსდაცვითი და

			ეკონომიკური უფლებების დაცვას. აქედან გამომდინარე, ბაზვი 1 ჰესი არ იქნება გაუმართლებელი ან დამაზიანებელი პროექტი.
9.3		მისი მტკიცებით, ბახმარო განსაკუთრებული კურორტია, რაც მისი მშრალი კლიმატითაა განპირობებული, ხოლო წყალსაცავის ზედაპირი უდავოდ უარყოფით გავლენას იქონიებს კლიმატზე.	იხ. პასუხი კითხვა # 2-ზე.
9.4		მან ასევე მოიყვანა შუახევის ჰესის მაგალითი, რომელმაც ადგილობრივი მოსახლეობა წყლის გარეშე დატოვა. რა გარანტია არსებობს, რომ იგივე რამ არ მოხდება ბაზვი 1 ჰესის შემთხვევაში? შუახევის შემთხვევაშიც არსებობდა დამტკიცებული გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ) და ვინმემ აგო პასუხი წყლის დეფიციტზე?	კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, სხვა პროექტების დეფექტების განზოგადება და ბაზვი 1 ჰესის პროექტზე განვრცობა არასწორია. მისი განმარტებით, CCEH-ი პასუხისმგებლიანი დეველოპერია და მისი პორტფელი როგორც მოქმედ ჰესს, ასევე მშენებლობის ფაზაში მყოფ ჰესებს მოიცავს. დასავლელი ინვესტორები ასევე დაინტერესებულნი არიან, CCEH-მა IFC-ისა და EIB-ის მიერ დაწესებული მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები დაიცვას და უზრუნველყოს სოციალური, გარემოსდაცვითი და მმართველობითი საკითხების დაცვა.
10	ქ-ნი მაია პაიჭაძე, საკრებულოს წევრი	მისი აზრით, არასათანადო კომუნიკაციის პრობლემაა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ კვლევები ჯერ არ დასრულებულა და გაურკვეველია, თუ რა სარგებელს მოუტანს ან რა ზემოქმედებას იქონიებს ბაზვი 1 ჰესი გარემოზე.	კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, CCEH კვლავაც ღია და გამჭვირვალე დარჩება ყველა დაინტერესებული მხარისათვის და ყველა დაინტერესებულ ჯგუფს განახლებულ ინფორმაციას მიაწოდებს. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ გარემოებას, რომ გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კვლევა სოლიდური ევროპული კვლევითი ორგანიზაციის - SLR-ისა და აღიარებული უცხოელი ექსპერტის მიერ ჩატარდება და

			აღნიშნული კვლევა გზმ-ს ანგარიშს დაერთვება.
11.1	ბ-ნი კოკა კილურაძე, მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი	ის დაინტერესდა თუ რა სახელშეკრულებო ურთიერთობაა CCEH-სა და სახელმწიფოს შორის. ასევე, შებოჭილია თუ არა CCEH წინა წლებში გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმებით (MoU) გათვალისწინებული ვალდებულებებით.	კომპანიის წარმომადგენლის განცხადებით, ურთიერთგაგების მემორანდუმი (MoU) CCEH-სა და სახელმწიფოს შორის 2020 წლის 21 აგვისტოს გაფორმდა. მისივე განცხადებით, CCEH არ არის შებოჭილი რაიმე წინა სახელშეკრულებო ვალდებულებებით.
11.2		მიწის გადასახადი - რამდენია საპროექტო ტერიტორიის ფართობი და რა ფორმით აპირებს კომპანია მიწის შეძენას - საიჯარო ხელშეკრულებით თუ სერვიტუტით.	(პასუხი მერისგან) მერმა ზოტი ჰესის მაგალითი მოიყვანა, როდესაც სახელმწიფომ (ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ) მიწის ნაკვეთები მუნიციპალიტეტს გადასცა და აღნიშნული ნაკვეთებიდან შემოსული იჯარის თანხა სრულად ირიცხებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

დასკვნის სახით, ჩოხატაურის მერმა აღნიშნა, რომ კომპანიამ კომპეტენტური პასუხები გასცა მათ კითხვებს, მათ შორის ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ და, აქედან გამომდინარე, მას მიაჩნია, რომ პროექტი თავსებადია, კვლევა უნდა გაგრძელდეს და მოგვიანებით წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ეკონომიკური სარგებელისა და სოციალური პაკეტის შესახებ.

შეხვედრის ბოლოს, საკრებულოს წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს პირველი პრეცედენტია, როდესაც ინვესტორი საკუთარი სურვილით ხვდება ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს და უზიარებს ინფორმაციას პროექტის შესახებ. მომავალში, შეხვედრაზე დასმულ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს, განსაკუთრებით ბახმაროს კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით და თუ რა ზემოქმედებას გამოიწვევს მდინარის გადაგდება ჰაბიტატებზე (მცენარეები ვეღარ მიიღებენ საჭირო რაოდენობის წყალს ამ მონაკვეთზე).

პროექტის წარმომადგენლების განცხადებით, გარემოსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების კვლევა სოლიდური კვლევითი ორგანიზაციის - SLR-ისა და უცხოელი

ექსპერტის მიერ ჩატარდება და გზშ-ს ანგარიშს დაერთვება. ასევე აღინიშნა, რომ ყოველი მოქრილი ხის სანაცვლოდ სამი ახალი ხე დაირგვება.

რაც შეეხება ბახმაროს განვითარების გეგმას, განსაკუთრებით, წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემის პროექტს, ბახვი 1 ჰესი აღნიშნულ ინფრასტრუქტურასთან შეხებაში არ მოდის. და ბოლოს, აღინიშნა რომ სამშენებლო საჭიროებებისათვის ბახმაროს გზა გამოყენებული არ იქნება, სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები პროექტის ტერიტორიაზე ბახმაროს შემოვლითი გზით, კერძოდ, ჩადრეკილის გავლით იმოდრავებენ, ხოლო მეორე მხრიდან მისასვლელი გზა ვანისქედზე გაივლის.

შეხვედრის დასასრულს, კომპანიის წარმომადგენლებმა მაღლობა გადაუხადეს დამსწრე საზოგადოებას (მუნიციპალიტეტის ოფიციალურ პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს) კონსტრუქციული დიალოგისათვის და დამატებითი დრო მოითხოვეს საჭირო კვლევების ჩასატარებლად და განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით სანდო დასკვნების წარსადგენად.

შეხვედრის ოქმი # 2

საჯარო შეხვედრა და ბაზვი 1 ჰესის პროექტის განხილვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 4 ივნისი, 2021

მოკლე რეზიუმე

შეხვედრა CCEH-ის ინიციატივით შედგა. შეხვედრის მიზანი ბაზვი 1 ჰესის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივები და მედია) ინფორმაციის მიწოდება იყო. ჯამში, შეხვედრას დაახლოებით 10 ადამიანი დაესწრო. CCEH-ის დირექტორმა პროექტის შესახებ ზოგადი პრეზენტაცია წარადგინა, ხოლო პროექტის მენეჯერმა ტექნიკურ ასპექტებზე გაამახვილა ყურადღება. CCEH-ის ESG მენეჯერი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს შეეხო.

კომპანიის დირექტორმა ხაზი გაუსვა ქვეყნისათვის და მისი ეკონომიკური განვითარებისათვის ენერგოდამოუკიდებლობის მნიშვნელობას. მისი განცხადებით, ბაზვი 1 ჰესის წვლილი დღესდღეობით ქვეყანაში გამომუშავებული საერთო ელექტროენერგიის 0.5% იქნება. მან ასევე მადლიერება გამოხატა არასამთავრობო სექტორის მიმართ, პროექტის განხილვის პროცესში მათი აქტიური ჩართულობა დაეხმარება ინვესტორებს სწორად წარმართონ პროექტის დამუშავების პროცესი და ყველა აუცილებელი კვლევა ჩაატარონ. ბაზვი 1 ჰესის დამუშავებისა და CCEH-ის შემთხვევაში ეს, როგორც მინიმუმ, ასეა. ამ ტიპის კონსულტაციების შედეგია ავსტრიელი და შვედი სპეციალისტების ჩართვა ბაზვი 1 ჰესის პროექტის შეცვლის შესაძლებლობის შესასწავლად, რათა მოხდეს მისი სათავო ნაგებობის ქვემოთ გადატანა, კურორტ ბახმაროსგან მოშორებით და, ასევე, შემცირდეს სარკისებრი ზედაპირი (1 ჰექტარზე ნაკლები რომ გახდეს). ერთ თვეში კომპანიას მეტი ინფორმაცია ექნება ამ საკითხთან დაკავშირებით.

კომპანიის ESG მენეჯერმა მიმოიხილა მიმდინარე გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევები. მან განსაკუთრებული ყურადღება საკონსულტაციო კომპანია SLR-ს დაუთმო (<https://www.slrconsulting.com/>) – გლობალურ ლიდერებს გარემოსდაცვით და საკონსულტაციო გადაწყვეტებში და მათ წამყვან გარემოსდაცვით ექსპერტს ქ-ნ ნიკოლა ფოლკს, რომელიც ბაზვი 1 ჰესის საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნების ყოვლისმომცველ კვლევას ჩაატარებს. ESG მენეჯერმა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორის წარმომადგენლები და მათი ექსპერტები 19 ივნისს ოზურგეთში ქ-ნ ფოლკსთან დაგეგმილ შეხვედრაზე მიიწვია, როდესაც ის ბაზვი 1 ჰესის საპროექტო ტერიტორიის საველე კვლევას დაასრულებს და მზად იქნება წინასწარი დაკვირვებების შედეგები გაუზიაროს საზოგადოებას. ESG მენეჯერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აღიარებული საერთაშორისო საკონსულტაციო ორგანიზაციის მიერ ასეთი ყოვლისმომცველი კვლევის

ჩატარებით, CCEH-ი სრულიად ახალ და მაღალ სტანდარტს ამკვიდრებს მცირე სიმძლავრის ჰესებისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ SLR არა მხოლოდ კვლევის შედეგებს წარმოადგენს, არამედ ასევე მოამზადებს ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმას, ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმასა და კრიტიკული ჰაბიტატების კვლევას. და ბოლოს, მან აღნიშნა, რომ CCEH გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებას ელოდება სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით - 25 მაისი ბოლო ვადა იყო, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს კომენტარებისა და კითხვების წარდგენა შეეძლო.

პრეზენტაციის მსვლელობისას აუდიტორიიდან კითხვები დაისვა და ბოლოს შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. მერმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა მრავალი კითხვა დასვეს. ბახვი 1 ჰესის პროექტთან დაკავშირებით, ადგილობრივებს, ძირითადად, შემდეგ ასპექტებზე სურდათ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება:

- პროექტის ჰიდროლოგიური ნაწილი - განსაკუთრებით, თუ რა ზემოქმედებას იქონიებს წყლის ნაკადის გადაგდება მდინარის ცოცხალ ორგანიზმებსა და მიმდებარე ჰაბიტატებზე, როგორი იქნება მდინარისათვის განსაზღვრული მინიმალური „ეკოლოგიური ხარჯი“ და ამ მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდოლოგია
- ბიომრავალფეროვნების კვლევა - იმის უკეთ გაგება, თუ რა ზემოქმედებას მოახდენს ბახვი 1 ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია საპროექტო ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებაზე
- კუმულატიური ზემოქმედება - იმის გათვალისწინებით, რომ ბახვი 3 ჰესი უკვე ექსპლუატაციაშია და დაგეგმილია ბახვი 2 ჰესის მშენებლობა, ბახვი 1 ჰესთან ერთად, მოსალოდნელია 3 ჰესის კასკადის მშენებლობა მდ. ბახვისწყალზე. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტები შეშფოთებულნი არიან ამ ფაქტით და სურთ, დასაბუთებული არგუმენტები მოისმინონ იმასთან დაკავშირებით, რომ კუმულატიური ზემოქმედება არ აღმოჩნდება დამანგრეველი მდინარისა და მის მიმდებარე ტერიტორიებისათვის.



შეხვედრის მონაწილეები:

- CCEH-ის წარმომადგენლები:
 - მიხეილ ნიბლაძე, დირექტორი
 - ნანა ბერძენიშვილი, ESG მენეჯერი
 - გიგლა სიხარულიძე, პროექტის მენეჯერი
 - ვალერი ხაჩიძე, პროექტის მენეჯერის მოადგილე
 - ზურაბ სოსელია, პროექტის ტექნიკური ჯგუფი
 - ნიცა ჩოლოყაშვილი, PR მენეჯერი
 - დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები:
 - კონსტანტინე შარაშენიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი
- არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება:
 - ირმა გორდელაძე, გარემოსდაცვითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია “ECO”-ს დამფუძნებელი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი სოფ. ბაილეთის საჯარო სკოლაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
 - თამაზ ტრაპაიძე, ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)
- მედია:
 - გურია ნიუსი
 - ალიონი
 - გურია ტვ
 - მთავარი არხი (ლადო მენაბდე)

კითხვები და პასუხები:

პრეზენტაციის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, დაისვა შემდეგი კითხვები:

#	ავტორი	კითხვა	პასუხი
1	მერი	როგორი არის CCEH-ის პროექტების პორტფელი?	კომპანიის დირექტორის განმარტებით, კომპანია CCEH ფლობს 2 ოპერირებად ჰესს - ბაზვი 3-სა (წილის მფლობელი). კომპანია ამჟამად ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 ჰესების მშენებლობის პროცესშია, რომლებიც განთავსებულია მდ. ფარავანსა და მის მარჯვენა

			შენაკადზე კორხისწყალზე. მან დაამატა, რომ მას შემდეგ რაც CCEH-მა ბაზვი 3 ჰესის წილი შეიძინა და თანამედროვე გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტები დანერგა, საპროექტო ტერიტორიაზე კვლავ გამოჩნდნენ წავი და კალმახი. აქედან გამომდინარე, ეს კომპანიის პასუხისმგებლიანი ქმედების კარგი მაგალითია. ასევე აღინიშნა, რომ საფრანგეთიდან მოწვეული გარემოსდაცვითი ექსპერტი რეგულარულად სტუმრობს CCEH-ის პორტფელში შემავალ ყველა ჰესს და დეტალურ გარემოსდაცვით და სოციალურ მონიტორინგს აწარმოებს.
2	ირმა გორდელაძე	რატომ არ ხდება კომპანიის მიერ სათავო ნაგებობის უფრო ქვევით გადატანა (დაახლოებით 2 კმ-ით)? კუმულატიურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, ბაზვი 1, 2 და 3 ჰესები მდინარეს მილში მოაქცევენ დაახლოებით 14 კმ სიგრძეზე და წყლის დინების დაახლოებით 90 % მილში მოექცევა, რაც უდავოდ უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მდინარესა და მის მიმდებარედ არსებულ ბიომრავალფეროვნებაზე.	კომპანიის დირექტორისა და პროექტის მენეჯერის განმარტებით, მოწვეულნი არიან ავსტრიელი და შვედი სპეციალისტები ბაზვი 1 ჰესის პროექტის შეცვლის შესაძლებლობის შესასწავლად, რათა მოხდეს მისი სათავო ნაგებობის ქვემოთ გადატანა, კურორტ ბახმაროსგან მოშორებით და, ასევე, შემცირდეს სარკისებრი ზედაპირი (1 ჰექტარზე ნაკლები რომ გახდეს). ერთ თვეში კომპანიას მეტი ინფორმაცია ექნება ამ საკითხთან დაკავშირებით.
3	ირმა გორდელაძე	მისი მტკიცებით, ბაზვი 1 ჰესის სკოპინგის ანგარიშში არ არის ნახსენები წითელ ნუსხაში შეტანილი ფაუნის სახეობები, როგორიცაა წავი, მურა დათვი და სხვა სახეობები.	პროექტის მენეჯერის მოადგილემ დაუყოვნებლივ წარმოადგინა ამონარიდი სკოპინგის ანგარიშიდან (ქვეპუნქტი 4.4.2.4.1) იმის დასამტკიცებლად, რომ ანგარიში ნამდვილად მოიცავს პროექტის ზემოქმედების ზონაში დაფიქსირებულ ძუძუმწოვართა სხვადასხვა სახეობების ჩამონათვალს, მათ შორის არის მურა დათვი, წავი და სხვა სახეობები.

4	თამაზ ტრაპაიძე	ის შეედავა პროექტის მენეჯერს ჰიდროლოგიური მონაცემების განახლებულ ცხრილთან დაკავშირებით. კერძოდ, როგორ შეიცვალა წლიური საშუალო ეკოლოგიური ხარჯი 12%-დან 28.6%-მდე. მისი განცხადებით, მას შემონახული აქვს წინა ცხრილის ფოტო, რომელიც წარმოდგენილი იყო ჩოხატაურის შეხვედრაზე.	პროექტის მენეჯერის განმარტებით, ეკოლოგიური ხარჯი 29%-ია, ხოლო თუ შენაკადებსაც დავამატებთ ეს მაჩვენებელი 42%-მდე გაიზრდება. მან განმარტა, რომ ეს გაანგარიშებები ბახვი 3 ჰესთან დამონტაჟებული წყლის ხარჯის გამზომის მონაცემებს ეყრდნობა. მან ასევე დაამატა, რომ ბახვი 1 ჰესის მოწყობის შემდეგ, მდინარეში წყლის დონის კონტროლისა და გამზომის მიერ უწყვეტ რეჟიმში მოპოვებული მონაცემების საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი.
5	ირმა გორდელაძე	მან კითხვა დაუსვა პროექტის მენეჯერს, თუ რატომ არ არის დაზუსტებული თევზსავალი ნაგებობის ტიპი სკოპინგის ანგარიშში.	პროექტის მენეჯერის განმარტებით, იმის გათვალისწინებით, რომ თევზსავალი ნაგებობის დაპროექტებისას ტოპოგრაფიული მონაცემებია აუცილებელი, სკოპინგის ეტაპზე ნაგებობის ტიპის დაზუსტება არ მოითხოვება. მან დაამატა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასევე განიხილება ბუნებრივი თევზგამტარი არხი, საბოლოო ჯამში ბეტონის, საფეხურებიანი თევზსავალიც რომ მოეწყოს, 20სმ-იანი საფეხურები არ შეუქმნის დაბრკოლებას თევზების გადაადგილებას.
6	თამაზ ტრაპაიძე	მას აინტერესებდა, თუ ვისთან ჰქონდა კომპანიას 5 ივნისს დაგეგმილი შეხვედრა ბახმაროში. მისი განცხადებით, უკეთესი იქნებოდა თუ შეხვედრა სეზონის დასაწყისში შედგებოდა, როდესაც მეტი ხალხი იქნებოდა.	კომპანიის დირექტორმა უპასუხა, რომ შეხვედრები პერიოდულად გაიმართება, მათ შორის ტურისტულ სეზონზეც. მან ასევე მიიწვია არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები 5 ივნისს ბახმაროში დაგეგმილ შეხვედრაზე. უფრო მეტიც, განიმარტა, რომ შეხვედრის მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ საპროექტო ჯგუფთან ერთად უშუალოდ დაათვალიერონ ბახვი 1 ჰესის საპროექტო ტერიტორია, რათა უკეთესად გაეცნონ საპროექტო

			ტერიტორიას და თუ რა მანძილითაა ის დაშორებული კურორტ ბახმაროდან.
7	ლადო მენაბდე	რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ყველა კვლევისა და გათვლების შემდეგ, ჰესი მაინც უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე? მან სხვა ჰესების უარყოფითი მაგალითები მოიყვანა, განსაკუთრებით შუახევის ჰესის მაგალითი, რომელმაც, მისი თქმით, რამდენიმე მცირე მდინარის დაშრობა გამოიწვია.	კომპანიის დირექტორის განმარტებით, ბახვი 1 ჰესი მცირე სიმძლავრის ჰესს წარმოადგენს, მისი დადგმული სიმძლავრე მხოლოდ 12 მეგავატია. აქედან გამომდინარე, მისი შესაძლო ზემოქმედების შედარება მსხვილ ჰესებთან არამართებულია.
8	ლადო მენაბდე	არსებობს თუ არა კვლევა ბჟუჟას ჰესის გავლენაზე გომისმთის გარემოზე (მისი თქმით, მან უარყოფითი ზემოქმედება იქონია აღნიშნულ გარემოზე და კლიმატი უფრო ტენიანი გახდა) და რა გარანტია არსებობს, რომ ბახვი 1 ჰესის პროექტი იგივე უარყოფით ზემოქმედებას არ მოახდენს კურორტ ბახმაროზე?	კომპანიის დირექტორმა უპასუხა, რომ CCEH-მა აღიარებული საერთაშორისო ექსპერტები მოიწვია დეტალური კვლევებისა და შესწავლის ჩასატარებლად, რათა შეფასდეს გარემოზე შესაძლო ზემოქმედება და განისაზღვროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.
9	თამაზ ტრაპაიძე	სხვა დევლოპერებიც გასცემენ დაპირებებს ადგილობრივ თემებზე, თუმცა საბოლოოდ არაფერი კეთდება ადგილობრივების საკეთილდღეოდ. უფრო მეტიც, დამნაშავეებს იყენებენ იმ ადგილობრივი მცხოვრებლების დასაშინებლად, ვინც	კომპანიის დირექტორის განცხადებით, CCEH უმაღლესი ეთიკური სტანდარტებით მოქმედებს და მისი საქმიანობა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებსა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ დაწესებულ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას შეესაბამება. აქედან გამომდინარე, ანალოგის გავლება ასეთ უარყოფით მაგალითებსა და ბახვი 1

		ჰესის მშენებლობას აპროტესტებენ.	ჰესისა და CCEH-ის შორის შეუძლებელია.
10	ირმა გორდელაძე	მან აღნიშნა, რომ უკვე თვალსაჩინო ხდება, რომ CCEH „რეკლამებს“ (ფასიანი სტატიები იგულისხმება) აქვეყნებს საზოგადოებრივი აზრის ბაზვი 1 ჰესის სასარგებლოდ ჩამოყალიბების მიზნით. ასევე, მას არ მოსწონს ის ფაქტი, რომ CCEH მხოლოდ მედიის წარმომადგენლებისათვის გეგმავს გასვლით ღონისძიებას სასტუმრო „პარაგრაფში“ და გამორიცხავს არასამთავრობო სექტორის მონაწილეობას. ის ვარაუდობს, რომ აღნიშნული შეხვედრა ჟურნალისტების „იდეოლოგიური დამუშავებისათვის“ იქნება გამოყენებული, რათა ისინი ჰესის მშენებლობის სასარგებლოდ განაწყონ. ის საწინააღმდეგო ღონისძიებებს გეგმავს.	PR მენეჯერის განმარტებით, ეს კონკრეტული ღონისძიება მხოლოდ ჟურნალისტებისათვის ეწყობა. აღნიშნული ღონისძიება დაეხმარება მათ, უკეთ გაერკვნენ საკითხში, მეტი ინფორმაცია მიიღონ ზოგადად ენერგიის გენერაციის თემისა და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესახებ, რაც, საბოლოო ჯამში, მათ ჰესების პროექტების გაშუქებისას წაადგებათ. აღნიშნა, რომ მსგავსი გასვლითი ღონისძიება - სემინარი ასევე მოეწყობა არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისათვის.

შეჯამების სახით, ოზურგეთის მერის განცხადებით, კომპანიას უნდა მიეცეს საჭირო კვლევების ჩატარების შესაძლებლობა. ქ-ნი გორდელაძე დაეთანხმა, რომ თუ კომპანია კვლევებს თანამედროვე მეთოდების გამოყენებითა და აღიარებული ექსპერტების ჩართულობით განახორციელებს და თუ დადასტურდა, რომ ეკოლოგიური ხარჯი საკმარის დონეზე შენარჩუნდება, ის არ იქნება ბაზვი 1 ჰესის წინააღმდეგი. CCEH-ის გუნდმა მადლობა

გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას კონსტრუქციული განხილვისათვის და დაპირდა, რომ მათთან აქტიურ და ჯანსაღ კომუნიკაციას შეინარჩუნებს.

შეხვედრის ოქმი # 3

საჯარო შეხვედრა და ბახვი 1 ჰესის განხილვა კურორტ ბახმაროში 5 ივნისი, 2021

მოკლე რეზიუმე

შეხვედრა CCEH-ის ინიციატივით შედგა. შეხვედრის მიზანი კურორტ ბახმაროს ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის ბახვი 1 ჰესის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო. მთლიანობაში, შეხვედრას დაახლოებით 50 ადგილობრივი მოსახლე დაესწრო. CCEH-ის დირექტორმა პროექტის შესახებ ზოგადი პრეზენტაცია წარადგინა, ხოლო პროექტის მენეჯერმა ტექნიკურ ასპექტებზე გაამხვილა ყურადღება და რუკა წარმოადგინა. CCEH-ის ESG მენეჯერი გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებს შეეხო.

შეხვედრა არაფორმალურ გარემოში შედგა, ღია სივრცეში და თავიდანვე კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. შეკრებილ საზოგადოებას ძირითადად აინტერესებდა, თუ რა გავლენას მოახდენდა ბახვის 1 ჰესი ბახმაროს კლიმატზე და რა სარგებელს მოუტანს ჰესის მშენებლობა კურორტს და მის მაცხოვრებლებს.

მთლიანობაში, შეხვედრა კონსტრუქციულ გარემოში წარიმართა. მიუხედავად იმისა, რომ CCEH-ის გუნდმა რამდენჯერმე შესთავაზა ადგილობრივებს უშუალოდ დაეთვალიერებინათ ჰესის საპროექტო ტერიტორია, რათა უკეთ გაცნობოდნენ სამშენებლო ტერიტორიას და ენახათ, თუ რა მანძილი აშორებდა მას კურორტ ბახმაროსგან, ადგილობრივებმა ადგილზე გასვლის ინტერესი არ გამოხატეს (შესაძლოა მთავარი მიზეზი ამინდი იყო - წვიმიანი, ცივი დღე და ტალახიანი ტერიტორია).



შეხვედრის მონაწილეები:

- CCEH-ის წარმომადგენლები:
 - მიხეილ ნიბლაძე, დირექტორი
 - ნანა ბერძენიშვილი, ESG მენეჯერი
 - გიგლა სიხარულიძე, პროექტის მენეჯერი
 - ვალერი ხაჩიძე, პროექტის მენეჯერის მოადგილე
 - ზურაბ სოსელია, პროექტის ტექნიკური ჯგუფი
 - ნიცა ჩოლოყაშვილი, PR მენეჯერი
 - დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები:
 - მინდია ჟღერია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
 - კურორტ ბახმაროს ხელმძღვანელი
 - სხვა ოფიციალური პირები
- ადგილობრივი თემი:
 - ადგილობრივი მაცხოვრებლები
 - ბიზნესის მესაკუთრე - უცხოელი მოქალაქე, საოჯახო სასტუმროსა და ტურისტული ბიზნესის მესაკუთრე
- მედია:
 - გურია ნიუსი

კითხვები და პასუხები:

პრეზენტაციის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, დაისვა შემდეგი კითხვები:

#	ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ილია ლლონტი, ადგილობრივი მაცხოვრებელი	მიიღებს თუ არა ბახმარო ბაზვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას?	კომპანიის დირექტორის განმარტებით, ბაზვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია გადაეცემა ერთიან ენერგოსისტემას და შემდეგ ხდება მისი განაწილება.
2		რა სარგებელს მოუტანს ბაზვი 1 ჰესი კურორტ ბახმაროს? სოციალური პროგრამის ბიუჯეტი	კომპანიის დირექტორმა ხაზი გაუსვა, რომ ბაზვი 1 ჰესის პროექტი ითვალისწინებს სოციალურ პროგრამას, რომლის მიზანი ადგილობრივი მაცხოვრებლებისათვის გარკვეული შეღავათების შექმნაა. უპირველს

		რამდენი იქნება? დასაქმდებიან თუ არა ადგილობრივები ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე?	ყოვლისა, აღინიშნა, რომ ადგილობრივები დასაქმდებიან ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურული პროექტის ინვესტირებას, რომელიც სოლიდური და კურორტისათვის გრძელვადიანი გადაწყვეტა იქნება, ადგილობრივები განიხილავენ ამ საკითხს და საპროექტო გუნდს გაუზიარებენ, თუ რომელ საკითხს ანიჭებენ უპირატესობას. ამის შემდგომ, საპროექტო გუნდი შეისწავლის მოთხოვნის რელევანტურობას და მის განსახორციელებლად არსებულ რესურსებს.
3		საკმარისი იქნება თუ არა წყალი ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად? აგვისტოში წყლის დონე ძალიან დაბალია. ზოგადად, კლიმატი იცვლება და ზამთრის პერიოდში ნალექები თოვლის სახით შემცირებულია.	პროექტის მენეჯერის განმარტებით, ეკოლოგიური ხარჯი 29%-ია, ხოლო თუ შენაკადებსაც დავამატებთ, ეს მაჩვენებელი 42%-მდე გაიზრდება. მან განმარტა, რომ ეს გაანგარიშებები ბახვი 3 ჰესთან დამონტაჟებული წყლის ხარჯის გამზომის მონაცემებს ეყრდნობა. მან ასევე დაამატა, რომ ბახვი 1 ჰესის მოწყობის შემდეგ, მდინარეში წყლის დონის კონტროლისა და გამზომის მიერ უწყვეტ რეჟიმში მოპოვებული მონაცემების საშუალებით უზრუნველყოფილი იქნება მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი.
4		კვლევებში ასევე უნდა იყოს ჩართული ადგილობრივი წარმომადგენელი.	ESG მენეჯერის განმარტებით, CCEH-ის მიერ წარმოებული ყველა კვლევა და კვლევის პროცესი გამჭვირვალეა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივ ექსპერტებს შეუძლიათ შეუერთდნენ კვლევის ჯგუფებს და დაესწრნენ შეხვედრას SLR-ის წამყვან ბრიტანელ ექსპერტთან, რომელიც ბიომრავალფეროვნების კვლევის წინასწარ შედეგებს წარუდგენს საზოგადოებას.
5		იქონიებს თუ არა ბახვი 1 ჰესის მშენებლობა რაიმე გავლენას მდინარის	პროექტის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ჰესის მშენებლობა არ გამოიწვევს რაიმე ნეგატიურ ზეგავლენას მდინარის კალაპოტზე. უშუალოდ კალაპოტში მხოლოდ სათაო ნაგებობა მოეწყობა,

		კალაპოტურ პროცესებზე?	<p>ხოლო მილი და ელექტროსადგური კალაპოტის საზღვრებს მიღმა განთავსდება.</p> <p>უდავოდ, ჰესის ექსპლუატაციის პერიოდში წყლის დონე მდინარეში ნაკლები იქნება იმასთან შედარებით, რაც დღესდღეობით მდ. ბახვისწყალში მიედინება, თუმცა დატოვებული იქნება ეკოლოგიური ხარჯი მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რომელიც საკმარისია ეკოსისტემისა და ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.</p>
6	მინდია ქდერია, ჩოხატაურის მერის მოადგილე	რა ზეგავლენა ექნება ბახმაროს კლიმატზე?	<p>ESG მენეჯერმა აღნიშნა, რომ კლიმატის კვლევა განხორციელდება 25-წლიანი საერთაშორისო გამოცდილების მქონე უცხოელი ექსპერტის, პიერ ბიდერმანის მიერ, რომელიც Alpage-ის კონსულტანტი, გარემოსდაცვით საკითხებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ყოფილი წამყვანი მრჩეველი, EBRD-ის „გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები ჰიდროენერგეტიკული პროექტებისათვის“ მთავარი ავტორი და საერთაშორისო ჰიდროენერგეტიკული ასოციაციის (IHA) „ჰიდროენერგეტიკის სექტორის კლიმატური ცვლილებებისადმი მდგრადობის სახელმძღვანელოს“ ექსპერტთა საკონსულტაციო ჯგუფის წევრია.</p> <p>ამასთანავე, განიმარტა, რომ სარკისებრი ზედაპირი იმდენად მცირეა, რომ მას არანაირი გავლენა არ ექნება ბახმაროს კლიმატზე. გარდა ამისა, კომპანიამ ავსტრიელი და შვედი ექსპერტები ჩართო პროექტის გადაკეთების პროცესში, რათა მოხდეს სათავო ნაგებობის უფრო ქვევით გადატანა, ბახმაროსგან მოშორებით და შემცირდეს სარკისებრი ზედაპირის ფართობი.</p>
7	ადგილობრივი მაცხოვრებელი	რა გარანტიები არსებობს, რომ იმ	კომპანიის დირექტორის განმარტებით, ყველა საჭირო კვლევა წინასწარ

		შემთხვევაში თუ ბაზვი 1 ჰესი უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს გარემოზე, მისი დემონტაჟი მოხდება?	ჩატარდება, ბაზვი 1 ჰესის მშენებლობა უმაღლესი სტანდარტების დაცვით განხორციელდება და გამოირიცხება რაიმე რისკი გარემოს ან ადამიანების მიმართ.
8	ინგო შლუციუს (სასტუმრო „ბახმაროს პიონერების“ მფლობელი, ტუროპერატორი)	მან აღნიშნა, რომ ჰიდროენერგია განახლებად ენერგო რესურსებს მიეკუთვნება და ევროპაში, განსაკუთრებით ალპებში, ბევრი კურორტი ამაყობს იმით, რომ ამ ტიპის განახლებადი ენერგიით მარაგდება. აქედან გამომდინარე, ის მხარს უჭერს ბაზვი 1 ჰესის მშენებლობას და ფიქრობს, რომ ჰესის მშენებლობა კურორტ ბახმაროს განვითარების შესაძლებლობას აჩენს.	N/A

შეხვედრის ოქმი # 4

SLR-ის ექსპერტის ნიკოლა ფოლკსის შეხვედრა ადგილობრივ არასამთავრობო
ორგანიზაციებთან ოზურგეთში
ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრი
18 ივნისი, 2021

მოკლე რეზიუმე

შეხვედრა CCEH-ის ინიციატივით შედგა. შეხვედრის მიზანი მსოფლიოში ცნობილი საკონსულტაციო კომპანია SLR-ის მთავარი ეკოლოგის ნიკოლა ფოლკსის წარდგენა იყო, რომელიც CCEH-მა ბაზვი 1 ჰესის პროექტის ფარგლებში ბიომრავალფეროვნების კვლევის ხელმძღვანელად მოიწვია. ქ-ნი ფოლკსი გურიაში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა და მოკლედ გააცნო ბიომრავალფეროვნების კვლევის მოცულობა, რომელსაც SLR ბაზვი 1 ჰესის პროექტის ფარგლებში განახორციელებს. მან ასევე მიაწოდა ინფორმაცია კვლევის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით.

შეხვედრა CCEH-ის ESG მენეჯერმა ნანა ბერძენიშვილმა გახსნა, რომელმაც ბაზვი 1 ჰესის პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის (ESG) ასპექტები წარმოადგინა. შემდეგ მან წარადგინა SLR Consulting და ქ-ნი ფოლკსი. მან განმარტა, რომ ბიომრავალფეროვნების კვლევის ფარგლებში ექსპერტები, ქ-ნი ფოლკსის ხელმძღვანელობით წყლის სახეობებს, ძუძუმწოვრებს, ფრინველებს, ქვეწარმავლებსა და ამფიბიებს, ღამურებს, ფლორას, სოკოებსა და ტყის საფარს შეისწავლიან. ასევე დაგეგმილია კრიტიკული ჰაბიტატების შესწავლა. კვლევის საბოლოო პროდუქტის სახით, SLR მოამზადებს კვლევის ანგარიშს, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმასთან და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების ჩამონათვალთან ერთად.

ბაზვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერმა გიგლა სიხარულიძემ პრეზენტაცია წარმოადგინა პროექტის სქემასა და ტექნიკურ მხარეზე, ხაზი გაუსვა ჰესის ზუსტ ადგილმდებარეობას (რომ სინამდვილეში ჰესი ბახმაროს რეკრეაციული ზონის საზღვრებს მიღმა მდებარეობს) და რეზერვუარის სარკისებრი ზედაპირის მცირე ზომას, რამაც ობიექტურად შეუძლებელია რაიმე გავლენა იქონიოს ადგილობრივ კლიმატზე.

და ბოლოს, ნიკოლა ფოლკსმა დამსწრე საზოგადოებას გაუზიარა ინფორმაცია SLR Consulting-ის, მის საერთაშორისო გამოცდილებისა და ბაზვი 1 ჰესის პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ბიომრავალფეროვნების კვლევის სფეროში პროფესიული კომპეტენციის, სავსე კვლევის დროს გამოყენებული თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების შესახებ. ქ-მა ფოლკსმა ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბაზვი 1 ჰესის ბიომრავალფეროვნების კვლევის ფარგლებში ის ჰაბიტატების რუკებს ადგენს ევროპის

ბუნების ინფორმაციული სისტემის (EUNIS) კაბიტატების კლასიფიკაციის სისტემის მიხედვით - კომპლექსური პან-ევროპული სისტემა კაბიტატების დასადგენად. EUNIS ევროპის ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ცენტრის (BDC) ნაწილია და ევროპის გარემოს დაცვის სააგენტოს (EEA) გამგებლობაშია. წინასწარ დასკვნებთან დაკავშირებით, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჯერ ნაადრევია კვლევასთან დაკავშირებით სრულ დეტალებზე საუბარი, თუმცა ანთროპოგენური ზემოქმედების კვალი საკვლევი ტერიტორიის ფარგლებში უკვე დაფიქსირდა (სატრანსპორტო საშუალებების კვალი და სხვა სახის ნაკვალევი). პროექტის მიზანი ბიომრავალფეროვნების „ნულოვანი სუფთა დანაკარგის“ მიღწევა უნდა იყოს, SLR საპროექტო გუნდთან ერთად ყველაზე შესაფერისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრაზე იმუშავებს.

პრეზენტაციის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, რა დროსაც არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა რამდენიმე კითხვა დასვეს. შეხვედრის ბოლოს აღინიშნა, რომ CCEH-ის მიერ ორგანიზებული შეხვედრები კონსტრუქციულ გარემოში მიმდინარეობდა, რაც ნამდვილად დასაფასებელია.



შეხვედრის მონაწილეები:

- CCEH-ის წარმომადგენლები:
 - ნანა ბერძენიშვილი, CCEH-ის ESG მენეჯერი
 - გიგლა სიხარულიძე, ბაზვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერი
 - დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი:
 - თემურ ჭანუკვაძე, მუნიციპალური ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი
- არასამთავრობო ორგანიზაციების სექტორი და სამოქალაქო საზოგადოება:

- მიწდია სალუქვადე, პროგრესის სახლი
- ნინო ჭელიძე, კავშირი „ჩვენი ბავშვები“
- ეკა ნინიძე, განათლებისა და თანასწორობის ცენტრი
- ენრი მამინაშვილი, ფინიქს-2009
- თამაზ ტრაპაიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA), ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელი
- ნონა გარგანჯია, ქალები რეგიონის განვითარებისათვის
- მაია ბერიძე, საქართველოს ანტი-ძალადობრივი ქსელი
- იზი მგელაძე, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი
- მამუკა მამალაძე, პოსტ-ალიონი

• მედია:

- გაზეთი ალიონი - ნუგზარ ასათიანი და მარი კომოვეი
- გურია ნიუსი - ია მამალაძე, გიორგი გირკელიძე და აკაკი სიხარულიძე

კითხვები და პასუხები:

პრეზენტაციის შემდეგ, შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შემდეგი კითხვები დაისვა:

#	ავტორი	კითხვა	პასუხი
1.1	თამაზ ტრაპაიძე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)	კომენტარი: ბ-მა ტრაპაიძემ ეჭვქვეშ დააყენა ბაზვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ თითქოსდა საპროექტო ობიექტები არ ხვდება ბაზმაროს რეკრეაციული ზონის ფარგლებში. ბ-ნი ტრაპაიძის მტკიცებით, ბაზმარო მისთვის და სხვა მრავალი ადამიანისათვის ოფიციალურად დემარკირებულ სარეკრეაციო საზღვრებს სცილდება და მიმდებარე ტერიტორიებსაც მოიცავს. მან დასძინა,	N/A

		რომ კურორტ ბახმაროს შემდგომი განვითარების პოტენციალი გააჩნია და ამჟამად აღიარებული სარეკრეაციო ზონის მიღმა არსებული ტერიტორიები შესაძლოა კურორტის შემდგომი განვითარებისათვის იქნას გამოყენებული.	
1.2		კომენტარი: ბ-მა ტრაპაიძემ ეჭვქვეშ დააყენა ბახვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერის განცხადება იმის თაობაზე, რომ ბახვი 1 ჰესისთვის ანალოგად ბჟუჟას ჰესი უნდა იქნას გამოყენებული. მისი მტკიცებით, არც ერთი კვლევა არ ჩატარებულა, თუ რა გავლენა იქონია ბჟუჟას ჰესმა გომისმთის კლიმატზე.	N/A
1.3		კითხვა: მხოლოდ ბახვი 1 ჰესის ზემოქმედების შესწავლა საკმარისი არ არის. საზოგადოებას აინტერესებს, თუ რა კუმულატიური ზემოქმედება ექნება მდ. ბახვისწყალზე ამოქმედებულ 3 ჰესს.	CCEH-ის ESG მენეჯერის თანახმად, საპროექტო ჯგუფი მუშაობს კუმულატიური ზემოქმედების შეფასებაზე და მას გზშ-ს გასაჯაროების ეტაპზე წარმოადგენს.
1.4		კომენტარი: ბ-ნი ტრაპაიძის მტკიცებით, CCEH-ის დირექტორმა ცოტა ხნით ადრე განაცხადა რომ ბახვი 2 ჰესი ასევე CCEH-ს ეკუთვნის.	ბახვი 1 ჰესის პროექტი მენეჯერის თქმით, ბახვი 2 ჰესი არ ეკუთვნის CCEH-ს და ის სხვა კომპანიის საკუთრებაშია. აქედან გამომდინარე, CCEH-ის დირექტორს არასოდეს გაუკეთებია მსგავსი განცხადება.
1.5		კითხვა: ბახვი 1 ჰესი გურიის დაგეგმილი დაცული ტერიტორიის ფარგლებში ხვდება.	ნიკოლა ფოლკსმა ევროპის, ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მაგალითები მოიყვანა, სადაც დაცული ტერიტორიების

		რამდენად დასაშვებია ეს გარემოსდაცვითი თვალსაზრისით?	ფარგლებში მრავალი მცირე სიმძლავრის ჰესი შენდება და ფუნქციონირებს. უფრო მეტიც, მისი თქმით მცირე სიმძლავრის ჰესების ინფრასტრუქტურა ხშირად დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ პოზიტიური ზემოქმედებისათვის გამოიყენება. მან მცირე ჰესების პოზიტიური წვლილის კიდევ ერთი მაგალითი მოიყვანა, კერძოდ, როდესაც შოტლანდიაში მდებარე უმსხვილესი ალუმინის ქარხანა 27 მცირე სიმძლავრის ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიით მარაგდება.
1.6		კითხვა: რამდენი ხანი გაგრძელდება ბიომრავალფეროვნების კვლევა? რატომ იკვლევთ ღამურებს? რამდენი ხანი იქნება ფოტო ხაფანგები დამონტაჟებული ტყეში?	ნიკოლა ფოლკსმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბიომრავალფეროვნების კვლევის დროს სეზონურობა მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ეს ფაქტორი მოქმედებს ბახვი 1 ჰესის შემთხვევაშიც. მან განმარტა, რომ საველე კვლევები გაზაფხულზე, ზაფხულსა და შემოდგომაზე ტარდება (თევზების კვლევის მე-2 ფაზა შემოდგომით ჩატარდება). ზამთრის სეზონისთვის ინფორმაციის მოძიება მის მიერ საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში წარსულში განხორციელებული კვლევებისა (სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ გადამცემი ხაზის პროექტი) და არსებული ლიტერატურის სამაგიდო კვლევის საფუძველზე მოხდება. ქ-ნი ფოლკსის განმარტებით, ღამურები ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია, ხოლო საქართველო კონვენციის ხელმომწერია. აქედან გამომდინარე, საპროექტო

			ტერიტორიის ფარგლებში ღამურების კვლევა სავსებით ლოგიკურია. ფოტო ხაფანგებთან დაკავშირებით, მისი თქმით აგვისტოს ბოლოსთვის უკვე საკმარისი ინფორმაცია დაგროვდება ფოტო ხაფანგების საშუალებით.
1.7		კითხვა: შეიმუშავენ თუ არა SLR შემარბილებელ ღონისძიებებს?	ნიკოლა ფოლკსის განცხადებით, SLR, საჭიროების შესაბამისად, საპროექტო ჯგუფთან და ექსპერტებთან ერთად იმუშავენ ბაზვი 1 ჰესისათვის შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების კომპლექსური ჩამონათვალის შემუშავებაზე.
2	ნონა გარგანჯია, ქალები რეგიონის განვითარებისათვის	კომენტარი: ჰესის ბაზმაროს მახლობლად აშენების რა აუცილებლობა არსებობს? თუ ის მცირე სიმძლავრის ჰესია, რა აზრი აქვს მის აშენებას?	ბაზვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერის განმარტებით, საპროექტო ტერიტორია საქართველოს მთავრობის მიერ განისაზღვრა ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე. ბაზვი 1 ჰესის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, მან განმარტა, რომ მიუხედავად მცირე სიმძლავრისა (დადგმული სიმძლავრე 12 მგვტ) ჰესი სრულად დააკმაყოფილებს ჩოხატაურისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მოთხოვნას ელექტროენერგიაზე. შესაბამისად, მან პოზიტიური წვლილი შეიძლება შეიტანოს ქვეყნის საერთო ელექტროსისტემაში. <i>ტრაპაიძემ ეჭვქვეშ დააყენა ეს განცხადება. მისი თქმით, ბაზვი 1 ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია არ დარჩება გურიის რეგიონში, არამედ ქვეყნის ენერგოსისტემაში გადანაწილდება, რაზეც ბაზვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერმა უპასუხა, რომ ელექტროენერგიის</i>

			<i>მიწოდებისა და დისტრიბუციის ორგანიზება ასე ხდება.</i>
3.1	მერაბ მამინაშვილი, ფინიქს - 2009	კითხვა: როგორ გამოიყურება ჰესის მშენებლობის პროცესი საზღვარგარეთ? დეველოპერი ჯერ გადაწყვეტილებას იღებს და შემდეგ ხვდება საზოგადოებას?	ბახვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერის განმარტებით, ჰესის პროექტირების პროცესი ეროვნული კანონმდებლობით დაწესებული პროცედურის შესაბამისად ხორციელდება და შემდეგ ეტაპებს მოიცავს: მთავრობასთან ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერა, სკოპინგის ანგარიშის მომზადება, გზშ-ს გასაჯაროება და ამის შემდგომ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და მშენებლობის ნებართვის მიღება. რაც შეეხება უცხო ქვეყნების მაგალითებს, მან ავსტრიის მაგალითი მოიყვანა, რომელსაც ჰესების კარგად განვითარებული ქსელი აქვს ქვეყნის მასშტაბით და სრულად აქვს ათვისებული ჰიდროენერგო რესურსები.
3.2		კითხვა: როგორია ტექნიკური გადაწყვეტა ბახვი 1 ჰესის შემთხვევაში?	ბახვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერის განმარტებით, ძირითადად, ორი ტიპის ჰესი არსებობს - ერთი კაშხალთან მდებარე და მეორე კალაპოტის ელექტროსადგური. ტიპურად, კალაპოტის ელექტროსადგურს მცირე ზომის წყალსაცავი აქვს, ბახვი 1 ჰესი ამ ტიპს მიეკუთვნება. მან ასევე მოიყვანა ბახვი 3 ჰესის მაგალითი, რომელიც წყალდიდობის კონტროლისათვის გამოიყენება.
3.3		კითხვა: ექნება თუ არა ადგილი ინტერესთა კონფლიქტს SLR Consulting-ის შემთხვევაში? შეძლებს თუ არა კომპანია ანგარიშში რეალობის ასახვას თუ დამკვეთის	ნიკოლა ფოლკსის განმარტებით, SLR და თავად ნიკოლა მაღალ სტანდარტებს იცავენ და ის ე.წ. „წითელ ალმებს“ ანუ განგაშის სიგნალებს იყენებს. თუ კვლევის დროს მან ასეთი ტერიტორია აღმოაჩინა, ის დაუფიქრებლად ატეხს განგაშს და მოითხოვს

		დავალეებს დაემორჩილება?	შესაბამისი ყურადღება დაეთმოს აღნიშნულ პრობლემატურ საკითხს. შესაბამისად, SLR და თავად ნიკოლა სრულიად დამოუკიდებელნი არიან ბიომრავალფეროვნების კვლევის ჩატარების და ანგარიშის მომზადების პროცესში. <i>CCEH-ის ESG მენეჯერმა დაამატა, რომ პროექტის ხელმძღვანელობა გაასაჯაროვებს ბიომრავალფეროვნების კვლევას როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.</i>
4	მაია ბერიძე, საქართველოს ანტი- ძალადობრივი ქსელი	კომენტარი: ბაზვი 1 ჰესი ნიშნავს, რომ ასევე აშენდება ბაზვი 2 და ბაზვი 3 ?! კუმულატიური ზემოქმედება უზარმაზარი იქნება. შეხედეთ ევროპას - ისინი ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს იყენებენ, როგორცაა ქარი და მზის ენერგია. თქვენ მოდველებულ მეთოდებს იყენებთ!	<i>აუდიტორიიდან უპასუხეს, რომ ბაზვი 3 უკვე მოქმედი ჰესი იყო.</i> ბაზვი 1 ჰესის პროექტის მენეჯერმა გაიმეორა, რომ ბაზვი 2 ჰესი არ ეკუთვნის CCEH-ს. ევროპასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ევროპამ უკვე დიდი ხანია რაც მაქსიმალურად აითვისა ჰიდროენერგია და, ამიტომ, ახლა ისინი ენერგიის განახლებად წყაროებს მიმართავენ. თუმცა, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ჰიდროენერგიასთან შედარებით ქარისა და მზის ენერგია არასტაბილურია. მან ასევე აღნიშნა, რომ წინასწარი კვლევებით ბაზვი 1 ჰესის მშენებლობა არ გამოიწვევს დიდი რაოდენობით ხე-ტყის გაჩეხვას. <i>ეკა ნინიძემ, რომელიც განათლებისა და თანასწორობის ცენტრს წარმოადგენდა, აღნიშნა, რომ ხე-ტყის გაჩეხვა ისედაც მიმდინარეობს ბახმაროსა და გომისმთის ტერიტორიაზე. რატომ არ უნდა აშენდეს ჰესი, გარკვეულ სარგებელს მაინც ვნახავთ?!</i>
5.1	ნუგზარ ასათიანი, გაზეთი ალიონი	კითხვა: დასავლეთის ქვეყნებში ეკოლოგიური ხარჯი 30%-ით	ნიკოლა ფოლკსის განმარტებით, საქართველოში მიღებული პრაქტიკის თანახმად, ჰესების

		განისაზღვრება, ხოლო ბაზვი 1 ჰესის შემთხვევაში მხოლოდ 12%-ია დაგეგმილი, რას ფიქრობთ ამასთან დაკავშირებით?	პროექტებში ეკოლოგიური ხარჯი 5%-ით განისაზღვრება. მისი რეკომენდაცია, ეს მაჩვენებელი სულ მცირე 10%-მდე გაიზარდოს და შენარჩუნდეს.
5.2		კომენტარი: დღევანდელ შეხვედრას არ ესწრებიან გარემოსდაცვითი აქტივისტები, და, სავარაუდოდ, არც თქვენ (CCEH) დაესწრებით ორშაბათისთვის (21 ივნისი) დაგეგმილ მათ ბრიფინგს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ შორის არ არსებობს კონსტრუქციული დიალოგი?	CCEH-ის ESG მენეჯერის განმარტებით, ყველა 16 არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს ოზურგეთსა და ჩოხატაურში მოწვეული იყო შეხვედრაზე. რაც შეეხება ზოგიერთ ორგანიზაციას, რომელიც არ ესწრება დღევანდელ შეხვედრას, ისინი ჩვენს წინა ღონისძიებებს ესწრებოდნენ. ჩვენ განვაგრძობთ შეხვედრებს და, შესაბამისად, მათაც მოვიწვევთ შემდეგ ღონისძიებებზე.
6.1	ია მამალაძე, გურია ნიუსი	კითხვა: იმის გათვალისწინებით, რომ ბახმარო ზამთრის კურორტია უნიკალური კლიმატით, ექნება თუ არა ჰესის მშენებლობას მასზე გავლენა?	ნიკოლა ფოლკსის განმარტებით, შვეიცარიას, საფრანგეთსა და ევროპის სხვა ქვეყნებს კურორტებთან ახლოს მცირე სიმძლავრის ჰესების ფუნქციონირების წარმატებული მაგალითები აქვთ.
6.2		კომენტარი: ბაზვი 1 ჰესის საპროექტო ჯგუფმა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის განსხვავებული პრეცედენტი დაამკვიდრა, მაშინ როცა სხვა დევლოპერები საერთოდ არ ხვდებიან ადგილობრივ საზოგადოებას ან პოსტ ფაქტუმ ხვდებიან. მან დასძინა, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან,	N/A

		<p>ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ბაზვი 1 ჰესი მისაბამია. მან აღნიშნა, რომ ჰესი იმაზე მეტ ზიანს ვერ მიაყენებს ბახმაროს ბუნებას, ვიდრე ამას კურორტის საზღვრებში ხეების უკონტროლო ჭრა და საზაფხულო სახლების მშენებლობა იწვევს თუნუქის გადახურვებით.</p>	
--	--	---	--

შეხვედრის ოქმი # 5

USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლების შეხვედრა

ადგილობრივ თემთან და ოფიციალურ პირებთან ბახმაროში

27 ივნისი, 2021

შეხვედრის მონაწილეები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები:
 - ზაალ მამალაძე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
 - მინდია ჟღერია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
 - დავით საჯაია, კურორტ ბახმაროს ადმინისტრაციის უფროსი
- USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლები
 - მარკ მაკკორდი, პროგრამის ხელმძღვანელი
 - გიორგი ახალაია, წარმოებისა და სერვისების კომპონენტის ხელმძღვანელი
 - პაატა სირბილაძე, ელექტრონული კომერციული ხელმძღვანელი
 - მაია ნიჟარაძე, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი
 - ნანუკა მიქელაძე, პროექტის სპეციალისტი
- CCEH-ის წარმომადგენლები:
 - მიხეილ ნიბლაძე, CCEH-ის დირექტორი
 - ნანა ბერძენიშვილი, CCEH-ის ESG მენეჯერი
 - დავით მიქელაძე, ბახვი 1 ჰესის ESG მენეჯერი
- ადგილობრივი თემის წარმომადგენლები:
 - ინგო შლუტიუსი, შვეიცარიისა და გერმანიის მოქალაქე, ადგილობრივი ბიზნესის მესაკუთრე, ბახმაროში (ველურ ბუნებაში) სათხილამურო ტურიზმს აწვითარებს
 - ილია ლლონტი, ადგილობრივი ბიზნესის მესაკუთრე

- თემის სხვა წევრები

მოკლე რეზიუმე

შეხვედრა CCEH-ის ორგანიზებითა და ფასილიტაციით შედგა. შეხვედრის მიზანი USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის (რომელიც DAI-ს მიერ ხორციელდება) წარმომადგენლებისა და ბახმაროს თემის წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირება და ადგილზე ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნეს პროექტების განვითარების პროცესში პროგრამის პოტენციური ჩართულობის განხილვა იყო.

პროგრამის ხელმძღვანელმა წარადგინა თავისი გუნდი, პროგრამის აღწერილობა და პრიორიტეტები, შემდეგ კი სიტყვა გადასცა ადგილობრივებს კითხვების დასასმელად.

ბახმაროში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით, ბ-მა ღლონტმა ორი იდეა შესთავაზა აუდიტორიას. ერთი ეხებოდა საბაგირო გზების, ხოლო - მეორე საჯინიბოს მოწყობას, რაც ტურისტებს ბახმაროს მახლობლად მდებარე საინტერესო ადგილების დათვალიერების საშუალებას მისცემდა.

ბ-მა შლუტიუსმა გამოხატა შიში იმასთან დაკავშირებით, რომ უძრავი ქონების მსხვილი დეველოპერები დააზიანებენ ბახმაროს, როგორც სამთო საოჯახო კურორტს. მისი თქმით, საზაფხულო კოტეჯების ქაოტური მშენებლობა კიდევ ერთი დიდი პრობლემაა კურორტისთვის. განვითარებასთან დაკავშირებით, მან ბავშვებისთვის და დამწყები მოთხილამურეებისათვის საბაგიროს მოწყობა შესთავაზა, რაც დაახლოებით 50-100 ათასი აშშ დოლარის ფარგლებში დაჯდება. USAID-ის პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული თანხა პროგრამის მიერ მხარდაჭერის ბიუჯეტის ფარგლებშია.

ერთ-ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, რომ ბახმაროში არ არსებობს საბავშვო მოედანი, მისი მოწყობა დიდი შეღავათი იქნებოდა ზაფხულობით ბახმაროში ჩამოსული ოჯახებისთვის.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ აღნიშნა, რომ ბახმაროში ნარჩენების მართვის პრობლემაა, განსაკუთრებით ზაფხულის სეზონზე, როდესაც ტურისტების რაოდენობა პიკს აღწევს. მან დაამატა, რომ საჭიროა სპეციალური ტექნიკა ზამთარში გზების გასაწმენდად, რათა ვიზიტორებმა შეძლონ კურორტზე ამოსვლა. მან ასევე განაცხადა, რომ კურორტზე არ არის სასწრაფო დახმარების მანქანა.

ჩხაკაურას სოფლის (ბახმაროსთან მიმდებარე) მკვიდრმა კოტეჯების მოწყობის იდეა შესთავაზა საზოგადოებას ხედებით მთებზე, რაც ტურისტებს მიიზიდავს.

შეხვედრის შეჯამებისას, USAID-ის პროგრამის ხელმძღვანელმა ადგილობრივებს სამი რჩევა მისცა და ურჩია, დაეთვალიათ მათი საპროექტო იდეების ზემოქმედება და აღწერათ, თუ

პოტენციურად რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნებოდა. მეორეც, მან შესთავაზა, ისეთი იდეა წარმოედგინათ, რომელიც ნამდვილად საჭიროა ადგილობრივი სიტუაციიდან გამომდინარე და არა ისეთი, რომელიც, მათი აზრით, USAID-ის პროგრამისთვის იქნებოდა მოსაწონი. და ბოლოს, მან აღნიშნა, რომ კომპანიის წინადადებები, რომლებიც არ მოუტანს სარგებელს ადგილობრივ თემს არ იქნება მხარდაჭერილი პროგრამის მიერ.



შეხვედრა ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ შეაჯამა. მან მადლობა გადაუხადა სტუმრებს ვიზიტისათვის და USAID-ის პროგრამისა და დაფინანსების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისთვის. მან პირობა დადო, რომ შემდგომი ნაბიჯის სახით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაცია ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შემოთავაზებულ იდეებს შეაგროვებს, გაანალიზებს და ყველაზე შესაფერის იდეებს USAID-ის პროგრამას წარუდგენს განსახილველად.

შეხვედრის ოქმი # 6

USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლების შეხვედრა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერთან

ოზურგეთი

27 ივნისი, 2021

შეხვედრის მონაწილეები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები:
 - კონსტანტინე შარაშენიძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი
 - ალექო მამეშვილი, ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის მუნიციპალური სერვისის ხელმძღვანელი
- USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლები
 - მარკ მაკკორდი, პროგრამის ხელმძღვანელი
 - გიორგი ახალაია, წარმოებისა და სერვისების კომპონენტის ხელმძღვანელი
 - პაატა სირბილაძე, ელექტრონული კომერციის ხელმძღვანელი
 - მაია ნიჟარაძე, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ჯგუფის ხელმძღვანელი
 - ნანუკა მიქელაძე, პროექტის სპეციალისტი
- CCEH-ის წარმომადგენლები:
 - მიხეილ ნიბლაძე, CCEH-ის დირექტორი
 - ნანა ბერძენიშვილი, CCEH-ის ESG მენეჯერი
 - დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი

მოკლე რეზიუმე

შეხვედრა CCEH-ის ორგანიზებითა და ფასილიტაციით შედგა. შეხვედრის მიზანი USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის (რომელიც DAI-ს მიერ ხორციელდება) წარმომადგენლებისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების ერთმანეთთან

დაკავშირება და ადგილზე ტურიზმთან დაკავშირებული ბიზნეს პროექტების განვითარების პროცესში პროგრამის პოტენციური ჩართულობის განხილვა იყო.

მხარეებმა ერთმანეთს თავისი საქმიანობის სფერო და შესაბამისი პროექტები გააცნეს. DAI-ს ჯგუფმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში არ ხორციელდება პირდაპირი ინვესტიციები სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის სექტორებში.

ოზურგეთის მერმა აღნიშნა, რომ ოზურგეთის ეკონომიკური განვითარების გეგმა 2019 წელს შემუშავდა და 5 წელიწადზეა გათვლილი. ამჟამად მიმდინარე პროექტებიდან, მან აღნიშნა 20 მილიონიანი პროექტი, რომელიც გომის მთისკენ მიმავალი ცენტრალური გზის რეაბილიტაციას ითვალისწინებს, და გომის მთის გენგეგმა, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) დახმარებით მუშავდება.

ამჟამად, ისინი ასიათასობით ვიზიტორის მოზიდვის გზებზე მუშაობენ, რომლებიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გავლით აჭარის სანაპიროსკენ გადაადგილდებიან. გააჩნია რა ეს პოტენციალი, ამ ვიზიტორების ნაწილის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოზიდვა და მათთვის საინტერესო და უნიკალური ტურისტული პროდუქტის შეთავაზება ძალზედ მომგებიანი იქნება ადგილობრივი ეკონომიკისათვის.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა „ჩაის მარშრუტის“ პროექტი. ოზურგეთში 4 ლოკაციაა, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ჩაის მოსავლის აღებისა (6 თვის განმავლობაში გრძელდება, აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით) და შეფუთვის პროცესში. მათ ასევე ექნებათ ადგილობრივი ჩაის დაგემოვნების შესაძლებლობა. ჩაის ფესტივალი ჩატარდა 2019 წელს. 15 ივლისს დაგეგმილია ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლებისა და ტურისტული პროდუქციის გამოფენა. ღონისძიებას დაესწრება იაპონიის ელჩიც. იაპონიის საელჩო ოზურგეთის მუნიციპალიტეტს ნარჩენების მართვის პროექტის განხორციელებაში ეხმარება, კერძოდ, ნარჩენების განცალკევების ინიციატივის განხორციელებაში სპეციალური სანაგვე ურნების განთავსების გზით და ნაგავმზიდი სატვირთო მანქანების შეძენაში.

USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ შთაბეჭდილებებზე დაფუძნებული ტურიზმი ძვირადღირებულ ტურისტებს იზიდავს, რომლებიც უფრო მეტ თანხას ხარჯავენ, მაგრამ ახალ, უჩვეულო შთაბეჭდილებებს ეძებენ. ამ თვალსაზრისით, მან აღნიშნა, რომ თანამშრომლობა ჩაის მარშრუტის, შეფუთვისა და ბრენდინგის ირგვლივ შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს პროგრამისთვის. მან პირობა მისცა, რომ დროულად გადადგავდნენ შემდგომ ნაბიჯს და განიხილავდნენ აღნიშნულ ინიციატივებში ჩართვის შესაძლებლობებს. ამ საკითხთან დაკავშირებით მომდევნო პირველი ზარი CCEH-ის ჯგუფთან დაგეგმილია კვირის განმავლობაში, რომელიც 28 ივნისით იწყება.

მხარეებმა მადლობა გადაუხადეს ერთმანეთს შეხვედრისთვის და გამოჩენილი ინტერესისთვის და მომდევნო განხილვებისა და შესაძლო ერთობლივი პროექტის შემუშავების იმედი გამოთქვეს.

შეხვედრის ოქმი # 7

CCEH-ის შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებთან

მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში

28 ივნისი, 2021

შეხვედრის მონაწილეები:

- CCEH-ის წარმომადგენლები:
 - მიხეილ ნიბლაძე, CCEH-ის დირექტორი
 - ნანა ბერძენიშვილი, CCEH-ის ESG მენეჯერი
 - დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები:
 - მაია ჩავლეშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში (სოფლები: მთისპირი, ვანისქედი და ოქროსქედი) - სოფლის რწმუნებული
 - რომან ვანაძე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში

მოკლე რეზიუმე

შეხვედრა CCEH-ის ინიციატივით შედგა. შეხვედრის მიზანი საპროექტო ტერიტორიასთან ახლო მდებარე თემების ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრა და მათთვის ბაზვი 1 ჰესის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო. შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით შედგა, CCEH-ის თხოვნის საფუძველზე.

შეხვედრა CCEH-ის დირექტორმა გახსნა, რომელმაც გააცნო CCEH, ბაზვი 1 ჰესის პროექტი და ინვესტორის მიზანი, დაიცვას უმაღლესი სტანდარტები ჰესის მშენებლობის თვალსაზრისით და შეიმუშაოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები ბუნებასა და სოციალურ გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად მაღალკვალიფიციური საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ ჩატარებული კომპლექსური კვლევების საფუძველზე.

სოფლის რწმუნებულმა კონსტრუქციული და პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა CCEH-ის ჯგუფის მიმართ. დასაწყისშივე, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ არ არის მცირე სიმძლავრის ჰესების წინააღმდეგ. მან დაამატა, რომ არც ადგილობრივები არიან ჰესის წინააღმდეგნი. უფრო მეტიც, ადგილობრივებმა, მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულიდან არჩეულმა წევრმა (ვლადიმერ ჩავლეშვილმა) ადგილობრივებთან შეხვედრა, რომელზეც ბახვი 2 ჰესის პროექტის გზმ განიხილებოდა, დაატოვებინეს გარემოსდაცვითი ორგანიზაცია ECO-ს დამფუძნებელს, ქ-ნ გორდელაძეს, რომელიც ჰესის პროექტის წინააღმდეგ ეწეოდა აგიტაციას.

სოფლის რწმუნებულმა ბახვი 3 ჰესის მაგალითი მოიყვანა და აღნიშნა, რომ მას აქტიური და ჯანსაღი ურთიერთობა აქვს ბახვი 3 ჰესის მენეჯმენტთან. მან აღნიშნა, რომ ბახვი 3 ჰესი პირველკლასელების ოჯახებს ეხმარება და მათთვის სკოლის მოსწავლეებისათვის საჭირო ნივთების კომპლექტს ყიდულობს. მისი თქმით, კოვიდ-19-თან დაკავშირებული კარანტინის დროს, უკიდურესად გაუარესებული ეკონომიკური მდგომარეობის პირობებში, როდესაც ადგილობრივებს შიმშილის საფრთხე ემუქრებოდა, ბახვი 3 ჰესის წარმომადგენლებმა 26 ოჯახისათვის (მათი შერჩევა სოფლის რწმუნებულის მიერ მოხდა მათი სოციალურ-ეკონომიკური მოწყვლადობის სტატუსიდან გამომდინარე) საკვები და სადუზინფექციო საშუალებების კომპლექტი შეიძინეს, რისთვისაც თავად რწმუნებული და მთლიანად თემი ძალიან მადლიერი არიან. ბახვი 3 ჰესთან დაკავშირებით, ერთადერთი წუხილი სოფლის რწმუნებულის მოადგილის მიერ გამოითქვა, რომელმაც აღნიშნა, რომ ჰესის მშენებლობის დროს სოფლის გზები დაზიანდა, ხოლო მათი შეკეთება მოგვიანებით არ მომხდარა.

არსებულ პრობლემებზე და პროექტის ფარგლებში თემისთვის შესაძლო დახმარებაზე საუბრისას, სოფლის რწმუნებულმა შემდეგი პრობლემები გამოყო:

- უმუშევრობა – ადგილობრივებისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო იქნება, თუ ბახვი 1 ჰესის პროექტის ფარგლებში დასაქმდებიან. უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ვანისქედის თემში, სადაც ადგილობრივები უკვე წლებია სეზონურ სამუშაოზე (თხილის საკრეფად) თურქეთში გადადიან, მაგრამ კოვიდ-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო ეს შესაძლებლობა აღარ აქვთ;
- საგზაო ინფრასტრუქტურა – თემებში არსებული შიდა გზები სავალალო მდგომარეობაშია. სოფლის რწმუნებულმა ხაზი გაუსვა სოფ. უკანავას მაგალითს, სადაც ბახვი 3 ჰესის სადგურამდე მისასვლელი დაახლოებით 1 კმ-იანი გზა შეიძლება შეკეთდეს და გამოყენებული იყოს ადგილობრივი მოსახლეობისა და ჰესის მიერ;
- სპორტული და რეკრეაციული ინფრასტრუქტურა – წლების განმავლობაში ადგილობრივ ახალგაზრდებს ფრენბურთისა და ფეხბურთის კარგი გუნდები ყავდათ, თუმცა, დღესდღეობით სოფლებში არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, როგორცაა, მაგალითად, საფეხბურთო მოედანი, კარი და ბადე;
- წყალმომარაგება – ვანისქედის თემს წყალმომარაგების პრობლემა აწუხებს

CCEH-ის დირექტორმა განმარტა, რომ კომპანია დაინტერესებულია და დიდი სურვილი აქვს ადგილობრივ თემს მათი პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროს, თუმცა ეს მხოლოდ მშენებლობის ფაზაზე გადასვლისას იქნება შესაძლებელი. სოფლის რწმუნებული დაეთანხმა აღნიშნულ შენიშვნას.

სოფლის რწმუნებულის მოადგილემ ასევე წარმოადგინა თემების დემოგრაფიული სტატისტიკა. მისი თქმით, ჯამში, მთისპირის ადმინისტრაციულ ერთეულში 209 ოჯახია 600-ზე მეტი მაცხოვრებლით, თუმცა დაამატა რომ სტატისტიკა საჭიროებს დაზუსტებას. თემების მიხედვით, სურათი შემდეგნაირია:

- მთისპირი – 69 ოჯახი
- ვანისქედი – 72 ოჯახი
- უკანავა – 31 ოჯახი
- ოქროსქედი – 37 ოჯახი

სოფლის რწმუნებულმა დაამატა, რომ უახლოეს მომავალში ის განაახლებს ამ ინფორმაციას და CCEH-ის სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების ჯგუფს გაუზიარებს. ასევე აღნიშნა, რომ მთისპირის სკოლაში დაახლოებით 100 მოსწავლეა, სკოლა ოთხივე თემს ემსახურება. მოსწავლეების ტრანსპორტირება შესაბამისი თემებიდან მთისპირის ცენტრში მინიავტობუსებით ხდება. საბავშვო ბაღს რაც შეეხება, ბაღში დაახლოებით 30 ბავშვია.

ბოლო პუნქტის სახით, სოფლის რწმუნებულმა და მისმა მოადგილემ კიდევ ერთხელ გამოხატეს თავისი მხარდაჭერა ბაზვი 1 ჰესის პროექტის მიმართ და დაამატეს, რომ ისურვებდნენ, ბაზვი 2 ჰესის პროექტიც CCEH-ის მიერ განხორციელდეს, რათა კომუნიკაცია ერთ ინვესტორთან შენარჩუნდეს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ CCEH-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჯგუფი ახლო მომავალში სოფლის რწმუნებულს დაუკავშირდება და შემდეგ შეხვედრას დაგეგმავს სოციალურ და ეკონომიკურ საჭიროებათა ანალიზის უფრო დეტალურად განსახილველად.

შეხვედრის ოქმი # 8
CCEH-ის შეხვედრა კლიმატის სამოქმედო რეგიონული ჯგუფის წევრებთან

ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის სივრცე „8+1“

ოზურგეთი

14 ივლისი, 2021

შეხვედრის მონაწილეები:

CCEH-ის მხრიდან:

- მიხეილ ნიბლაძე - CCEH-ის დირექტორი
- გიგლა სიხარულიძე - ბაზვი 1-ის პროექტის მენეჯერი
- ნანა ბერძენიშვილი - CCEH-ის ESG მენეჯერი
- დავით მიქელაძე - ბაზვი 1-ის ESG მენეჯერი
- ნიცა ჩოლოყაშვილი CCEH- საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი
- კახი მენაბდე - CCEH-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

CENN-ის მხრიდან:

- მარიამ თაყაიშვილი- შპს ისტისო
- კახი ნაჭყეპია - კოოპერატივი ნაგომარი
- დავით თენიშვილი-ინდ მეწარმე, ბაზვის ჩაი
- მედეა ორბელაძე, ცაგარეიშვილი- ეკო კლუბი
- თეა კუმაძე - სოფლის განვითარების სააგენტო
- ირინა საჯაია-არასამთავრობო ორგანიზაცია
- თეიმურაზ ჭანუყვაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია
- როინ გოგოტიშვილი - პროგრესის სახლი
- მანანა მინდაძე - სოფლის განვითარების სააგენტო
- ნაზიბროლა ყაზაიშვილი - კოლეჯი ჰორიზონტი
- ირმა გორდელაძე - ეკო, გარემოსდაცვის სათემო ორგანიზაცია

მოკლე მიმოხილვა

CCEH-ის ინიციატივით კლიმატის სამოქმედო რეგიონული ჯგუფის წევრებთან ჩატარდა შეხვედრა, რომ მომხდარიყო მიზნობრივი აუდიტორიისთვის პროექტის გაცნობა.

შეხვედრა გახსნა CCEH- ის დირექტორმა და გააკეთა ზოგადი პრეზენტაცია ბაზვი 1 ჰესის შესახებ. პროექტის მენეჯერმა ისაუბრა ტექნიკურ ასპექტებზე, ხოლო CCEH-ის ESG მენეჯერმა გააშუქა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები.

პრეზენტაციას მოჰყვა კითხვა-პასუხის სესია, სადაც მრავალი კითხვა დაისვა.

ბახმაროს კურორტი წარმოადგენდა დამსწრეებისთვის ყველაზე სენსიტიურ თემას. შესაბამისად, პროექტის მენეჯერმა ვიზუალიზაციისთვის წარადგინა დრონით გადაღებული ვიდეო კადრები, სადაც კარგად ჩანდა რამდენად არის პროექტი დაშორებული ბახმაროს დასახლებულ პუნქტს, ასევე ნაჩვენები იყო სად უნდა განთავსდეს ბახვი 1 ჰესის შეგუბების აუზი, სად არის რეკრეაციული ზონა და სად უნდა გავიდეს ბახვი 1 ჰესის მილსადენი.

დამსწრეები დაინტერესებულნი იყვნენ, რამდენად კომპეტენტური კომპანია ატარებდა კვლევას. ფონდის ESG მენეჯერმა აცნობა, რომ კომპანიამ ხელშეკრულება გააფორმა მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო გარემოსდაცვით საკონსულტაციო კომპანია SLR-თან, რომელიც აერთიანებს 1,600-მდე კონსულტანტს ბრიტანეთში, საფრანგეთში, ირლანდიაში, კანადაში, აშშ-ში, ავსტრალიისა და სამხრეთ აფრიკაში.

შეჯამება:

- შეხვედრამ კონსტრუქციულ ფორმატში ჩაიარა
- დამსწრეებმა აღნიშნეს რომ არ წავლენ პროექტის წინააღმდეგ თუ კვლევების შედეგები იქნება მისაღები ჰესის მშენებლობისთვის
- შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს მადლობა თანამშრომლობისთვის და აქტიური კომუნიკაციისთვის
- ხაზგასმული იქნა კომპანიის მიერ მოსახლეობის აზრის გათვალისწინების პრეცედენტი, რომ CCEH-მა მხედველობაში მიიღო და შეამცირა წყლის შეგუბების ფართობი 3.3 ჰა-დან 0.24 ჰა-მდე.



კითხვა-პასუხი:

შეხვედრის მსვლელობისას დაისვა შემდეგი კითხვები :

#	ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ირმა გორდელაძე	ეროვნული პარკის გახსნამდე გინდათ მოასწოროთ ჰესის მშენებლობა? სამინისტრო კი ორმაგ თამაშს თამაშობს	კომპანია: ინფორმაცია არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF), შვედეთის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებენ. მსგავს ადგილებზე კი ჰესების მშენებლობის ბევრი მაგალითი არსებობს მსოფლიოში (როგორც მცირე , ასევე დიდი ჰესებისაც).
2	დავით თენიეშვილი	სამივე ჰესი, რომელიც ბახვის წყალზე უნდა აშენდეს ერთი შეგუბების აუზი ექნება თუ სამივეს ცალ-ცალკე?	კომპანია: ყველა პროექტს ექნება ინდივიდუალური შეგუბების აუზი. ბახვი 3 დასრულებული პროექტია და ამ სექტორში არ არის რეკომენდირებული რამეს მიშენება ან დამატება.
3	მანანა მინდაძე	რა საშიშროების და რისკების წინაშე დგას CCEH? არსებობს სახსრები?	კომპანია: პროექტი გრძელვადიანია და ინვესტირებული თანხის დაბრუნება ხდება 10-12 წლის შემდეგ. შესაბამისად, ეს წარმოადგენს რისკს, თუმცა ფონდი გამყარებულია რეპუტაციული ინვესტირებით და შესაძლო ლიკვიდურობის პრობლემები არ განიხილება.
4	ირინა საჯაია	რა კავშირშია CCEH-ი ბახვი 3 ჰესთან?	კომპანია: ბახვი 3 ჰესის 40% შეისყიდა კომპანიამ აშენების შემდეგ და მის მმართველობაში ჩართულობა CCEH-ის მხრიდან მცირეა.
5	ნაზიბროლა ყაზაიშვილი	როგორ გადანაწილდება 700 ათასი ლარი ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებს შორის?	კომპანია: ჰესის მიერ გამოყენებული ტერიტორიის მიხედვით.
6	ირმა გორდელაძე	როგორ დამიმტკიცებთ იმას რომ ბახმაროს უნიკალურ კლიმატს არ გაანადგურებს 3 ჰესი ერთად?	კომპანია: კომპანიას ჩამოყავს სხვადასხვა სახის საერთაშორისო დონის ექსპერტები, საფრანგეთიდან, ავსტრიიდან, გერმანიიდან, რომლის კვლევებშიც გათვალისწინებული იქნება სამივე ჰესის ზემოქმედების გავლენა

			კლიმატზე და მხოლოდ მათი დასკვნების შემდეგ მიიღებს CCEH-ი გადაწყვეტილებას.
7	ირმა გორდელაძე	სად მიდის ენგურჰესის გამომუშავებული დენი? რუსეთში? შესაბამისად, ახალი ჰესები არ არის საჭირო, აღნიშნა მან	კომპანია: აფხაზეთში (და არა რუსეთში) მიდის 40% და ჰესები საჭიროა მეზობელ ქვეყნებზე დამოკიდებულების შესამცირებლად, განსაკუთრებით რუსეთზე, როგორც არასაიმედო პარტნიორზე.
8	მანანა მინდაძე	თუ კვლევებმა აჩვენა რომ დამაზიანებელ გავლენს ახდენს ჰესი ბახმაროს კლიმატზე მაგ შემთხვევაში როგორ იქცევა კომპანია?	კომპანია: მაგ შემთხვევაში, პროექტში CCEH-ი შეიტანს ცვლილებებს ან საერთოდ გააუქმებს მას.
9	დავით თენგიშვილი	რატომ ვამბობთ უარს ქარის და მზისგან გამომუშავებულ ელ. ენერგიაზე?	კომპანია: ქარის და მზის ენერგია არ არის სტაბილური, ვინაიდან დამოკიდებულია ამინდზე, თან შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა ჯდება ბევრად უფრო ძვირი, რომლის რესურსიც ამ ეტაპზე არც კომპანიას და არც სახელმწიფოს არ გააჩნია.

შეხვედრის ოქმი # 9

CCEH-ის შეხვედრა ოზურგეთის მერის მთისპირის წარმომადგენელთან

მთისპირის ადმინისტრაციული ერთეული

14 ივლისი, 2021

შეხვედრის მონაწილეები:

CCEH-ის მხრიდან:

- გიგლა სიხარულიძე, ბაზვის 1-ის პროექტის მენეჯერი
- დავით მიქელაძე, ბაზვის 1-ის ESG მენეჯერი
- კახი მენაბდე, ბაზვის 1-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები:

- მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის თემში
- რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირის თემში
- ვლადიმერ ჩავლეიშვილი-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მთისპირის თემიდან

მოკლე მიმოხილვა

შეხვედრა ჩატარდა CCEH-ინიციატივით, რათა პროექტის მენეჯერს გიგლა სიხარულიძეს და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერ კახი მენაბდეს გაეცნო ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის თემში.

შეხვედრა გახსნა ბაზვი 1 ჰესის მენეჯერმა გიგლა სიხარულიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ CCEH-ი მზად არის დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციისთვის და აღნიშნა რომ თითოეული ნაბიჯი კომპანიის მხრიდან იქნება ღია და გამჭვირვალე. შემდეგ კი დეტალურად გააცნო დამსწრეებს პროექტის-ის ტექნიკური საკითხები, მიზნები და გამოწვევები. ბაზვი 1-ის ESG მენეჯერმა, დავით მიქელაძემ, გააშუქა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები და აღნიშნა რომ კომპანია შექმნის პრეცედენტს და ჰესის მშენებლობის გარდა განახორციელებს თემისთვის მოთხოვნად და მისაღებ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრის მიერ შეხვედრაზე ასევე წარდგენილი იქნა საინფორმაციო ბიულეტენი, რომლის დარიგებაც CCEH-ს გადაწყვეტილი აქვს მთისპირის

თემში შემავალი ყველა ოჯახისთვის, რადგან თითოეული მთისპირის მაცხოვრებელი ინფორმირებული იყოს, პირველი წყაროდან, თუ რას აკეთებს კომპანია ამჟამად და რის გაკეთება აქვს დაგეგმილი მომავალში. ასევე კომპანიის წარმომადგენლებმა მუდმივი მზაობა გამოხატა იმისთვის, რომ შეხვდეს და გაითვალისწინოს მშენებლობასთან ახლომდებარე მოსახლეობის აზრი და ინტერესები.

შეხვედრის მონაწილეები ბიულეტენების დარიგების გადაწყვეტილებით კმაყოფილნი დარჩნენ, რის შემდეგაც, ESG მენეჯერმა შესთავაზა ინტერვიუს ჩაწერა და მომდევნო საინფორმაციო ბიულეტენში გამოქვეყნება, რაზეც თანხმობა განაცხადა, როგორც მთისპირის რწმუნებულმა ისე მთისპირის დეპუტატმა. შემდეგ კი შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გადაიზარდა.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ CCEH-ის გუნდს, მთის პირის წარმომადგენლებმა აჩვენეს ორი ადგილმდებარეობა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგში სოციალური პროექტების განსახორციელებლად.

ესენია:

- ფრენბურთის მოედანი- უკანავაში, რომლის ფართობია დაახლოებით 2500-3000 მ².

რწმუნებულის სურვილია მოედნის შემოღობვა, რადგან დაცული იყოს საქონლისა თუ სხვა მოსალოდნელი საფრთხისგან.

- ფეხბურთის მოედანი - ვანის ქედში, რომლის ფართობია დაახლოებით, 1000-1200 მ²

სურვილი აქვთ მოედნის კუთხეში მცირედი მიწის ჩამოჭრა ტრაქტორით და შემოღობვა 5 მეტრიანი სტანდარტული სტადიონის ღობით.

იხილოთ თანდართული ფოტოები:

ფრენბურთის მოედანი



ფეხბურთის მოედანი



შეხვედრის მსვლელობისას დაისვა შემდეგი კითხვები:

#	ავტორი	შეკითხვა	პასუხი
1	მაია ჩავლეიშვილი, რწმუნებული	3 ჰესის შედეგად ხომ არ გაქრება მდინარე?	გიგლა სიხარულიძე. მდინარის დონე არ შემცირებულა ბაზვი 3-ის აშენების შედეგად, შესაბამისად არც ახლა დაიკლებს , პლუს ამას კომპანიამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება მდინარის 10%-ის ნაცვლად დატოვოს 29% მილს გარეთ.
2	ვლადიმერ ჩავლეიშვილი, დეპუტატი	მშენებლობის პროცესში გზების დაზიანების შემთხვევაში თუ აღადგენთ მას?	გიგლა სიხარულიძე. კომპანია აუცილებლად ჩაუდებს კონტრაქტორს ხელშეკრულებაში, შესაბამის პუნქტს, რაც დაზიანდება ჰესის მშენებლობის პროცესში, რომ აუცილებლად იქნას აღდგენილი. ოღონდ მშენებლობის დაწყებამდე აუცილებლად უნდა მოხდეს სავალი გზის ვიდეო გადაღება და დასურათება, დაამატა დავით მიქელაძემ.
3	ვლადიმერ ჩავლეიშვილი, დეპუტატი	რამდენი კაცი იქნება დასაქმებული ჰესის მშენებლობის დროს?	გიგლა სიხარულიძე. დაახლოებით 150 დან 200 კაცამდე.
4	ვლადიმერ ჩავლეიშვილი	რამდენი კაცი იქნება დასაქმებული ჰესის ოპერირების დროს?	გიგლა სიხარულიძე. 15-20 კაცი.
5	მაია ჩავლეიშვილი, რწმუნებული	სახელმწიფო გავალდებულებთ სოციალური პროექტების გაკეთებას?	დავით მიქელაძე. არა, ეს არის კომპანიის კეთილი ნება და ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი ჩვენი CCEH-თვის.
6	ვლადიმერ ჩავლეიშვილი, დეპუტატი	რა გამოცდილება აქვს კომპანიას?	პასუხობს დავით მიქელაძე. კომპანიას აქვს დასრულებული ჰესი სვანეთში და ამჟამად მშენებლობას ახორციელებს ახალქალაქში.
7	ვლადიმერ ჩავლეიშვილი, დეპუტატი	გავლენა ექნება თუ არა ჰესს ბახმაროს კლიმატზე?	პასუხობს გიგლა სიხარულიძე. პატარა ჰესები ვერ ახდენს კლიმატზე ზეგავლენას, თუმცა კომპანია მაინც ატარებს კვლევებს, რომლის შედეგებსაც ეტაპობრივად გააცნობს საზოგადოებას.

8	მაია ჩავლეიშვილი, რწმუნებული	რა გავლენა ექნება ჰესს მდინარეში არსებულ კალმახზე?	გიგლა სიხარულიძე. როგორც ბახვი 3 ჰესის მშენებლობის დროს გაკეთდა თევზ სავალი, ანალოგიურად გაკეთდება ბახვი 1-ზეც, რომლის საშუალებითაც ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს კალმახი მდინარეში არსებობას და გადაადგილებას.
---	------------------------------------	--	--

შეხვედრის ოქმი # 10

საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ მთისპირში.
2021 წლის 29 ივლისი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • ვალერი ხაჩიძე, პროექტის მენეჯერის მოადგილე • ზურაბ სოსელია, პროექტის ტექნიკური გუნდის წარმომადგენელი • კახი მენაბდე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის თემში • რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირის თემში
ადგილობრივი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობა - 20 ადამიანი

• შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ მთისპირის ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის შესახებ. საერთო ჯამში, შეხვედრაზე 20-მდე ადამიანი შეიკრიბა. CCEH-ის ESG მენეჯერმა გააკეთა პროექტის შესახებ სრული პრეზენტაცია, ასევე გააშუქა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, ხოლო ბაზვი 1-ის პროექტის მენეჯერის მოადგილემ ისაუბრა ტექნიკურ ასპექტებზე და რუქაზე აჩვენა მთისპირის წარმომადგენლებს, თუ სად უნდა აშენდეს ჰესი, სად უნდა განთავსდეს სათავე ნაგებობა, სად უნდა გავიდეს მილსადენი და ა.შ

შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა და თავიდანვე კითხვა-პასუხის ფორმატში შევიდა. შეკრებილ აუდიტორიას ძირითადად აინტერესებდა რა სარგებელს მიიღებდა სოფელი ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

შეხვედრაზე განსაკუთრებით აქტიურობდა ომარ მახარაძე (ადგილობრივი მკვიდრი) და ნანა ჭეიშვილი (მთისპირის სკოლის დირექტორი) რომელმაც სოციალური პროექტების ნაწილში შემოგვთავაზა რამდენიმე იდეა:

- მთისპირის თემის მოსწავლეების დაფინანსება, რომლებიც ჰიდრო ენერგეტიკაზე ჩააბარებენ უნივერსიტეტში.
- სკოლის სახურავის შეკეთება
- მთისპირის ღვაწლმოსილი ადამიანების დასაჩუქრება.

მთისპირის ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ასევე წამოაყენეს 3 მთავარი სურვილი

1. უფასო ელ. ენერგია სოფელს ან შემცირებული ტარიფები
2. სოფლის სავალი გზის მოწესრიგება
3. ადგილობრივების დასაქმება ჰესის მშენებლობის და ოპერირების დროს.

საბოლოო ჯამში შეხვედრა კონსტრუქციული გამოვიდა და ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, ღიად დააფიქსირეს ჰესის აშენების სურვილი და მხარდაჭერა გამოუცხადეს კომპანიას.

• შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვა-პასუხი:

#	კითხვის ავტორი	კითხვა	კითხვის პასუხი
1	ნანა ჭეიშვილი, მთისპირის სკოლის დირექტორი	როდის იწყებთ ჰესის მშენებლობა?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. 2021 წლის ბოლომდე კომპანიამ უნდა ჩაატაროს კვლევები და მიიღოს შესაბამისი ნებართვები, რის შედეგადაც თუ ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერაც იქნება მშენებლობა დაიწყება 2022 წლიდან.
2	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ჰესის მშენებლობის დროს მარტო შავი მუშა ხელი დასაქმდება ადგილობრივებიდან?	პასუხობს დავით მიქელაძე. თუ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები წარმომადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ ცნობას და შესაბამის ტექნიკურ ცოდნას დავასაქმებთ სხვადასხვა პოზიციებზე და მივცემთ წინსვლის და განვითარების შესაძლებლობებს.
3	ომარ მახარაძე, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	მთისპირის თემის ყველა სოფელში არის გზის პრობლემა და ზამთარში ჭირს მოძრაობა თუ შეძლებთ რომ დაგვეხმაროთ ოზურგეთის მერიასთან ერთად ჩართულობით ამ პრობლემის მოგვარებაში	დავით მიქელაძე. სავალი გზის მოწესრიგების ვარიანტს სოციალური პროექტების ჭრილობაში აუცილებლად განიხილავს კომპანია და შემდეგ შეხვედრებზე ამცნობს მოსახლეობას პასუხს.

- შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 11

საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ ოქროსქედში.
მთისპირის თემი
2021 წლის 29 ივლისი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ol style="list-style-type: none"> 1. დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი 2. ვალერი ხაჩიძე, პროექტის მენეჯერის მოადგილე
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ol style="list-style-type: none"> 1. ზურაბ სოსელია, პროექტის ტექნიკური გუნდის წარმომადგენელი 2. კახი მენაბდე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ადგილობრივი საზოგადოება	<ol style="list-style-type: none"> 1. მათა ჩავლიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის თემში 2. რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირის თემში
ადგილობრივი საზოგადოება	<ol style="list-style-type: none"> 1. ადგილობრივი მოსახლეობა - 20 ადამიანი

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ ოქროსქედის ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის შესახებ. საერთო ჯამში, შეხვედრაზე 20-მდე ადამიანი შეიკრიბა. CCEH-ის ESG მენეჯერმა გააკეთა პროექტის შესახებ სრული პრეზენტაცია, ასევე გააშუქა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, ხოლო ბაზვი 1-ის პროექტის მენეჯერის მოადგილემ ისაუბრა ტექნიკურ ასპექტებზე და რუქაზე აჩვენა ოქროსქედის წარმომადგენლებს, თუ სად უნდა აშენდეს ჰესი, სად უნდა განთავსდეს სათავე ნაგებობა, სად უნდა გავიდეს მილსადენი და ა.შ

შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა და თავიდანვე კითხვა-პასუხის ფორმატში შევიდა. შეკრებილ აუდიტორიას ძირითადად აინტერესებდათ, ხომ არ დაშრებოდა მდინარე ბაზვის 1 ჰესის აშენების შედეგად და რა სარგებელს მიიღებდა სოფელი ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

განსაკუთრებით აქტიურობდა ბატონი ავთო მახარაძე, რომელმაც მოითხოვა სოფლისთვის ელ. ენერგიის ტარიფის შემცირება, თუმცა საბოლოო ჯამში შეხვედრა კონსტრუქციული გამოვიდა, ბატონმა ავთომაც და სხვა სოფლის მოსახლეობის წარმომადგენლებმა მადლობა გადაუხადეს CCEH-ის გუნდის წევრებს თანამშრომლობისთვის და ღიად დააფიქსირეს

საკუთარი აზრი, რომ ჰესის აშენების წინააღმდეგი არ არიან და პირიქით მიესალმებიან სოფელში მსგავსი პროექტების განხორციელებას.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	შეკითხვა	პასუხი
1	ამირან კვარაცხელია, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	მილში გატარების შედეგად ხომ არ დაშრება მდინარე?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოში მიღებული პრაქტიკაა წყლის 10%-ის დატოვება მილს გარეთ, CCEH-ი დატოვებს 29%, რასაც კიდევ გზადაგზა დაემატება შენაკადები, შესაბამისად მდინარის დაშრობა ბაზვი 1-ჰესის მხრიდან გამორიცხულია.
2	მაია ჩავლეიშვილი, მთისპირის რწმუნებული	წყლის დონე როგორ კონტროლდება მდინარეში?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. კომპანია მდინარეში აყენებს ხარჯთ მზომებს რის შედეგადაც კეთდება ამონაწერი და ეგზავნება სამინისტროს, თუ წყლის დონე 290 ლიტრამდე დაიწევს კომპანია ვალდებულია შეაჩეროს ჰესის ფუნქციონირება.
3	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რატომ გადაწყვიტეთ ჩადრეკილის გზის გამოყენება?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. კურორტ ბახმაროში რომ არ შევიდეთ და არ შევაწუხოთ დამსვენებლები და ტურისტები.
4	ავთო მახარაძე, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რას სარგებელი ექნება სოფელს ჰესის აშენების შედეგად?	პასუხობს დავით მიქელაძე. პირველ რიგში ეს იქნება ადგილობრივების დასაქმება, მშენებლობის პროცესში, დაახლოებით 100 ადამიანამდე 2-3 წლის განმავლობაში და ჰესის ოპერირების დროს დაახლოებით 15-20 კაცის დასაქმება. ასევე კომპანიას გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს სოციალური პროექტები, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნების და კომპანიის შესაძლებლობის ფარგლებში.
5	ავთო მახარაძე, ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	კომენტარი წინა პასუხიდან გამომდინარე. ჩვენ გვინდა ელექტრო ენერგიაზე ფასის დაკლება და სოფელში გზის მოწესრიგება.	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამოძუშავებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით და დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დეველოპერი კომპანიის უფლება მოსილებაში არ შედის. რაც შეეხება სავალი გზის მოწესრიგებას მაგას აუცილებლად განიხილავს კომპანია და პასუხს

			შემდეგ შეხვედრებზე ან სოფლის რწმუნებულის მეშვეობით ამცნობს მოსახლეობას.
--	--	--	---

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 12
საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ უკანავაში.
მთისპირის თემი
2021 წლის 29 ივლისი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • ვალერი ხაჩიძე, პროექტის მენეჯერის მოადგილე • ზურაბ სოსელია, პროექტის ტექნიკური გუნდის წარმომადგენელი • კახი მენაბდე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის თემში • რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირის თემში
ადგილობრივი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობა - 18 ადამიანი

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ უკანავას ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის შესახებ. საერთო ჯამში, შეხვედრაზე 20-მდე ადამიანი შეიკრიბა. CCEH-ის ESG მენეჯერმა გააკეთა პროექტის შესახებ სრული პრეზენტაცია, ასევე გააშუქა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, ხოლო ბაზვი 1-ის პროექტის მენეჯერის მოადგილემ ისაუბრა ტექნიკურ ასპექტებზე და რუქაზე აჩვენა უკანავას წარმომადგენლებს, თუ სად უნდა აშენდეს ჰესი, სად უნდა განთავსდეს სათავე ნაგებობა, სად უნდა გავიდეს მილსადენი და ა.შ.

შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა და თავიდანვე კითხვა-პასუხის ფორმატში შევიდა.

შეკრებილ აუდიტორიას პირველ რიგში აინტერესებდათ, სავალი გზის საკითხი, რადგან უკანავა ყველაზე ახლოს არის არსებულ ბაზვი 3 ჰესთან და აღნიშნეს, რომ ჰესის მშენებლობის პერიოდში გზა იყო პრაქტიკულად გაუვალი, როგორც ქვეითებისთვის, ასევე სედანის ტიპის ავტომობილებისთვის.

ასევე ადგილობრივები დაინტერესებული იყვნენ სოფელში სამუშაო ადგილების შექმნის და აღნიშნეს, რომ მათ ხშირად უწევთ თურქეთში წასვლა სამუშაოს მისაღებად.

საბოლოო ჯამში შეხვედრა კონსტრუქციული გამოდგა, მოსახლეობამ მაღლობა გადაუხადა კომპანიის წარმომადგენლებს ინფორმაციის მიწოდება, გაზიარებისთვის და აღნიშნეს რომ აუცილებლად მხარს დაუჭერენ პროექტს თუ გათვალისწინებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	კითხვის პასუხი
1	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ჰესების აშენების შედეგად ექნება ადგილობრივებს უფასო ელ. ენერგია ან შემცირებული ტარიფები მაინც?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამომუშავებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მაშტაბით და დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დეველოპერი კომპანიის უფლება მოსილებაში არ შედის.
2	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	თქვენ ააშენებთ ბახვი 3 ჰესი?	პასუხობს დავით მიქელაძე. ბახვი 3 ჰესის მშენებლობასთან CCEH-ი კავშირში არ არის.
3	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	კომენტარი წინა კითხვიდან გამომდინარე. ბახვი 3 ჰესის მშენებლობის დროს 2-ჯერ გადავკეტეთ სავალი გზა პროტესტის ნიშნად, რადგან გზა სოფლის მოსახლეობისთვის იყო გაუვალი და ძალზედ ტალახიანი.	პასუხობს დავით მიქელაძე. ბახვი 3-დან წილი CCEH-მა შეიძინა აშენების შემდეგ, შესაბამისად მშენებლობის პერიოდში შექმნილ პრობლემებზე პასუხისმგებელი ვერ იქნება, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინებს დაშვებულ შეცდომებს და მიიღებს პრევენციულ ზომებს.
4	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რამდენი ადამიანი დასაქმდება მშენებლობის პერიოდში?	პასუხობს დავით მიქელაძე. დაახლოებით 100 ადამიანი დასაქმდება 2-3 წლის განმავლობაში და ჰესის ოპერირების დროს დაახლოებით 15-20 ადამიანი.

5	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	კომენტარი. ბახვი 3-ის მშენებლობის დროს მუშა ხელი ჩამოყვანილი იყო სხვადასხვა რეგიონებიდან, იმედია თქვენც ეგრე არ მოიქცევით.	პასუხობს დავით მიქელაძე. ჩვენი კომპანია აუცილებლად უზრუნველყოფს, რომ დასაქმებულების უმრავლესობა იყოს ადგილობრივი თემის წარმომადგენლები ჰესის მშენებლობის პერიოდში სამუშაო მოთხოვნებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.
---	--	--	--

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 13

საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ ვანისქედში.
მთისპირის თემი
2021 წლის 29 ივლისი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • ვალერი ხაჩიძე, პროექტის მენეჯერის მოადგილე • ზურაბ სოსელია, პროექტის ტექნიკური გუნდის წარმომადგენელი • კახი მენაბდე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირის თემში • რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირის თემში
ადგილობრივი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობა - 17 ადამიანი

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ ვანისქედის ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის შესახებ. საერთო ჯამში, შეხვედრაზე 20-მდე ადამიანი შეიკრიბა. CCEH-ის ESG მენეჯერმა გააკეთა პროექტის შესახებ სრული პრეზენტაცია, ასევე გააშუქა გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხები, ხოლო ბაზვი 1-ის პროექტის მენეჯერის მოადგილემ ისაუბრა ტექნიკურ ასპექტებზე და რუქაზე აჩვენა ვანისქედის წარმომადგენლებს, თუ სად უნდა აშენდეს ჰესი, სად უნდა განთავსდეს სათავე ნაგებობა, სად უნდა გავიდეს მილსადენი და ა.შ

შეხვედრა არაფორმალურ გარემოში, ღია ცის ქვეშ ჩატარდა და თავიდანვე კითხვა-პასუხის ფორმატში შევიდა. შეკრებილ აუდიტორიას ძირითადად აინტერესებდათ, ხომ არ დაშრებოდა მდინარე ბაზვის 1 ჰესის აშენების შედეგად და რა სარგებელს მიიღებდა სოფელი ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში.

ESG მენეჯერმა განაცხადა, გარდა იმისა რომ, CCEH-ი აშენებს ჰესს, კომპანიას აქვს კეთილი ნება განახორციელოს სოციალური პროექტები მთისპირის თემში შემავალ ყველა სოფელში, ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებების და კომპანიის შესაძლებლობების

გათვალისწინებით, რის შედეგადაც შეკრებილმა საზოგადოებამ წამოაყენა სოფელში შექმნილი პრობლემები.

ესენია:

- ვანისქედში მისასვლელი გზის ცუდი მდგომარეობა
- წყლის პრობლემა
- ელ. ენერგიის პრობლემა

აღნიშნეს რომ წყალი არ მოეწოდებათ სისტემატიურად, აქვთ ხელოვნური რეზერვუარი გაკეთებული და 9 კილომეტრის მანძილზე ჩამოყავთ მილსადენით, რომლითაც ამჟამად სარგებლობს 20 ოჯახი.

ასევე აღნიშნეს რომ საერთოდ არ აქვთ ელ. ენერგია ჩადრეკილში, (ბახმაროს მიმდებარე ტერიტორია) სადაც 32 ოჯახია წარმოდგენილი მთისპირის თემიდან და წელიწადში 4-5 თვეს ჩადრეკილში ატარებენ. (ეს ძირითად ის ოჯახებია რომლებიც მესაქონლეობას ეწევა და პირუტყვი მიჰყავთ საძოვრებზე.)

კომპანიის წარმომადგენლებმა აცნობეს, რომ ისინი განიხილავდნენ ყველა გაჟღერებულ საჭიროებებს და შემდეგ შეხვედრაზე დაბრუნდებოდნენ პასუხებით.

შეკრებილმა წევრებმა მადლობა გადაუხადეს კომპანიას შეხვედრისთვის და თანამშრომლობისთვის და იმედი გამოთქვეს რომ CCEH-ი მიიღებს მშენებლობის ნებართვას.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ჰესების აშენების შედეგად ექნება ადგილობრივებს შემცირებული ტარიფები მაინც ელ. ენერგიაზე?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამოძეუებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით და დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დევულოპერი კომპანიის უფლებამოსილებაში არ შედის.
2	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ჰესის აშენების შედეგად ხომ არ დაიკლებს წყლის დონე და ხომ არ დაშრება მდინარე?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. კომპანიას დაქირავებული ყავს საერთაშორისო დონის ექსპერტები, რომლებიც ატარებენ კვლევებს სხვადასხვა მიმართულებით და CCEH-ი იმოქმედებს მხოლოდ მათი დასკვნების და რეკომენდაციების შესაბამისად,

			<p>რაც შეეხება წყლის დონეს გვაქვს მაგის წარმატებული მაგალითი ბახვი 3-ის სახით, რომლის აშენების შედეგადაც წყლის დონე ბახვის წყალში არ შემცირებულა, ასე იქნება ახლაც. ასევე კომპანიის მხრიდან მდინარეში დაყენდება ხარჯთმშომები , რომლის საშუალებითაც მოხდება წყლის დონის კონტროლი და მონიტორინგი.</p>
3	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ჩადრეკილის დასახლებაში სადაც 32 ოჯახი ცხოვრობს საერთოდ არ გვაქვს ელ. ენერგია და შეძლებთ მაგ პრობლემის გადაჭრას?	<p>პასუხობს ვალერი ხაჩიძე.</p> <p>ენერგო პროს უფლებამოსილებაში შედის ახალ ობიექტებზე ელ. ენერგიის მიყვანა, მაგრამ ჩვენ ვეცდებით პოზიტიური როლი ვითამაშოთ მაგ საკითხის გადაჭრაში, ვინაიდან ბახვი 1 ჰესი საკმაოდ ახლოს არის ჩადრეკილის დასახლებასთან.</p>
4	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ჰესამდე მისასვლელად ვანისქედის გზა გჭირდებათ და ასფალტის დაგებას აპირებთ?	<p>პასუხობს ვალერი ხაჩიძე.</p> <p>გზას აუცილებლად მოვაწესრიგებთ, რომ მოხდეს შეუფერხებელი მოძრაობა როგორც სოფლის მოსახლეობისთვის ასევე კომპანიის თანამშრომლებისა და ტექნიკის, მაგრამ ასფალტის დაგებას ვერ დაგპირდებით, რადგან საკმაოდ მაღალი ბიუჯეტი ჭირდება, რომლის შესაძლებლობაც ამ ეტაპზე ჩვენს კომპანიას არ გააჩნია.</p>
5	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რამდენი ადამიანი დასაქმდება მშენებლობის პერიოდში?	<p>პასუხობს დავით მიქელაძე.</p> <p>დაახლოებით 100 ადამიანი დასაქმდება 2-3 წლის განმავლობაში და უკვე ჰესის ოპერირების დროს დაახლოებით 15 ადამიანი.</p>
6	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	წყლის რეზერვუართან მისასვლელი გზა, საიდანაც წყალი 20 ოჯახს მიეწოდება არის მიუვალი ავტომობილებისთვის და თუ შეგიძლიათ დაგვეხმაროთ სავალი გზის მოწესრიგებაში?	<p>პასუხობს დავით მიქელაძე.</p> <p>კომპანია აუცილებლად განიხილავს, როგორც აუზამდე მისასვლელი გზის ასევე, წყლის არასისტემატური მოწოდების პრობლემას და შემდეგ შეხვედრებზე დაგიბრუნდებით კონკრეტული პასუხებით.</p>

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 14

შეხვედრა მთისპირის საბავშვო ბაღის მენეჯერ ლელა ვაშალომიძესთან.

2021 წლის 19 აგვისტო.
მთისპირის საბავშვო ბაღი.

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none">• დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი• კახი მენაბდე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
მთისპირის საბავშვო ბაღის მენეჯერი	<ul style="list-style-type: none">• ლელა ვაშალომიძე

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან დაედგინა რა საჭიროებების და რა პრობლემების წინაშე დგას მთისპირის საბავშვო ბაღი, რის შედეგადაც კომპანია განიხილავს თითოეულ მათგანს და შესაძლებლობების ფარგლებში ეცდება მათ მოგვარებას.

ზოგადი ინფორმაცია:

- ბაღს ამჟამად ჰყავს 21 აღსაზრდელი, რომელთაც ემსახურება 2 აღმზრდელი (მთლიანი პერსონალი 9 ადამიანისგან შედგება)
- ბაღი მთისპირის 4-ვე სოფელს ფარავს(მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა)
- სკოლის ტრანსპორტი ასევე ემსახურება საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს
- მთავარი პრობლემა აქვთ შენობის სიმცირე - ერთი ოთახი აქვთ სულ და ვერ ხერხდება ბავშვების ასაკობრივ ჯგუფებად განაწილება, იმავე ოთახში ხდება კვებაც, კოვიდ რეგულაციების გამო დასაძინებელი სივრცის საიზოლაციო სივრცედ გადაკეთება მოუწიათ და ბავშვები ვეღარ იძინებენ.
- ბაზვი 3 ჰესი დაეხმარა სამზარეულო სივრცის კეთილმოწყობასა და საჭირო ტექნიკით აღჭურვაში.

უახლოეს პერიოდში ბაზვი 1 ჰესის პროექტის მხრიდან შესაძლო დახმარების მიმართულება:

- საბავშვო სათამაშოების შეძენა (პაზლები, კუბიკები, კონსტრუქტორები, ზღაპრების წიგნები და სხვა)

- ბაღს არ გააჩნია ტელევიზორი, კომპიუტერი და პროექტორი. აღნიშნული დაეხმარებოდა ბავშვებისთვის უფრო გაამრავალფეროვნონ პროგრამა, აყურებინონ მულტფილმები და სხვადასხვა ჩვენებები მოუწეონ
- ბაღს არ აქვს ინტერნეტი
- ბაღის ეზოს კეთილმოწყობა - ეზოს გასართობი მოწყობილობები (სასრიאלო, საქანელა, აიწონა-დაიწონა, და ა.შ.).

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 15

შეხვედრა მთისპირის საჯარო სკოლის დირექტორ ნანა ჭეიშვილთან

2021 წლის 19 აგვისტო.

მთისპირის საჯარო სკოლა

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none">• დავით მიქელაძე, ბახვი 1 ჰესის ESG მენეჯერი• კახი მენაბდე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
მთისპირის საჯარო სკოლის დირექტორი	<ul style="list-style-type: none">• ნანა ჭეიშვილი

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან დაედგინა რა საჭიროებების და რა პრობლემების წინაშე დგას მთისპირის საჯარო სკოლა, რის შედეგადაც კომპანია განიხილავს თითოეულ მათგანს და შესაძლებლობების ფარგლებში ეცდება მათ მოგვარებას.

ზოგადი ინფორმაცია:

- სკოლაში სწავლობს 100 მოსწავლე
- სკოლა ემსახურება მთისპირის თემის 4-ვე სოფელს (მთისპირი, ოქროსქედი, უკანავა და ვანისქედი)
- სკოლაში ასწავლის 18 პედაგოგი
- სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები
- სკოლის შენობა აშენებულია 70-იან წლებში, საკმაოდ ამორტიზებულ მდგომარეობაშია - არასრულყოფილი გადახურვის გამო ფაქტობრივად მთელს შენობაში ჩამოდის წყალი, გარე ფასადიც შელახულია, სპორტული დარბაზი ამორტიზებულია და დაკეტილი აქვთ საფრთხის შემცველობის გამო (იატაკი ჩავარდნილია),
- არა აქვთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესაბამისი ლაბორატორია-ოთახი,
- გათბობა ხდება შეშის ღუმელებით (სოფელში არ არის გაზიფიკაცია)
- სკოლის ინფრასტრუქტურის დადებითი კუთხით შეიძლება აღინიშნოს:
 - აქვთ უწყვეტი წყლის მიწოდება და ასევე სათადარიგო რეზერვუარი,
 - სველი წერტილი შენობის შიგნით არის და მისაღებ მდგომარეობაშია,
 - მუნიციპალიტეტი უკეთებთ სათამაშო მოედანს (ხდება შემოღობვა რათა თამაშის დროს არ მოხდეს სკოლის ფანჯრების დაზიანება) რომლითაც როგორც სკოლის მოსწავლეები, ისე სოფლის ახალგაზრდობა ისარგებლებს.
 - ბახვი 3 ჰესი ეხმარება პირველკლასელებს სასკოლო ნივთების შეძენაში,

- სკოლას აქვს პრინტერები და პროექტორი.(გადასცა ბაზვი 3 ჰესმა)
- სკოლის ეზოს შესასვლელი მოპირკეთებულია ცემენტის ზედაპირით.(ცემენტი დაასხა ბაზვი 3 ჰესმა)

ბაზვი 1 ჰესის პროექტის მხრიდან შესაძლო დახმარების მიმართულება:

- I. სკოლის წინაშე დგას კომპიუტერების განახლების საჭიროება (კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახის სურათი თან ერთვის).
- II. სკოლას აქვს ბიბლიოთეკა, თუმცა დიდი ხანია არ მომხდარა მისი განახლება თანამედროვე მხატვრული ლიტერატურით. ასევე, სასურველი იქნებოდა უცხოენოვანი (ინგლისური, რუსული) ლიტერატურაც და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლიტერატურაც;
- III. სკოლას არ გააჩნია ვიდეო მონიტორინგის კამერა და სასურველი იქნებოდა მისით აღჭურვა;
- IV. სკოლის შენობაში სასურველია ინტერნეტის გამაძლიერებლის დაყენება, რათა შენობის უმეტესი ნაწილის დაფარვა მოხდეს ინტერნეტით;
- V. სკოლას არა აქვს კონტაქტები USAID-ის, ევროკავშირის ან რაიმე მსგავსი დონორების პროგრამებთან. CCEH-ის მხრიდან სხვადასხვა სალექციო კურსების ორგანიზებას მიესალმებიან, თუ შეთანხმებული იქნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რესურს-ცენტრთან;

3.შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 16

ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოსდაცვით და სოციალური საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს გასვლითი შეხვედრა

ახალქალაქი

2021 წლის 8-9 სექტემბერი.

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მიხეილ ნიზლაძე - CCEH-ის დირექტორი • ნანა ბერძენიშვილი - CCEH-ის ESG მენეჯერი • დავით მიქელაძე - ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • ვალერი ხაჩიძე - პროექტის მენეჯერის მოადგილე • ნოდარ თხელიძე - გარემოს დაცვის ოფიცერი • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ბაზვის 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნუგზარ ასათიანი - ჟურნალისტი. (გაზეთი ალიონი, ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოება „ქორბუდე“.) • ლიკა ასიეშვილი - პროექტების კოორდინატორი. (ახალგაზრდული ცენტრი „პროგრესი“) • ქრისტინე გურიელიძე - პროექტის მენეჯერი. (Powder Project ბაზმარო) • დავით თენიეშვილი - ინდივიდუალური მეწარმე. (ჩაის საწარმო სოფ. ბაზვი) • ია მამალაძე - ჟურნალისტი (გურიანიუსი) • ლელა მდინარაძე - ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახური, პრივატიზების განყოფილების უფროსი. (ჩოხატაურის მერია) • ვლადიმერ მენაბდე - ჟურნალისტი. (გურიის მოამბე) • თამარ ონიანი - პროექტების კოორდინატორი (ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი) • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირში

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რომელმაც უზრუნველყო ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე

მრჩეველთა საბჭოს მორიგი შეხვედრა ახალქალაქში, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე მშენებლობა, რომელიც 2022 წელს შევა ექსპლუატაციაში.

საბჭოს შეკრების და ახალქალაქში ვიზიტის მიზანი, როგორც ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარების ეტაპების გაცნობა, ასევე, კომპანია CCEH-ის პროტფელში არსებული, მდინარე ფარავანსა და მის მარჯვენა შენაკადზე, კორხისწყალზე მშენებარე, მოდინებაზე მომუშავე მცირე, ახალქალაქი ჰესის დათვალიერება, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების და სპეციფიკის გაცნობა იყო.

ვიზიტი 2 დღე გაგრძელდა, 8 სექტემბერს ჩატარდა პრეზენტაციები, 9 სექტემბერს მოეწყო ახალქალაქი ჰესის სამშენებლო ობიექტების მონახულება.

8 სექტემბერი

საბჭოს წევრებს, კომპანიის წარმომადგენლებმა პრეზენტაციის ფორმატში გააცნეს შემდეგი საკითხები:

- საქართველოს ენერგო სექტორი და ჰიდროენერგეტიკის როლი მასში.
- ბაზვის 1-ის გზშ ანგარიშის მომზადების ეტაპები
- ბაზვი 1-ის მიმდინარე კვლევები
- ბაზვი 1-ის სოციალური აქტივობები

ბაზვი 1 ჰესის მიმდინარე სიახლეების გაცნობის შემდეგ, ფონდის ESG მენეჯერმა, მრჩეველთა საბჭოს წევრებს წარუდგინა ახალქალაქი ჰესის პროექტი, რომელიც მოიცავდა როგორც ჰიდროელექტროსადგურის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე იმ სოციალური პროგრამების ჩამონათვალსაც, რომელიც განხორციელდა ახალქალაქი ჰესის ფარგლებში.

საბჭოს წევრების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სოფელ ორჯაში გაკეთებულმა წყლის სარწყავმა სისტემამ, რომლის მეშვეობითაც ხდება ადგილობრივი მოსახლეობის 600 ჰექტარი მიწის მორწყვა.

9 სექტემბერი.

საბჭოს თითოეულმა წევრმა, ახალქალაქი ჰესის პროექტის მენეჯერთან ერთად მოინახულეს ჰესის ყველა სამშენებლო არეალი. (ძალური კვანძი, სათავე ნაგებობა, სადაწნეო მილსადენი.)

ასევე სოფელ ორჯაში მდებარე, წყლის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა.

შეჯამება.

შეხვედრები ძირითადად კითხვა პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა.

საბჭოს წევრებს აინტერესებდათ რა სიკეთის მოტანა შეეძლოთ საქართველოში ჰესის მშენებლობებს, რომელი საერთაშორისო კომპანიები ატარებდნენ კვლევებს და იცავენ თუ არა უსაფრთხოების ზომებს ჰესის დეველოპერი კომპანიები.

შეხვედრა კონსტრუქციული გამოვიდა, საბჭოს წევრებმა ყველა დასმულ კითხვაზე მიიღეს პასუხები, განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს კომპანიის მიმართ, რომ ზრუნავენ მათი ცნობიერების გაზრდაზე და ყოველთვის მზად არიან დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციისთვის.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	კითხვის პასუხი
1	თამარ ონიანი	ბახვი 1 ჰესზე ვინ აწარმოებს კლიმატზე ზემოქმედების შესახებ კვლევას?	პასუხობს დავით მიქელაძე. კლიმატის კვლევას ახორციელებს ერთ-ერთი მაღალი რეპუტაციის მქონე კომპანია Blu Rivers (https://bluerivers.kiev.ua/home/) და დამოუკიდებელი ექსპერტი ფრანგული გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია Alpage-ის დამფუძნებელი, ბ-ნი პიერ ბიდერმანი, რომელსაც ჰიდროენერგეტიკის სფეროში გარემოსდაცვითი კვლევების კუთხით 25-წლიანი გამოცდილება აქვს. https://www.alpage-consult.com/fr/mentions-legales.html
2	თამარ ონიანი	წყლის დონე როგორ გაკონტროლდება ბახვის წყალში? როგორც მოგეხსენებათ მსოფლიო მასშტაბით იმატა გვალვების რაოდენობამ.	მიხეილ ნიბლაძე. კომპანია მდინარეში აყენებს ხარჯთ მზომებს რის შედეგადაც კეთდება ამონაწერი და ეგზავნება სამინისტროს, თუ წყლის დონე გარკვეულ დონეზე დაიწევს კომპანია ვალდებულია შეაჩეროს ჰესის ფუნქციონირება.
3	დავით თენიეშვილი	კომენტარი. საზოგადოებაში განჩნდა ეჭვები, რომ მრჩეველთა საბჭოს წევრები დაკარგავენ ობიექტურობას და გახდებიან CCEH-ის აზრის გამტარებლები.	პასუხობს დავით მიქელაძე. საბჭოს წევრებს აქვს ერთგვარი ელჩის ფუნქცია, რომლებიც აკეთებენ როგორც პოზიტიურ ასევე ნეგატიურ შეფასებებს.

4	თამარ ონიანი	ბახმაროზე მზის ჩასვლის ფერდობიდან გამოჩნდება ბახვი 1-ის სათავე ნაგებობა?	პასუხობს ქრისტი გურიელიძე.(მრჩეველთა საბჭოს წევრი) ამბობს რომ ორივე ლოკაციას კარგად იცნობს და შეუძლებელია გამოჩნდეს მზის ჩასვლის გორიდან ჰესის სათავე ნაგებობა.
5	ლიკა ასიეშვილი	თუ ექნება ადგილობრივ მოსახლეობას ელ. ენერგიის გადასახადზე შემცირებული ტარიფები?	პასუხობს დავით მიქელაძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამოიმუშავებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით, დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დეველოპერი კომპანიის უფლება მოსილებაში არ შედის.
6	ნუგზარ ასათიანი	ზღვის დონიდან რამდენ მეტრზე შენდება ახალქალაქი ჰესი?	პასუხობს მიხეილ ნიბლაძე ნიბლაძე. ზღვის დონიდან 1600 მეტრზე შენდება ახალქალაქი ჰესი.
7	ნუგზარ ასათიანი	დატბორვის ფართობი რამდენია ბახვი 1-ის და რამდენია ახალქალაქი ჰესის?	პასუხობს მიხეილ ნიბლაძე. ახალქალაქის არის 3,5 ჰა და ბახვის 1-ის ბევრად მცირე 0.3 ჰა.
8	ლიკა ასიეშვილი	ჩოხატაურში დიდი რესურსების დახარჯვის მიუხედავად ნაბეღლავი ჰესს აქვს ოპერირების პრობლემა. თქვენ რა გარანტიები გაქვთ, რომ თქვენს მიერ აშენებული ჰესი სრულფასოვნად იმუშავებს?	პასუხობს მიხეილ ნიბლაძე. შეცდომებს გარკვეულ ეტაპებზე ყველა დეველოპერი უშვებს, თუმცა CCEH-ს დაქირავებული ჰყავს კომპანია Afry, (სკანდინავიური საინჟინრო კომპანია Afry-ს ავსტრიული ოფისი https://afry.com/en) რომელიც იყენებს უმაღლეს სტანდარტებს და ჰყავს საუკეთესო ინჟინრები.

- შებენის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 17

ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გარემოსდაცვით და სოციალური საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს გასვლითი შეხვედრა
 ლახამი
 (მესტიის მუნიციპალიტეტი)
 2021 წლის 18-19 ოქტომბერი.

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მიხეილ ნიზლაძე - CCEH-ის დირექტორი • ნანა ბერძენიშვილი - CCEH-ის ESG მენეჯერი • დავით მიქელაძე - ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • ნიცა ჩოლოყაშვილი - PR მენეჯერი • თეკლა ნიკოლაშვილი - ოფის მენეჯერი • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ბაზვის 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნუგზარ ასათიანი - ჟურნალისტი. (გაზეთი ალიონი, ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოება „ქორბუდე“.) • ლიკა ასიეშვილი - პროექტების კოორდინატორი. (ახალგაზრდული ცენტრი „პროგრესი“) • დავით ჟღენტი - მერის წარმომადგენელი ბახმაროში • ია მამალაძე - ჟურნალისტი (გურიანიუსი) • ლელა მდინარაძე - ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახური, პრივატიზების განყოფილების უფროსი. (ჩოხატაურის მერია) • ვლადიმერ მენაბდე - ჟურნალისტი. (გურიის მოამბე) • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირში

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რომელმაც უზრუნველყო ბაზვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის, გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს რიგით მესამე შეხვედრა ლახამში, (სამეგრელო ზემო სვანეთს მხარე,

მესტიის მუნიციპალიტეტი.) სადაც ოპერირებს, CCEH-ის პორტფელში არსებული ლახამი ჰესი.

ლახამის ჰიდროელექტროსადგური მცირე ზომის, მდინარის მოდინებაზე არსებული კასკადური ტიპის ჰესია. მისი ჯამური დადგმული სიმძლავრე 18 მეგავატია, წლიური გამომუშავება კი 87 მილიონი კილოვატსაათი.

საბჭოს შეკრების და ლახამში ვიზიტის მიზანი, როგორც ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის განვითარების ეტაპების გაცნობა, ასევე, კომპანიის მიერ უკვე აშენებული ჰიდროელექტროსადგურის, ნახვა და მისი ინფრასტრუქტურის და მუშაობის სპეციფიკების გაცნობა იყო.

ვიზიტი 2 დღე გაგრძელდა , 18 ოქტომბერს ჩატარდა პრეზენტაციები დახურულ სივრცეში, 19 ოქტომბერს მოეწყო ლახამი ჰესის შემადგენელი ობიექტების მონახულება.

19 ოქტომბერი

საბჭოს წევრებს, კომპანიის წარმომადგენლებმა პრეზენტაციის ფორმატში გააცნეს შემდეგი საკითხები:

- ბახვის 1-ის გზშ-ს ანგარიშში შემავალი კვლევები.
- ბახვი 1-ის ფარგლებში განხორციელებული სოციალური პროექტები.

ბახვი 1 ჰესის მიმდინარე სიახლეების გაცნობის შემდეგ, ფონდის ESG მენეჯერმა, მრჩეველთა საბჭოს წევრებს წარუდგინა ლახამი ჰესის პროექტი, რომელიც მოიცავდა როგორც ჰიდროელექტროსადგურის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ასევე იმ სოციალური პროგრამების ჩამონათვალსაც, რომელიც განხორციელდა ლახამი ჰესის ფარგლებში.

19 ოქტომბერი.

საბჭოს თითოეულმა წევრმა, ლახამი ჰესის წარმომადგენლებთან ერთად მოინახულეს ლახამის ჰესის ძალური კვანძი, სათავე ნაგებობა, თევზსავალი და მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია მათი ტექნიკურად ფუნქციონირების შესახებ.

მრჩეველთა საბჭოს წევრები ასევე ჩაერთვნენ ხეები დარგვის აქციაში, რომლის ფარგლებში 3000 ძირი ქართული მუხისა და ნეკერჩხლის ნერგი დაირგო, ლახამი ჰესის საპროექტო ტერიტორიის 2 მონაკვეთზე, კერძოდ, ზედა წყალმიმღებთან, ჰესის შენობასთან და ასევე მესამე ადგილზე, რომელიც ადგილობრივ მაცხოვრებლებთან კონსულტაციის შედეგად შეირჩა. ტყის განაშენიანების ინიციატივა ჰიდროელექტროსადგურის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მართვის დეპარტამენტის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა, რომელშიც წვლილი ზახვი-ის გარემოსდაცვით და სოციალური საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს წევრებმაც შეიტანეს.

შეჯამება.

შეხვედრები საინტერესო და ინფორმაციული გამოვიდა,

საბჭოს წევრებმა ყველა დასმულ კითხვაზე მიიღეს პასუხები,

გარდა საკუთარი შეკითხვებისა მათ წარმოდგენილი ჰქონდათ არასამთავრობო ორგანიზაციის, გურიის სამოქალაქო ცენტრის შენიშვნები, ზახვი 1 ჰესის პროექტთან დაკავშირებით, რაზეც კომპანიის ESG მენეჯერისგან დეტალური განმარტებები მიიღეს.

საბჭოს წევრებმა მაღლიერება გამოხატეს კიდევ ერთი ნაყოფიერი და კონსტრუქციული შეხვედრისთვის.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ია მამალაძე	არასამთავრობო ორგანიზაციებს, მიაჩნიათ, რომ ზახვი 1-ის სკოპინგის ანგარიშში, ბიომრავალფეროვნებაზე არ არის საკმარისი ინფორმაცია მოცემული.	პასუხობს მიხეილ ნიბლაძე. სკოპინგის ეტაპზე ხდება ყველა საკითხის ზოგადი მიმოხილვა და სიღრმეებში ჩასვლა მიზანშეწონილი არ არის, ასევე ამას არ ითხოვს არც კანონმდებლობა. რაც შეეხება ბიომრავალფეროვნებას, ამ მიმართულებით კვლევებს ატარებს SLR Consulting-ის, ბრიტანეთის ოფისის ექსპერტი ნიკოლა ფოლკსი, რომლის ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ კომპანია მზად არის ნებისმიერ შეკითხვას უპასუხოს.
2	ია მამალაძე	კუმულაციური ზემოქმედების შეფასების დროს, თუ არის	ნანა ბერძენიშვილი. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების დროს ექსპერტები ითვალისწინებენ და აფასებენ ზახვი 2 ჰესის შესაძლო ზემოქმედებას.

		გათვალისწინებული ბაზვის წყალზე დაგეგმილი ბაზვი 2 ჰესის ზემოქმედება?	
3	მაია ჩავლეიშვილი	ბაზვი 3 ჰესი ყოველწლიურად ეხმარება მთისპირის სკოლის პირველკლასელებს, თქვენ რას ფიქრობ მაგ მიმართულებით?	პასუხობს დავით მიქელაძე. როგორც მოგეხსენებათ CCEH უკვე დაეხმარა სკოლას კომპიუტერული ლაბორატორიის განახლებაში, ასევე დაუმონტაჟა მათ ვიდეო მონიტორინგის კამარები. ამ ყველაფრის მიუხედავად, კომპანია აგრძელებს კომუნიკაციას სკოლის დირექტორთან და არის იდეა მოხდეს ხელშეწყობა კომპანიის მხრიდან მთისპირის სკოლის კურსდამთავრებულების, რომლებიც სწავლას, ჰიდროენერგეტიკის და გარემოსდაცვის მიმართულებით გააგრძელებენ.
4	ნუგზარ ასათიანი	კომენტარი. კარგი იქნება ბაზვი 1 ჰესს თუ აქცევთ ტურისტულ ლოკაციად, მოაწყობთ მოსასვენებელ სივრცეებს, ბაზვის წყლის ხეობაში ჩადგამთ ქოხებს და ა.შ	დავით მიქელაძე. ვიფიქრებთ აღნიშნულ საკითხზე.
5	ნუგზარ ასათიანი?	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში როდის უნდა ჩააბაროთ სამინისტროს?	პასუხობს მიხეილ ნიბლაძე. გზმ-ს ანგარიში უნდა ჩავაბაროთ 2021 წლის დეკემბერში.
6	დავით ჟღენტი	ზღვის დონიდან რამდენ მეტრზე მდებარეობს ლახამი ჰესი?	პასუხობს მიხეილ ნიბლაძე ნიბლაძე. ზღვის დონიდან 600 მეტრზე.
7	ია მამალაძე	თევზის რა სახეობებია ლახამში, რომლებიც გადაადგილდებიან ლახამი ჰესის თევზსავალით.	ლახამი ჰესის წარმადგენელი. ძირითადად კალმახი, რომლისთვისაც სრულებით ადაპტირებულია მოცემული თევზსავალი.
8	ნუგზარ ასათიანი	რამდენ მეგავატს გამოიმუშავენს ერთი აგრეგატი?	ლახამი ჰესის წარმადგენელი. ერთი აგრეგატი გამოიმუშავენს 3.6 მეგავატს, სულ 5 აგრეგატია და სრული დატვირთვის

			შემთხვევაში ლახამი ჰესი გამოიმუშავებს 18 მეგავატს.
--	--	--	--

გურიის სამოქალაქო ცენტრის შენიშვნები.

#	კითხვის ავტორი	კითხვა	კითხვის პასუხი
1	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N1:	ჰესის მშენებლობა დაგეგმილია ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში და მის მიმდებარედ, რომელიც ხასიათდება უნიკალური მიკროკლიმატით და ბიომრავალფეროვნებით.	ნანა ბერძენიშვილი. ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის ინფრასტრუქტურა, პროექტის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, სრულად გატანილია ბახმაროს რეკრეაციული ზონის საზღვრებს გარეთ. აღნიშნული გადაწყვეტილება პროექტის შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან რამდენიმე განხილვის და რეკომენდაციების საფუძველზე იქნა მიღებული.
2	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N2:	ჰესის საპროექტო ტერიტორია ემთხვევა გურიის ეროვნული პარკის კონტურებს.	ნანა ბერძენიშვილი. გურიის ეროვნული პარკი პროექტზე მუშაობა, რომელიც მოიცავს როგორც კვლევებს, ასევე საკანონდებლო მუშაობასაც, რაც ითვალისწინებს კანონპროექტის მომზადებას და საქართველოს პარლამენტის მიერ შესაბამისი კანონის მიღებას, 2023 წელს დასრულდება. ამ ეტაპზე, პარკის პროექტის არსებულ გეგმარებითი ტერიტორიის კონტურები დაახლოებით 30 ათას ჰექტარს მოიცავს და მასში არა მხოლოდ ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო არეალი, არამედ სხვა უკვე ოპერირებაში მყოფი, მშენებარე და დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურები და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტებიც ხვდება. შესაბამისად, ეროვნული პარკის საპროექტო ტერიტორიის შემდგომი დაზუსტება მოხდება პროექტის განვითარების პარალელურად. კომპანია აქტიურ კოორდინაციაში იმყოფება, როგორც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, ასევე დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და შვედეთის საელჩოს წარმომადგენლებთან, რათა საუკეთესო ევროპული პრაქტიკის

			გათვალისწინებით მოხდეს ეროვნული პარკისა და ჰიდროელექტროსადგურის პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.
3	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N3:	სკოპინგის ეტაპზე არ არის წარმოდგენილი კვლევები არცერთი მიმართულებით.	<p>ნანა ბერძენიშვილი.</p> <p>ეს განცხადება, არ შეესაბამება სიმართლეს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობით (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, მუხლი 8), სკოპინგის ეტაპი არ ითვალისწინებს პროექტის დეველოპერის მიერ დეტალური კვლევების წარდგენას, არამედ სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს დაგეგმილი საქმიანობის მოკლე აღწერას და ზოგად ინფორმაციას. მიუხედავად ამისა, ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის პროექტის გუნდმა როგორც უშუალოდ სკოპინგის ანგარიშში, ისე შემდგომ (2021 წლის აპრილის თვეში) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარდგენილი დამატებითი ინფორმაციის სახით წარადგინა სხვადასხვა მიმართულებით კვლევები, კერძოდ:</p> <ul style="list-style-type: none"> • გარემოზე შესაძლო ზემოქმედების აღწერა და შემარბილებელი ღონისძიებების წინასწარი მონახაზი • შესაძლო ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე და შემამსუბუქებელი ღონისძიებები • შესაძლო ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე (მათ შორის, ფლორა, ფაუნა - ძუძუმწოვრები, ფრინველები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, უხერხემლოები, წყლის ბიოლოგიური გარემო - იქტიოფაუნა) და შემამსუბუქებელი ღონისძიებები • ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე • ეკოლოგიური ხარჯის წინასწარი შეფასება • ჰესის მშენებლობის პროცესში აკუსტიკურ ფონზე ზემოქმედების შეფასება • და სხვა

4	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N4:	არასწორად არის წარმოდგენილი ნულოვანი (არაქმედების) ალტერნატივა.	ნანა ბერძენიშვილი. როგორც ზემოთ აღინიშნა სკოპინგის ეტაპი არ ითვალისწინებს ჩაღრმავებული და ყოვლისმომცველი კვლევების შედეგების ასახვას დოკუმენტში. თუმცა, გზშ-ში ეს საკითხი დეტალურად იქნება ასახული.
5	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N5:	ბახმაროს მიკროკლიმატზე ჰიდროელექტროსადგ ურის შესაძლო ზემოქმედება შეფასებულია მომველებული, საბჭოთა მეთოდოლოგიით.	ნანა ბერძენიშვილი. აღსანიშნავია, რომ CCEH-მა მაქსიმალურად გაითვალისწინა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციები და ჰიდროელექტროსადგურის ახალ პროექტში მნიშვნელოვნად შევამცირა შეგუების ფართობი (3 ჰექტარიდან 0.3 ჰექტარამდე). ასევე, გაითვალისწინა გარემოსდამცველების თხოვნა, კვლევებში უცხოელი ექსპერტების ჩართვის შესახებ. კლიმატზე შესაძლო ზემოქმედების კვლევას ფრანგი ექსპერტი, პიერ ბიდერმანი აწარმოებს. ამჟამად კვლევა მიმდინარეობს და კომპანია ელოდება შედეგებს.
6	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N6:	არასრულფასოვნად არის წარმოდგენილი ბიომრავალფეროვნები ს შეფასება.	ნანა ბერძენიშვილი. ყოვლისმომცველი და ჩაღრმავებული კვლევა დაიწყო ივნისის თვეში. კვლევას აწარმოებს მსოფლიოში წამყვანი საკონსულტაციო კომპანია SLR Consulting-ის, ბრიტანეთის ოფისის ექსპერტი ნიკოლა ფოლკსი, რომელიც პირადად იმყოფებოდა საკვლევ საპროექტო ტერიტორიაზე, რის შემდეგაც ოზურგეთში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრა იყო ღია და ასევე, წინასწარ დაანონსებული კომპანიის მიერ, შესაბამისად დასწრების უფლება ყველა დაინტერესებულ მხარეს ჰქონდა. საინფორმაციო მასალა ამ შეხვედრის შესახებ და ასევე, ინტერვიუ ქალბატონ ნიკოლა ფოლკსთან შეგიძლიათ ნახოთ „გურია ნიუსის“, „გურიის მოამბის“ და გაზეთ „ალიონის“ ვებ გვერდებზე. SLR-ი ბიომრავალფეროვნების კვლევის ანგარიშს, შემარბილებელი ღონისძიებების სამოქმედო გეგმასთან ერთად გადმოსცემს კომპანიას ოქტომბრის ბოლოს. სწორედ ამ პერიოდში არის დაგეგმილი კვლევის შედეგების პრეზენტაცია ყველა

			დაინტერესებულ მხარესთან. კვლევას დაერთვება გზშ-ს დოკუმენტსაც.
7	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N7:	წყლის ეკოლოგიური ხარჯის დაანგარიშებისას გათვალისწინებული არ არის ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის მიდგომები.	<p>ნანა ბერძენიშვილი.</p> <p>პირველ რიგში ხაზგასასმელი ფაქტია, რომ მოცემული მომენტისათვის ახალი კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ და მასში განსაზღვრული რეგლამენტების ნაწილი დამტკიცებული არ არის და არც მისი დამტკიცების ზუსტი თარიღია ცნობილი. რაც შეეხება ხედვას ამ თემასთან დაკავშირებით, არასწორად იქნა აღქმული და გაგებული მდინარეში დასატოვებელი წყლის - ეკოლოგიური ხარჯის 12%-იანი ოდენობა. სინამდვილეში კი, ეკოლოგიური ხარჯი სათავე ნაგებობასთან მდინარის მთელი წლის ჩამონადენის 29 %-ს შეადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ სათავე ნაგებობის ქვემოთ ჰესის შენობამდე მდინარე ბახვისწყალს უერთდება შენაკადები, ზემოთხსენებული მდინარის კალაპოტში დატოვებული 29% იზრდება ეტაპობრივად და 42%-ს აღწევს.</p> <p>დამატებით ინფორმაცია ევროკავშირის წყლის ჩარჩო-დირექტივის შესახებ: გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) დახმარებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ ახალი კანონპროექტი. შემუშავებული კანონპროექტი შესაბამისობაშია ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივასთან და ემყარება წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპებს. კერძოდ, ახალი ჩარჩო კანონმდებლობა ქვეყანაში სააუზო მართვას დანერგავს სააუზო მართვის გეგმების მომზადებისა და განხორციელების საშუალებით. სააუზო მართვის გეგმა წარმოადგენს ინტეგრირებული მართვის მექანიზმს მდინარის აუზის დონეზე. საქართველოს ტერიტორია დაყოფილია მდინარეთა 6 სააუზო ტერიტორიულ ერთეულად, რომლებიც ან შავი ზღვის ან კასპიის ზღვის აუზებს მიეკუთვნებიან. შავი</p>

			ზღვის აუზს მიეკუთვნება: ენგური-რიონის, ჭოროხი-აჭარისწყალის და ბზიფი-კოდორის სააუზო ტერიტორიული ერთეულები. ხოლო, მტკვარი, ალაზანი-იორი და ხრამი-დებედა - კასპიის ზღვის აუზის შემადგენელი ნაწილია. მოცემული მომენტისათვის ახალი კანონი „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ და მასში განსაზღვრული რეგლამენტების ნაწილი დამტკიცებული არ არის და არც ზუსტი თარიღია ცნობილი.
8	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N8:	სკოპინგის ანგარიშით არ მტკიცდება, რომ არ ექნება ადგილი კურორტის ვიზუალურ დაბინძურებას და უარყოფით ვიზუალურ-ლანდშაფტურ ზემოქმედებას.	ნანა ბერძენიშვილი. აღნიშნული განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგანაც მიმდინარე წლის აპრილის თვეში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ჩვენს მიერ მიწოდებულ დამატებითი მასალების პაკეტში წარვადგინეთ ფოტომასალა პროექტის ადგილმდებარეობის და მისი ვიზუალური ხილვადობის შესახებ, სადაც ხაზგასმულია, რომ ვინაიდან, სათავე ნაგებობის საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ქვაბულს, საპროექტო ინფრასტრუქტურას ფარავს ხეობა, აგრეთვე დონეთა შორის სხვაობა კურორტ ბახმაროსა და საპროექტო სათავე ნაგებობის ტერიტორიას შორის სიმაღლეთა სხვაობა 140-200 მეტრია. შესაბამისად, ვიზუალურად წყალმიმღები ნაგებობა კურორტ ბახმაროს ტერიტორიიდან ხილვადი არ და ვერ იქნება. აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომია სამინისტროს ვებგვერდზე და არაერთხელ გაუზიარებია კომპანიის წარმომადგენლებს ფოტო და ვიდეო მასალები საჯარო შეხვედრებზე.
9	„გურიის სამოქალაქო ცენტრის“ „შენიშვნა“ N9:	არასრულფასოვნად არის წარმოდგენილი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება და გარემოზე მიყენებული შეუქცევადი ზიანი.	ნანა ბერძენიშვილი. კანონის მოთხოვნების შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედების სრულფასოვნანი კვლევა წარმოდგენილი იქნება პროექტის გზშ-ს ანგარიშთან ერთად. კვლევას აწარმოებს ფრანგი ექსპერტი, ბ-ნი პიერ ბიდერმანი, რომელსაც ჰიდროენერგეტიკის სფეროში გარემოსდაცვითი კვლევების კუთხით 25-წლიანი გამოცდილება აქვს. მის მიერ

		წარმოებული კვლევა იქნება დეტალური და ყოვლისმომცველი.
--	--	--

- შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 18

CCEH-ის და USAID-ის წარმომადგენლების შეხვედრა მთისპირის სკოლასა და საბავშვო ბაღში.

მთისპირი

2021 წლის 26 ოქტომბერი.

შეხვედრის მონაწილეები

CCEH - ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მიხეილ ნიბლაძე - CCEH-ის დირექტორი • დავით მიქელაძე - ბავშვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • ნიცა ჩოლოყაშვილი - PR მენეჯერი • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
USAID - ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნიკოლოზ ოყროშიძე - USAID-ის მრჩეველი ენერგეტიკის საკითხებში • ვანო პირველი - პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში • თამარ მურცხვალაძე - USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ol style="list-style-type: none"> 1. მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთისპირში 2. რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირში
მთისპირის სკოლის წარმომადგენელი	<ol style="list-style-type: none"> 1. ნანა ჭეიშვილი - მთისპირის სკოლის დირექტორი
მთისპირის ბაღის წარმომადგენელი	<ol style="list-style-type: none"> 1. ლელა ვაშალოშიძე - მთისპირის ბაღის მენეჯერი

შეხვედრის მიმოხილვა

CCEH-ის გუნდი USAID-ის ენერგეტიკის პროგრამის წარმომადგენლებთან ერთად მთისპირის სკოლასა და საბავშვო ბაღს ეწვია. შეხვედრის მიზანი იყო პოტენციური სფეროების გამოვლენა, რის შედეგადაც CCEH და USAID შეიმუშავებს საერთო

პროგრამას, რომელიც დაეხმარება მთისპირის სკოლასა და ბაღს წინსვლასა და განვითარებაში.

ერთ-ერთი ასეთი სფეროა, სკოლის მოსწავლეებისთვის განახლებადი ენერგიის გადაწყვეტილებების, ჰიდროენერგეტიკისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ლექციების სერიის შემუშავება.

იდეა დიდი ინტერესით მიიღო ადგილობრივმა სკოლის დირექტორმა, რომელიც შემდგომ განიხილება CCEH-სა და USAID-ის ენერგეტიკის პროგრამას შორის.

შეჯამება.

ნაყოფიერი შეხვედრა იყო, მთისპირის სკოლასა და ბაღზე ამომწურავი ინფორმაცია მიიღეს CCEH-ის და USAID ენერგეტიკის პროგრამის წარმომადგენლებმა, რის გათვალისწინებითაც შეუმუშავებენ ერთიან ადგილობრივებზე მორგებულ სამოქმედო გეგმას.

ვიზიტის დროს, როგორც სკოლის დირექტორმა, ასევე საბავშვო ბაღის მენეჯერმა და მათმა თანამშრომლებმა მადლობა გადაუხადეს CCEH-ის დირექტორს და გუნდს ბოლოდროინდელი მხარდაჭერისა და დახმარებისთვის.

სკოლის დირექტორმა იკითხა, გარდა კომპიუტერებისა, შესაძლებელია თუ არა კომპანიის მხრიდან ყურსასმენის, დინამიკის და ვიდეოკამერის გადაცემა მთისპირის სკოლისთვის.

CCEH განიხილავს ამ დამატებითი დახმარების გაწევას და კომპანიის წარმომადგენელი აუცილებლად დაუკავშირდება სკოლის ხელმძღვანელობას.

ზოგადი ინფორმაცია სკოლის შესახებ:

- სკოლაში სწავლობს 100 მოსწავლე
- სკოლა ემსახურება მთისპირის თემის 4-ვე სოფელს (მთისპირი, ოქროსქედი, უკანავა და ვანისქედი)
- სკოლაში ასწავლის 18 პედაგოგი
- სკოლას ემსახურება ტრანსპორტი, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები
- სკოლის შენობა აშენებულია 70-იან წლებში, საკმაოდ ამორტიზებულ მდგომარეობაშია - არასრულყოფილი გადახურვის გამო ფაქტობრივად მთელს შენობაში ჩამოდის წყალი, გარე ფასადიც შელახულია, სპორტული დარბაზი ამორტიზებულია და დაკეტილი აქვთ საფრთხის შემცველობის გამო (იატაკი ჩავარდნილია).
- არ აქვთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესაბამისი ლაბორატორია-ოთახი,
- გათბობა ხდება შეშის ღუმელებით (სოფელში არ არის გაზიფიკაცია)

ზოგადი ინფორმაცია ბაღის შესახებ:

- ბაღს ამჟამად ჰყავს 21 აღსაზრდელი, რომელთაც ემსახურება 2 აღმზრდელი (მთლიანი სტაფი 9 ადამიანისგან შედგება)

- ბაღი მთისპირის 4-ვე სოფელს ფარავს(მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა)
- სკოლის ტრანსპორტი ასევე ემსახურება საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს.
- მთავარი პრობლემა აქვთ შენობის სიმცირე - ერთი ოთახი აქვთ სულ და ვერ ხერხდება ბავშვების ასაკობრივ ჯგუფებად განაწილება, იმავე ოთახში ხდება კვებაც, კოვიდ რეგულაციების გამო დასაძინებელი სივრცის საიზოლაციო სივრცედ გადაკეთება მოუწიათ და ბავშვები ვეღარ იძინებენ.
- გათბობა ხდება შეშის ღუმელით.

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 19

CCEH-ის და USAID-ის წარმომადგენლების შეხვედრა მელექედურში

საწარმო პლანტაცია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

2021 წლის 26 ოქტომბერი.

შეხვედრის მონაწილეები:

CCEH - ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მიხეილ ნიბლაძე - CCEH-ის დირექტორი • დავით მიქელაძე - ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • ნიცა ჩოლოყაშვილი - PR მენეჯერი • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
USAID - ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მარკ მაკკორდი - ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი • ვანო ვაშაყმაძე - ტურიზმის სექტორის ხელმძღვანელი • ნიკოლოზ ოყროშიძე - USAID-ის მრჩეველი ენერგეტიკის საკითხებში • ვანო პირველი - პროექტის ხელმძღვანელის მოადგილე, USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში • თამარ მურცხვალაძე - USAID-ის ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამა საქართველოში
ასოციაცია ჩაის გზის წარმომადგენლები	<ol style="list-style-type: none"> 3. ალექო მამეიშვილი - ასოციაციის თავმჯდომარე 4. დავით თენიეშვილი - ასოციაციის წევრი 5. ლიკა მეგრელაძე - ასოციაციის წევრი 6. კახა ნაჭყება - ასოციაციის წევრი 7. ლანა ჟღენტი - ასოციაციის წევრი

შეხვედრის მიმოხილვა

კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგმა (CCEH), გურიის რეგიონში სტუმარ-მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარების მიზნით და საქართველოში ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად, USAID-ის ეკონომიკური

უსაფრთხოების და ენერგეტიკული მომავლის უზრუნველყოფის პროგრამებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

აღნიშნული პროექტის განხორციელება მიზნად ისახავს გურიის რეგიონში სტუმარ-მასპინძლობის სექტორის განვითარებას, რაც ერთმნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის ეკონომიკურ ზრდას.

დონორი ორგანიზაციების მხრიდან მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს, “გურიის ჩაის გზის” ასოციაციის მხარდაჭერას და ტურიზმის ინდუსტრიასთან საბაზრო კავშირების შექმნას, რათა რეგიონში ჩაის პოზიციონირება ისევე მოხდეს, როგორც კახეთში ღვინის. ეს კი მოიცავს, ტურისტული პროდუქტების განვითარებას, ჩაის მწარმოებლების შესაძლებლობების გაზრდას, “ჩაის გზის” მარშრუტის შექმნას, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს მამულებს, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი მდებარეობა, აწარმოებენ ავთენტურ პროდუქციას, და რაც მთავარია აქვთ ტურისტების გამასპინძლების შესაძლებლობა. ამ პროექტის განვითარების შემდეგ, “ჩაის გზის” ტურის ფარგლებში ჩამოსული ვიზიტორები შეძლებენ დააგემოვნონ ჩაი, მიიღონ მონაწილეობა მის მომზადებაში, მიიღონ ადგილობრივი კერძები და რაც მთავარია ახლოს გაეცნონ გურული სოფლების ეთნოგრაფიულ მახასიათებლებს.

ჩაის გზა

ტურისტული მარშრუტი „ჩაის გზა“, ადგილობრივი ხელისუფლების და კერძო სექტორის ინიციატივაა. ჩაის გზის ტურისტული პროექტის დაარსება რამდენიმე მნიშვნელოვანმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი ის, რომ ჩაის ნერგი საქართველოს ტერიტორიაზე პირველად სწორედ ოზურგეთში, ჯერ კიდევ 1847 წელს დაირგო და ასე დაიწყო ამ კულტურის გავრცელება მთელს საქართველოში და მეორე, მნიშვნელოვანი კომპონენტია ის გარემოება, რომ ჩაი ერთადერთი კულტურაა, რომელიც 6 თვის განმავლობაში (აპრილი – სექტემბერი) იძლევა ვეგეტაციას, ეს კი უნიკალური საშუალებაა ამ პერიოდის მანძილზე ჩამოსული ტურისტისთვის თავად მიიღოს მონაწილეობა მის კრეფაში და მომზადებაში.

შეჯამება.

შეხვედრა და იყო კონსტრუქციული და შედეგზე ორიენტირებული.

ადგილობრივი ჩაის მეწარმეები მაღლიერებას გამოხატავდნენ, CCEH-ის მიმართ, რადგან გარდა ენერგეტიკისა კომპანია ცდილობს დაეხმაროს გურიის რეგიონს სხვადასხვა დარგების განვითარებაში. ამ ყველაფრის ნათელი მაგალითია USAID-ის დაინტერესება ჩაის წარმოებით და მათთან მემორანდუმის გაფორმება, რომელიც ითვალისწინებს მეწარმეების დატრენინგებას, კახეთში ღვინის გზის მონახულებას და CCEH-ის მხრიდან ჩაის ასოციაციისთვის საოფისე ფართის გამოყოფას.

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 20

საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ მთისპირში.
2021 წლის 9 ნოემბერი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნანა ბერძენიშვილი- ფონდის ESG მენეჯერი. • დავით მიქელაძე- ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი. • ვალერი ხაჩიძე- პროექტის მენეჯერის მოადგილე. • ნოდარ თხელიძე - გარემოს დაცვის ოფიცერი. • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ბაზვის 1-ის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნუგზარ ასათიანი • დავით თენიშვილი
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთისპირის თემში • ვლადიმერ ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი მთისპირის თემიდან
ადგილობრივი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობა

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ მთისპირის ადგილობრივი მოსახლეობისთვის განახლებული ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის პროექტის შესახებ. კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან, შეხვედრაზე, განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ბიომრავალფეროვნების შესახებ კვლევა.
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ კვლევა.
- მიკროკლიმატზე შესაძლო ზეგავლენის კვლევა.
- ბაზვის 1-ის ფარგლებში განსახორციელებელი სოციალური პროექტები.

კომპანიის წარმომადგენლების გარდა შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, ბაზვის 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრები, რომლებმაც, როგორც მესამე მხარემ, გაუზიარეს ადგილობრივ მაცხოვრებლებს, საკუთარი მოსაზრებები, თუ რა კითხვები და რა რეკომენდაციები ჰქონდათ,

პროექტთან მიმართებაში, რომლებიც იქნა გაზიარებული და გათვალისწინებული კომპანიის მხრიდან.

ადგილობრივი მოსახლეობის წევრები კმაყოფილი დარჩა, იმ ფაქტით, რომ კვლევებში ჩართული იყო საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები, რომელთა გამოქვეყნებული ანგარიშები კითხვით ნიშნებს არ ტოვებს. აქედან გამომდინარე ადგილობრივმა საზოგადოებამ, ღიად გამოხატეს პროექტის მიმართ მხარდაჭერა.

კვლევების გაცნობის შემდეგ, ადგილობრივები ძირითად დაინტერესებული იყვნენ, რა სარგებელს მიიღებდა სოფელი და რამდენი ადამიანი იქნებოდა დასაქმებული კომპანიის მხრიდან. ასევე მსჯელობის საგანი გახდა და აზრთა სხვადასხვაობა იყო სოციალურ პროექტებზე, რომელიც უნდა განახორცილოს CCEH-მა, მშენებლობის დაწყების შემდეგ, მთისპირის თემში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე კომპანიის წარმომადგენლებმა, ადგილობრივ მაცხოვრებლებს შესთავაზეს შემდეგი გამოსავალი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი, კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით, ესტუმრება მთისპირის თემში შემავალ ყველა ოჯახს და შექმნის მონაცემთა ბაზას, ადგილობრივების სამუშაო გამოცდილების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. შეგროვებული ინფორმაციის ხარჯზე, კომპანიას ექნება დაზუსტებული პასუხი თუ რა რესურსი არსებობს და რამდენი, ადგილობრივი ადამიანის დასაქმებას შეძლებს, ჰესის მშენებლობისა და ოპერირების ფაზაზე. ბაზის შექმნის პარალელურად, კომპანიის წარმომადგენელი გააცნობს, სოციალურ პროექტების ჩამონათვალს და სურვილის შემთხვევაში გააფორმებს მემორანდუმს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის საფუძველზეც კომპანია აიღებს ვალდებულებას ჰესის მშენებლობის პარალელურად, განახორცილოს მემორანდუმით შეთანხმებული ყველა სოციალური პროექტი.

შეჯამება

საბოლოო ჯამში, კონსტრუქციული და ინფორმაციული შეხვედრა იყო. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა კვლევების შედეგებით, მაღლობა გადაუხადეს კომპანიის წარმომადგენლებს მიწოდებული ინფორმაციისთვის და იმედი გამოთქვას, რომ კომპანია დროულად მოიპოვებს შესაბამის ნებართვებს.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	კითხვის პასუხი
1	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	როდის იწყებთ ჰესის მშენებლობა?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. დამოკიდებულია სანებართვო პროცედურებზე რომელიც მოიცავს როგორც გარემოსდაცვით

			ასევე სამშენებლო ნებართვებს, მშენებლობა დაიწყება 2022 წელს.
	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	სოფელში არის კულტურის სახლი, რომელსაც ჰყავს საბავშვო წრეები და ოზურგეთის თეატრში აწყობენ წარმოდგენებს. თუ არის შესაძლებელი როგორც სკოლას და ბაღს, კულტურის სახლსაც გაუწიოს კომპანიამ მხარდაჭერა და დაეხმაროს არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაში?	პასუხობს დავით მიქელაძე. აუცილებლად განიხილავს და შეისწავლის კომპანია ამ საკითხს და შემდეგ შეხვედრებზე დაგიბრუნდებით პასუხებით.
2	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რას სარგებელი ექნება სოფელს ჰესის აშენების შედეგად?	პასუხობს დავით მიქელაძე. პირველ რიგში ეს იქნება ადგილობრივების დასაქმება. მშენებლობის პროცესში, დაახლოებით 100 ადამიანი და ჰესის ოპერირების დროს 15-20 ადამიანი. ასევე კომპანიას გადაწყვეტილი აქვს განახორციელოს სოციალური პროექტები, სოფლის მოსახლეობის მოთხოვნების და კომპანიის შესაძლებლობის ფარგლებში.
3	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ადგილობრივებს თუ ექნება დაწეული ტარიფები ელ. ენერგიაზე?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამომუშავებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით, წინასწარ დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დევ ელექტრო კომპანიის უფლებამოსილებაში არ შედის.
4	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ჰესის მშენებლობის დროს მარტო შავი მუშა ხელი დასაქმდება ადგილობრივებიდან?	პასუხობს დავით მიქელაძე. თუ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები წარმოადგენენ შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ ცნობას და შესაბამის ტექნიკურ ცოდნას დავასაქმებთ სხვადასხვა პოზიციებზე და მივცემთ წინსვლის და განვითარების შესაძლებლობებს.
5		მთისპირის თემის ყველა სოფელში არის	დავით მიქელაძე.

	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	სავალი გზის პრობლემა, შეძლებთ მაგ საკითხის გადაჭრას?	მოასწავს ვერ და არ დაგპირდებით, რადგან ძალიან დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, თუმცა შიდა სასოფლო გზების მოწესრიგების ვარიანტს სოციალური პროექტების კრილში აუცილებლად განიხილავს კომპანია.
--	--	--	---

- შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 21

საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ ვანისქედში.
2021 წლის 11 ნოემბერი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნანა ბერძენიშვილი- ფონდის ESG მენეჯერი. • დავით მიქელაძე- ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი. • ვალერი ხაჩიძე- პროექტის მენეჯერის მოადგილე. • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ბაზვის 1-ის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნუგზარ ასათიანი • დავით თენიშვილი
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთიპირის თემში • რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთიპირის თემში
ადგილობრივი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობა

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ ვანისქედის ადგილობრივი მოსახლეობისთვის განახლებული ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის პროექტის შესახებ. კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან, შეხვედრაზე, განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ბიომრავალფეროვნების შესახებ კვლევა.
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ კვლევა.
- მიკროკლიმატზე შესაძლო ზეგავლენის კვლევა.
- ბაზვის 1-ის ფარგლებში განსახორციელებელი სოციალური პროექტები.

კომპანიის წარმომადგენლების გარდა შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, ბაზვის 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრები, რომლებმაც, როგორც მესამე მხარემ, გაუზიარეს ადგილობრივ მაცხოვრებლებს, საკუთარი მოსაზრებები, თუ რა კითხვები და რა რეკომენდაციები ჰქონდათ,

პროექტთან მიმართებაში, რომლებიც იქნა გაზიარებული და გათვალისწინებული კომპანიის მხრიდან.

ადგილობრივი მოსახლეობის წევრები კმაყოფილი დარჩა იმ ფაქტით, რომ კვლევებში ჩართული იყო საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები, რომელთა გამოქვეყნებული ანგარიშები კითხვით ნიშნებს არ ტოვებს. აქედან გამომდინარე ადგილობრივმა საზოგადოებამ, ღიად გამოხატეს პროექტის მიმართ მხარდაჭერა.

კვლევების გაცნობის შემდეგ, ადგილობრივები ძირითად დაინტერესებული იყვნენ, რა სარგებელს მიიღებდა სოფელი და რამდენი ადამიანი იქნებოდა დასაქმებული კომპანიის მხრიდან. ასევე მსჯელობის საგანი გახდა და აზრთა სხვადასხვაობა იყო სოციალურ პროექტებზე, რომელიც უნდა განახორცილოს CCEH-მა, მშენებლობის დაწყების შემდეგ, მთისპირის თემში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე კომპანიის წარმომადგენლებმა, ადგილობრივ მაცხოვრებლებს შესთავაზეს შემდეგი გამოსავალი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი, კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით, ესტუმრება მთისპირის თემში შემავალ ყველა ოჯახს და შექმნის მონაცემთა ბაზას, ადგილობრივების სამუშაო გამოცდილების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. შეგროვებული ინფორმაციის ხარჯზე, კომპანიას ექნება დაზუსტებული პასუხი თუ რა რესურსი არსებობს და რამდენი, ადგილობრივი ადამიანის დასაქმებას შეძლებს, ჰესის მშენებლობისა და ოპერირების ფაზაზე. ბაზის შექმნის პარალელურად, კომპანიის წარმომადგენელი გააცნობს, სოციალურ პროექტების ჩამონათვალს და სურვილის შემთხვევაში გააფორმებს მემორანდუმს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის საფუძველზეც კომპანია აიღებს ვალდებულებას ჰესის მშენებლობის პარალელურად, განახორცილოს მემორანდუმში შეთანხმებული ყველა სოციალური პროექტი.

შეჯამება

კონსტრუქციული და ინფორმაციული შეხვედრა იყო. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა კვლევების შედეგებით, მაღლობა გადაუხადეს კომპანიის წარმომადგენლებს მიწოდებული ინფორმაციისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ კომპანია დროულად მოიპოვებს შესაბამის ნებართვებს.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ვანის ქედის მოსახლეობას აქვს წყლის მიწოდების პრობლემა და	პასუხობს კახი მენაბდე. ვანისქედის წყალმომარაგების მილი გადის საპროექტო გზის არეალში, ამიტომ კომპანია აუცილებლად შეისწავლის სპეციალისტების

		სოციალური პროექტების ნაწილში ხომ ვერ შეძლებთ წყალმომარაგების კუთხით დახმარებას.	ჩართულობით ამ საკითხს და შედეგ შეხვედრებზე გაგაცნობთ პასუხს. თუმცა დანამდვილებით შეგვიძლია, იმის თქმა თუ კომპანიის მხრიდან, მშენებლობის ეტაპზე დაზიანებული იქნება, რომელიმე კომუნიკაცია, CCEH-ი მყისიერ რეაგირებას მოახდენს და უზრუნველყოფს პრობლემის მალე და დროულად აღმოფხვრას.
2	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რა სარგებელ მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობა.	პასუხობს კახი მენაბდე. პირველ რიგში ეს იქნება ადგილობრივების დასაქმება. მშენებლობის პროცესში, დაახლოებით 100 ადამიანი და ჰესის ოპერირების დროს 15-20 ადამიანი დასაქმდება. ასევე კომპანია გეგმავს გაუწიოს დახმარება, მთისპირის სკოლის, კურსდამთავრებულებს, რომლებიც სწავლას, ჰიდროენერგეტიკის, გარემოსდაცვის და ინჟინერიის მიმართულებით გააგრძელებენ.
3	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ადგილობრივებს თუ ექნება დაწეული ტარიფები ელ. ენერგიაზე?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამომუშავებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით წინასწარ დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დეველოპერი კომპანიის უფლებამოსილებაში არ შედის.
4	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	თუ აპირებს კომპანია სოფლის შიდა გზების მოწესრიგებას?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. ჰესის საპროექტო გზა გადის ვანისქედში, რომელიც უნდა გამოიყენოს კომპანიამ მძიმე ტექნიკის გასატარებლად, შესაბამისად სპეციალისტები წინასწარ შეისწავლიან გზის მდგომარეობას და გვეტყვიან რა ღონისძიებების გატარება მოგვიწევს.
5	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	თქვენ ააშენეთ ბაზვი 3 ჰესი?	პასუხობს კახი მენაბდე. ბაზვი 3 ჰესის მშენებლობასთან CCEH-ი კავშირში არ არის, კომპანიამ წილი ბაზვი 3-ში შეიძინა აშენების შემდეგ.

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 22

საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ ოქროსქედში.
2021 წლის 12 ნოემბერი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნანა ბერძენიშვილი - ფონდის ESG მენეჯერი. • დავით მიქელაძე - ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი. • ვალერი ხაჩიძე - პროექტის მენეჯერის მოადგილე. • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ბაზვის 1-ის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • დავით თენიშვილი
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთიპირის თემში • რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთიპირის თემში
ადგილობრივი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობა

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ ოქროსქედის ადგილობრივი მოსახლეობისთვის განახლებული ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის პროექტის შესახებ. კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან, შეხვედრაზე, განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ბიომრავალფეროვნების შესახებ კვლევა.
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ კვლევა.
- მიკროკლიმატზე შესაძლო ზეგავლენის კვლევა.
- ბაზვის 1-ის ფარგლებში განსახორციელებელი სოციალური პროექტები.

კომპანიის წარმომადგენლების გარდა შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, ბაზვის 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრები, რომლებმაც, როგორც მესამე მხარემ, გაუზიარეს ადგილობრივ

მაცხოვრებლებს, საკუთარი მოსაზრებები, თუ რა კითხვები და რა რეკომენდაციები ჰქონდათ, პროექტთან მიმართებაში, რომლებიც იქნა გაზიარებული და გათვალისწინებული კომპანიის მხრიდან.

ადგილობრივი მოსახლეობის წევრები კმაყოფილი დარჩა იმ ფაქტით, რომ კვლევებში ჩართული იყო საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები, რომელთა გამოქვეყნებული ანგარიშები კითხვით ნიშნებს არ ტოვებს. აქედან გამომდინარე ადგილობრივმა საზოგადოებამ, ღიად გამოხატეს პროექტის მიმართ მხარდაჭერა.

კვლევების გაცნობის შემდეგ, ადგილობრივები ძირითად დაინტერესებული იყვნენ, რა სარგებელს მიიღებდა სოფელი და რამდენი ადამიანი იქნებოდა დასაქმებული კომპანიის მხრიდან. ასევე მსჯელობის საგანი გახდა და აზრთა სხვადასხვაობა იყო სოციალურ პროექტებზე, რომელიც უნდა განახორციელოს CCEH-მა, მშენებლობის დაწყების შემდეგ, მთისპირის თემში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე კომპანიის წარმომადგენლებმა, ადგილობრივ მაცხოვრებლებს შესთავაზეს შემდეგი გამოსავალი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი, კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით, ესტუმრება მთისპირის თემში შემავალ ყველა ოჯახს და შექმნის მონაცემთა ბაზას, ადგილობრივების სამუშაო გამოცდილების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. შეგროვებული ინფორმაციის ხარჯზე, კომპანიას ექნება დაზუსტებული პასუხი თუ რა რესურსი არსებობს და რამდენი, ადგილობრივი ადამიანის დასაქმებას შეძლებს, ჰესის მშენებლობისა და ოპერირების ფაზაზე. ბაზის შექმნის პარალელურად, კომპანიის წარმომადგენელი გააცნობს, სოციალურ პროექტების ჩამონათვალს და სურვილის შემთხვევაში გააფორმებს მემორანდუმს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის საფუძველზეც კომპანია აიღებს ვალდებულებას ჰესის მშენებლობის პარალელურად, განახორციელოს მემორანდუმით შეთანხმებული ყველა სოციალური პროექტი.

ბაზვი 1- ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრმა, დავით თენიეშვილმა, სოციალური პროექტების ჭრილში წამოაყენა, რამდენიმე საინტერესო იდეა. პირველი შეეხებოდა კომპანიის მხრიდან, ფინანსურ მხარდაჭერას მთისპირის სკოლის იმ კურსდამთავრებულების, რომლებიც გააგრძელებენ უნივერსიტეტში სწავლას, ვეტერინარიის და აგრონომიის მიმართულებით, რადგან მთისპირში და ზოგადად გურიაში, ამ სპეციალისტების დეფიციტია, მოთხოვნა კი მათზე ყოველდღიურად მზარდია.

ასევე გააჟღერა ბატონმა დავითმა სანერგე მეურნეობების მოწყობის იდეა, რადგან როგორც ბიო ფერმერს მიაჩნია, რომ მთისპირში კარგი პირობებია სხვადასხვა სახის სანერგე მეურნეობების განსავითარებლად, რაც ადგილობრივებს მიწების გამოყენების და შემოსავლის მიღების საშუალებას მისცემს.

შეჯამება

საბოლოო ჯამში კონსტრუქციული და ინფორმაციული შეხვედრა იყო. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა კვლევების შედეგებით, მადლობა გადაუხადეს კომპანიის წარმომადგენლებს მიწოდებული ინფორმაციისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ კომპანია დროულად მოიპოვებს შესაბამის ნებართვებს.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რა გიჟდებათ 1 კილოვატის წარმოება?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. როგორც ყველა სხვა დარგში ფასები მუდმივად და სწრაფად იზრდება, ამიტომ ამ ეტაპზე ზუსტ ციფრს ვერ დავასახელებთ.
2	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რა სარგებელ მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობა.	პასუხობს კახი მენაბდე. პირველ რიგში ეს იქნება ადგილობრივების დასაქმება. მშენებლობის პროცესში, დაახლოებით 100 ადამიანი და ჰესის ოპერირების დროს 15-20 ადამიანი დასაქმდება. ასევე კომპანია გეგმავს გაუწიოს დახმარება, მთისპირის სკოლის, კურსდამთავრებულებს, რომლებიც სწავლას, ჰიდროენერგეტიკის, გარემოსდაცვის და ინჟინერიის მიმართულებით გააგრძელებენ.
3	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ადგილობრივებს თუ ექნება დაწესებული ტარიფები ელ. ენერგიაზე?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამოიმუშავებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მასშტაბით, წინასწარ დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დეველოპერი კომპანიის უფლებამოსილებაში არ შედის.
4	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	პანდემიის დროს გაიზარდა ინტერნეტის მოხმარება სოფელში, თუმცა ხშირად გვაქვს შეფერხებები, ხომ ვერ შეძლებთ ამ კუთხით დახმარებას?	პასუხობს კახი მენაბდე. არსებული პრობლემა მარტო მთისპირის თემში არ არის და მთლიანად რეგიონში შეიქმნა გარკვეული ხარვეზები, თუმცა ინტერნეტ პროვაიდერი კომპანიები აქტიურად მუშაობენ ამ მიმართულებით და CCEH-ის ამ საკითხში ჩარევის საჭიროება არ დგას.

5	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ბახვი 3-ში შემცირება ხომ არ იგეგმება?	პასუხობს ნანა ბერძენიშვილი. 2021 წელს ბახვი 3-ში შემცირება არ იგეგმა, თუმცა თუ მომავალში ტექნოლოგიების განვითარების ხარჯზე მოხდება შემცირებები, კომპანია ეცდება კარგი და გამოცდილი მუშახელი გადაიყვანოს სამუშაოდ ბახვი 1-ში.
---	--	---------------------------------------	---

- შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 23

საჯარო შეხვედრა და დისკუსია
ბაზვი 1 ჰესის პროექტზე, სოფელ უკანავაში.
2021 წლის 12 ნოემბერი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნანა ბერძენიშვილი - ფონდის ESG მენეჯერი. • დავით მიქელაძე - ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი. • ვალერი ხაჩიძე - პროექტის მენეჯერის მოადგილე. • კახი მენაბდე - საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი
ბაზვის 1-ის მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ნუგზარ ასათიანი • დავით თენიშვილი
ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მაია ჩავლეიშვილი - ოზურგეთის მერის წარმომადგენელი მთიპირის თემში • რომან ვანაძე - ოზურგეთის მერის წარმომადგენლის მოადგილე მთიპირის თემში
ადგილობრივი საზოგადოება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი მოსახლეობა - 17 ადამიანი

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რადგან სოფელ უკანავას ადგილობრივი მოსახლეობისთვის განახლებული ინფორმაცია მიეწოდებინა ბაზვი 1 ჰესის პროექტის შესახებ. კომპანიის წარმომადგენლების მხრიდან, შეხვედრაზე, განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ბიომრავალფეროვნების შესახებ კვლევა.
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ კვლევა.
- მიკროკლიმატზე შესაძლო ზეგავლენის კვლევა.
- ბაზვის 1-ის ფარგლებში განსახორციელებელი სოციალური პროექტები.

კომპანიის წარმომადგენლების გარდა შეხვედრაზე იმყოფებოდნენ, ბაზვის 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრები, რომლებმაც, როგორც მესამე მხარემ, გაუზიარეს ადგილობრივ მაცხოვრებლებს, საკუთარი მოსაზრებები, თუ რა კითხვები და რა რეკომენდაციები ჰქონდათ,

პროექტთან მიმართებაში, რომლებიც იქნა გაზიარებული და გათვალისწინებული კომპანიის მხრიდან.

ადგილობრივი მოსახლეობის წევრები კმაყოფილი დარჩა იმ ფაქტით, რომ კვლევებში ჩართული იყო საერთაშორისო დონის უცხოელი ექსპერტები, რომელთა გამოქვეყნებული ანგარიშები კითხვით ნიშნებს არ ტოვებს. აქედან გამომდინარე ადგილობრივმა საზოგადოებამ, ღიად გამოხატეს პროექტის მიმართ მხარდაჭერა.

კვლევების გაცნობის შემდეგ, ადგილობრივები ძირითად დაინტერესებული იყვნენ, რა სარგებელს მიიღებდა სოფელი და რამდენი ადამიანი იქნებოდა დასაქმებული კომპანიის მხრიდან. ასევე მსჯელობის საგანი გახდა და აზრთა სხვადასხვაობა იყო სოციალურ პროექტებზე, რომელიც უნდა განახორცილოს CCEH-მა, მშენებლობის დაწყების შემდეგ, მთისპირის თემში.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე კომპანიის წარმომადგენლებმა, ადგილობრივ მაცხოვრებლებს შესთავაზეს შემდეგი გამოსავალი. საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი, კარდაკარ ჩამოვლის პრინციპით, ესტუმრება მთისპირის თემში შემავალ ყველა ოჯახს და შექმნის მონაცემთა ბაზას, ადგილობრივების სამუშაო გამოცდილების და უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. შეგროვებული ინფორმაციის ხარჯზე, კომპანიას ექნება დაზუსტებული პასუხი თუ რა რესურსი არსებობს და რამდენი, ადგილობრივი ადამიანის დასაქმებას შეძლებს, ჰქვას მშენებლობისა და ოპერირების ფაზაზე. ბაზის შექმნის პარალელურად, კომპანიის წარმომადგენელი გააცნობს, სოციალურ პროექტების ჩამონათვალს და სურვილის შემთხვევაში გააფორმებს მემორანდუმს ადგილობრივ მოსახლეობასთან, რის საფუძველზეც კომპანია აიღებს ვალდებულებას ჰქვას მშენებლობის პარალელურად, განახორცილოს მემორანდუმით შეთანხმებული ყველა სოციალური პროექტი.

შეხვედრაზე ადგილობრივმა თემურ მჟავანამემ, სოციალური პროექტების ჭრილში, წამოაყენა შემდეგი იდეა, კარგი იქნება და მოსახლეობას საქმეს გაუადვილებს, თუ საპროექტო გზასთან ერთად, მთისპირი - ფოქვას მიმართულებით მოეწყობა საფეხმავლო ბილიკი, რომელსაც აქტიურად გამოიყენებს ადგილობრივი მწყემსები და მაცხოვრებლები ცხოველების სამოვრებზე გადასარეკად.

შეჯამება

მთლიანობაში, კონსტრუქციული და ინფორმაციული შეხვედრა იყო. ადგილობრივი მოსახლეობა კმაყოფილი დარჩა კვლევების შედეგებით, მაღლობა გადაუხადეს კომპანიის წარმომადგენლებს მიწოდებული ინფორმაციისთვის და იმედი გამოთქვეს, რომ კომპანია დროულად მოიპოვებს შესაბამის ნებართვებს.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	დაცული იქნება თუ არა უსაფრთხოების ზომები გზის ისეთ მონაკვეთებზე და სადაც შეიძლება გადავარდეს ადამიანი ან საქონელი?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. კომპანია აუცილებლად შეისწავლის სპეციალისტების ჩართულობით ამ საკითხს და მსგავსი ტიპის მონაკვეთებზე უზრუნველყოფს შემაკავებელი ღირებულების გატარებას.
2	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	რა სარგებელს მიიღებს ადგილობრივი მოსახლეობა.	პასუხობს დავით მიქელაძე. პირველ რიგში ეს იქნება ადგილობრივების დასაქმება. მშენებლობის პროცესში, დაახლოებით 100 ადამიანი და ჰესის ოპერირების დროს 15-20 ადამიანი დასაქმდება. ასევე კომპანია გეგმავს გაუწიოს დახმარება, მთისპირის სკოლის, კურსდამთავრებულებს, რომლებიც სწავლას, ჰიდროენერგეტიკის, გარემოსდაცვის და ინჟინერიის მიმართულებით გააგრძელებენ.
3	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	ადგილობრივებს თუ ექნება დაწესებული ტარიფები ელ. ენერგიაზე ?	პასუხობს ვალერი ხაჩიძე. საქართველოს კანონმდებლობით ჰესების მიერ გამოიმუშავებული ენერგიის ჩართვა უნდა მოხდეს საქართველოს საერთო სისტემაში და საიდანაც ხდება გადანაწილება მთელი ქვეყნის მაშტაბით წინასწარ დადგენილი ტარიფებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა დეველოპერი კომპანიის უფლებამოსილებაში არ შედის.
4	ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი	კომენტარი. ბახვი 3-ის მშენებლობის დროს მუშა ხელი ჩამოყვანილი იყო სხვადასხვა რეგიონებიდან, იმედია თქვენც ეგრე არ მოიქცევით.	პასუხობს დავით მიქელაძე. ჩვენი კომპანიას აუცილებლად უზრუნველყოფს, რომ დასაქმებულების უმრავლესობა იყოს ადგილობრივი თემის წარმომადგენლები, როგორც მშენებლობის ასევე ჰესის ოპერირების დროს.
5	ადგილობრივი მოსახლეობის	თქვენ ააშენეთ ბახვი 3 ჰესი?	პასუხობს დავით მიქელაძე.

	წარმომადგენელი		ბაზვი 3 ჰესის მშენებლობასთან CCEH-ი კავშირში არ არის, კომპანიამ წილი ბაზვი 3-ში შეიძინა აშენების შემდეგ.
--	----------------	--	--

შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 24

მრჩეველთა საბჭოს შეხვედრა უცხოელ ექსპერტებთან
ოზურგეთი, CCEH-ის ოფისი
2021 წლის 20 ნოემბერი

შეხვედრის მონაწილეები

CCEH-ის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • მიხეილ ნიბლაძე, CCEH-ის დირექტორი • ნანა ბერძენიშვილი, CCEH-ის ESG მენეჯერი • დავით მიქელაძე, ბაზვი 1 ჰესის ESG მენეჯერი • გიგლა სიხარულიძე - პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელი • ვალერი ხაჩიძე, პროექტის მენეჯერის მოადგილე • კახი მენაბდე, საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი • ნოდარ თხელიძე, გარემოს დაცვის ოფიცერი
მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> • ასათიანი ნუგზარ • ბერძენიშვილი ნინო • გურიელიძე ქრისტი • მენაბდე ლადო • ონიანი თამარ • ჟღენტი დავით • ჩავლეიშვილი მაია • ჭანუყვამე თემურ

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა შედგა CCEH-ის ინიციატივით, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო პროექტის გზშ-ს ანგარიშის მომზადების ფარგლებში დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების, ასევე კლიმატის და კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შედეგები.

დამსწრეებს მიესალმა CCEH-ის დირექტორი, ბ-ნი მიხეილ ნიბლაძე, რომელმაც ხაზი გაუსვა ადგილობრივი მოსახლეობასთან სწორ კომუნიკაციას და კონსტრუქციულ რეჟიმში თანამშრომლობას, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგიც აღნიშნული კვლევებია, ასევე ამ პროცესში საბჭოს წევრების ჩართულობას და ნაყოფიერი მუშაობის მნიშვნელობას.

პროექტის ფარგლებში ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის SLR consulting-ის ლონდონის ოფისის მიერ, კვლევებს და ანგარიშის მზადების პროცესს წარმართავდა -ნიკოლა ფოლკსი.

კლიმატის ცვლილების და კუმულაციური ზემოქმედების კვლევა კი განხორციელდა საკონსულტაციო კომპანია Alpage-ს მიერ, კერძოდ კი ბ-ნ პიერ ბიდერმანის მიერ.

ძირითადი შედეგები:

ბიომრავალფეროვნება -

ტერიტორიაზე წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობები, მათ შორის:

- კავკასიური სალამანდრა (IUCN ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა)
- მურა დათვის ნაკვალევი (ფოტო ხაფანგის სურათები)
- მდინარეში დაფიქსირდა მხოლოდ კალმახი
- პროექტი მდებარეობს აჭარა-იმერეთის ქედზე (IBA / KBA)
- მიმდინარეობს გურიის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოები, პარკის ტერიტორია შეიძლება გადაიკვეთოს საპროექტო ტერიტორიასთან
- კავკასიური გველგესლა არსებობის შემთხვევაში, წარმოქმნიდა კრიტიკულ ჰაბიტატს
- სხვა კრიტიკული ჰაბიტატი არ არის წარმოდგენილი

საპროექტო არეალში დაფიქსირებული ერთადერთი თევზის სახეობა არის კალმახი *Salmo trutta*, აღნიშნული სახეობა არ მოექცევა პროექტის მხრიდან მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- მცირე წყალმიმღების აუზს შეიძლება ჰქონდეს დადებითი სარგებელი ამ სახეობისთვის ზამთრის პერიოდში
- ბახვი 1 ჰესს ექნება თევზსავალი, სასურველია ბუნებრივი თევზსავალი
- განხორციელდება მდინარის კალაპოტის მართვა, რაც ხელს შეუწყობს მდინარეში კალმახის გადაადგილებას
- ეკოლოგიური ხარჯი (0.29 მ³/წმ) იქნება საკმარისი კალმახის პოპულაციის და მდინარეში არსებული სხვა ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად
- ბახვის 1 წყალმიმღებზე გამოყენებული იქნება თევზამრიდი, რათა თავიდან აიცილოს თევზის მოხვედრა ტურბინაში

ყველა სხვა სახეობისა და ჰაბიტატისთვის, პროექტი ასევე გამოიყენებს შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიას:

მთავარი ზომა არის ზემოქმედების თავიდან არიდება - მაგალითად:

- ინდუსტრიაში დამკვიდრებული წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება
- ქვეწარმავლებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო

- ფრინველებისა და ღამურების გამრავლების პერიოდში ხეების მოჭრის აკრძალვა

ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა – მაგალითად:

- რეპტილიებისთვის 10 საარსებო გარემოს შექმნა
- ღამურებისთვის 40 ბუდის მოწყობა
- ფრინველებისთვის 20 ბუდის მოწყობა
- დროებითი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უბნების აღდგენა

საკომპენსაციო ქმედებები, მაგალითად:

- ხეების დარგვა (20 ჰა)
- კავკასიური სალამანდრასთვის მინიმუმ 8 ტბორის ჰაბიტატის მოწყობა
- გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიები, შეესაბამება IFC-ისა და EIB-ის სტანდარტებს
- შემუშავებულ იქნა ბიომრავალფეროვნების მართვის ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ეფუძნება ბიომრავალფეროვნების ზემოქმედების შესწავლას
- ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში მოცემულია თითოეულ სახეობაზე და ჰაბიტატზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები
- ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში აღწერილი შემარბილებელი ღონისძიებები უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპს (no net loss)
- საკომპენსაციო ღონისძიებები ასევე განხორციელდება ტყისა და კავკასიური სალამანდრას გამრავლების უზრუნველსაყოფად (net gain)
- თუ პროექტი განხორციელებს ყველა შემოთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებას, ბახვი 1 ჰესის პროექტს არ ექნება ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება

კლიმატზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ძირითადი დასკვნები:

- ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირების პროცესს, არ ექნება გაზომვადი ან მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბახმაროს მაკრო ან მიკროკლიმატზე, და არც მდინარე ბახვისწყლის წყალშემკრებ აუზზე
- ბახმარო და მდინარე ბახვისწყლის აუზი არის და მომავალშიც იქნება კლიმატის გლობალური ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ, და ეს პროცესი მიმდინარეობს ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურისგან დამოუკიდებლად. კლიმატის გლობალური ცვლილებება ზოგადად მოახდენს ზემოქმედებას ადგილობრივ ეკოსისტემებზე

- იქედან გამომდინარე, რომ მაკრო და მიკროკლიმატზე ბაზვი 1 ჰესის მიერ რაიმე სახის და მით უმეტეს მნიშვნელოვანი, უარყოფითი ზემოქმედება არ დასტურდება, პროექტს არ ესაჭიროება რაიმე სახის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება კლიმატის საკითხთან მიმართებაში

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებები:

ნაკადულის კალმახი

- კუმულაციური ზემოქმედება თევზზე შემოიფარგლება მხოლოდ ნაკადულის კალმახით (კალმახი არის ერთადერთი სახეობა, რომელიც პოტენციურად იმყოფება მდინარე ბახვისწყლის ზემო აუზში, წყლის ტემპერატურის გამო). ცნობილია, რომ კალმახი გვხვდება ბახვის 3 ჰესის ქვედა და ზედა კალაპოტში, რადგან კალმახი ამჟამად იყენებს ბაზვი 3 თევზსავალს

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება არის მიზანშეწონილი:

- ბახვისწყლისათვის ეკოლოგიური უწყვეტობის აღდგენის გეგმის შემუშავება
- მდინარე ბახვისწყალზე კალაპოტში არსებული ბუნებრივი ბარიერების მენეჯმენტი და მათი მოხსნა საჭიროების შემთხვევაში
- მდინარე ბახვისწყალზე კალმახისთვის რთული მონაკვეთების მართვის უზრუნველყოფა
- მდინარე ბახვისწყალზე და თევზზე დაკვირვების პროგრამის / მონიტორინგის უზრუნველყოფა
- განხორციელებადობის შემთხვევაში ნატურალიზირებული თევზსავალის აშენება (თუმცა დამოკიდებულია ტექნიკურ პარამეტრებზე)

ტყის საფარი

- ტყის აღდგენის გეგმა ბაზვი 1-ის პროექტისათვის
- ტყის განაშენიანების პროგრამის განხორციელება, რათა მოხდეს გაჩეხილ ტყის მინიმუმ პროპორციული და უფრო დიდი ტერიტორიის განაშენიანება
- ბიომრავალფეროვნების შეუფერხებელი განვითარების უზრუნველყოფა ტყის განაშენიანების პროგრამის მეშვეობით

სახელმწიფო ელექტროსისტემასთან თანამშრომლობა

- სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე) თანამშრომლობა, ოზურგეთი-ზოტის გადამცემი ხაზის და ბაზვი 1 ჰესის მიერთების ფარგლებში, ლანდშაფტზე ზემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით

- სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე) თანამშრომლობა - ბაზვი 1-ს შეუძლია შესთავაზოს სსე-ს ახლად განთავსებული ანძების ტერიტორიაზე ეროზიული პროცესების მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება
- ბაზვი 1-ის პროექტის ფარგლებში წარმოქნილი ვიზუალური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა

პროექტთან ასოცირებული ტრანსპორტის მართვა

- ტრანსპორტის მართვის გეგმის შემუშავება ბაზვი 1-ის მშენებლობის და ოპერირების პროცესში
- ახალი გზების გაყვანისგან თავის შეკავება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება
- უპირატესობის მინიჭება უკვე არსებულ გზებისათვის
- გზებზე შესაბამისი ნიშნების დამონტაჟება და წესების ზედმიწევნით დაცვა, რათა საფრთხეები მაქსიმალურად თავიდან იყოს არიდებული
- პროექტის მიერ გამოყენებულ გზებზე სატრანსპორტო ნაკადის ეფექტური მართვა
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაბამისი მონაკვეთებისათვის პირველადი სახის დაბრუნება

ნარჩენების მართვა

- ბაზმაროდან მდინარე ბაზვისწყალში მოხვედრილი მყარი ნარჩენების შეგროვება და ნარჩენების შესაბამისი მართვა ბაზვი 1-ის სათავე ნაგობობის მიმდებარე პერიმეტრზე

- შეხვედრის დროს გაუღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	პასუხი
1	ნუგზარ ასათიანი, მრჩეველთა საბჭოს წევრი, გაზეთი „ალიონი“ და ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოება „ქორბუდე“	გააუღერა Civic Guria-ს მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში გაუღერებული კრიტიკა, კერძოდ რამდენად ვალიდურია ნიკოლა ფოლკსის მიერ წარმოებული კვლევა და ხომ არ არის ეს უზრალოდ გამას მიერ მომზადებული კვლევის დუბლირება.	ნიკოლა ფოლკსი - აღნიშნულ ტერიტორიას საკმაოდ კარგად ვიცნობ, ჯერ კიდევ ბაზვი -1 ის პროექტამდე, 2017 წლიდან სსე-ს პროექტის ფარგლებში მომიწია ამ ტერიტორიაზე კვლევების განხორციელება. გარდა ამისა 2021 წლის ივნისში გერგილთან ერთად პირადად მივიღე მონაწილეობა განხორციელებულ დეტალურ საველე კვლევებში. ცალკე გერგილის სპეციალისტების მიერ განხორციელდა კვლევები 2021 წლის მაისი - ივლისის პერიოდში. ასევე, გავეცანი გამა კონსალტინგის მიერ მომზადებულ წინარე ანგარიშს, როგორც ჩემი სამაგიდე კვლევის

			<p>ნაწილს, ასევე გავცენი ბაზვი 3 ჰესის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და ინფორმაციას, ვესაუბრე ბაზვი 3-ის ბიომრავალფეროვნების სპეციალისტს, ასევე შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას, ვინც იცნობს აღნიშნულ ხეობას და ეწევა ნადირობას ან თევზაობას. ასევე შევისწავლე KBA/IBA-სთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა და გავაკეთე ანალიზი. ასე რომ დიახ გამას ანგარიშს გავცენი, თუმცა არანაირად ის არ ყოფილა ჩემი კვლევის ერთადერთი დასაყრდენი.</p>
2	ნუგზარ ასათიანი	<p>პროექტის ფარგლებში რა ბედი ეწევა ისეთ მნიშვნელოვან ჰაბიტატს როგორც ჭალის ტყეა და ზოგიერთი ცნობით დაგეგმილია 12 ჰა ტყის გაჩეხვა.</p>	<p>ნიკოლა ფოლკსი - ჩვენი შეფასებით ჯამურად მოსალოდნელია 9 ჰა-მდე ტყის გაჩეხვა, რომელიც კიდევ დაზუსტდება მშენებლობის წინ. ჰაბიტატზე ზიანის შესამცირებლად გამოყენებული იქნება შემდეგი მიდგომები - მხოლოდ საჭირო ხეების მოჭრა, რეაბილიტაცია და დარგვა. კერძოდ - არსებული დეგრადირებული ჰაბიტატების გამოყენება რეაბილიტაცია. განაშენიანება სათავე ნაგებობის მიღმა. ტყის ზოლის აწევა კლიმატის ცვლილების ფონზე.</p> <p>პროექტის ტექნიკურმა ხელმძღვანელმა გიგლა სიხარულიძემ ბ-ნ ნუგზარს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო განახლებული პროექტი, რომელიც ცილდება ჭალის ტყეებს და მცირდება როგორც მოსაჭრელი ხეების მოცულობა, ასევე ასათვისებელი ჭალის ტყეების არეალი.</p>
3	თემურ ჭანუყვამე, მრჩეველთა საბჭოს წევრი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	<p>რა ტიპის თევზამრიდების გამოყენება მოხდება?</p>	<p>პიერ ბიდერმანმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო საფრანგეთში, ერთ-ერთი ეროვნულ პარკში არსებულ მცირე ჰესზე მოწყობილი თევზამრიდი რკინის ცხაურებით, რომელიც იცავს თევზს მილსადენში მოხვედრისგან და ამისამართებს თევზასავალისკენ, რათა უსაფრთხოდ დაუბრუნდეს სათავე ნაგებობის ქვედა ბიეფს.</p>
4	ლადო მენაბდე, მრჩეველთა საბჭოს წევრი, გაზეთი „გურიის მოამბე“	<p>კითხვა სალამანდრის არსებობას და რისკებს პროექტის სამშენებლო ფაზაზე</p>	<p>ნიკოლა ფოლკსი - საველე კვლევების დროს არ დაფიქსირებულა კავკასიური გველგესლა, მაგრამ რამდენადაც საპროექტო ტერიტორია პოტენციური ჰაბიტატებს მოიცავს მოეწყობა ქვეწარმავლებისგან თავისუფალი არეალი და სალამანდრისათვის მოეწყობა საბინადრო ტბორები, ასევე ნაყარი ქვისგან და მიწისგან</p>

			მოწყობა ქვეწარმავლების საბინადრო - თავშესაფრები.
5	გიორგი გირკელიძე, მედია პორტალი „გურია ნიუსი“	თუ გეგმავთ პროექტის მოწინააღმდეგე არასამთავრობოებთან შეხვედრას და მათთვის ინფორმაციის გაზიარებას?	CCEH-მა გასცა პასუხი რომ კომპანია იჩენს მაქსიმალურ ღიაობას და გამჭვირვალობას, აწყობს საჯარო შეხვედრებს და იწვევს ყველა დაინტერესებულ მხარეს. ინფორმაცია ასევე ზიარდება ადგილობრივ მედია საშუალებებში.
6	მაია ჩავლეიშვილი, მრჩეველთა საბჭოს წევრი, მთისპირის თემში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი	ადამიანთა გარკვეული ჯგუფი ამბობს რომ მდინარის 3 ჰესში გატარების შემდეგ მდინარე გაქრება.	პიერ ბიდერმანმა უპასუხა რომ ამ შემთხვევაში აუცილებელია თითოეული ჰესის მიერ მოხდეს აუცილებელი ეკოლოგიური ხარჯის დატოვება, რაც უზრუნველყოფს მდინარეში სიცოცხლის და თევზის არსებობას. ასევე გასათვალისწინებელია წყალუხვობის პერიოდებიც, რაც ხელს შეუწყობს მდინარეში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას. ასევე აღნიშნა სხვა გამოწვევები რაც მდინარეში ისედაც არსებობს, მაგალითად დიდი ლოდები, რომელიც ხერგავს მდინარის კალაპოტს რამოდენიმე ადგილას და არ აძლევს თევზს გადაადგილების საშუალებას. ადგილობრივების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მდინარეში თევზი ისედაც მცირე ოდენობით არის წარმოდგენილი.
7	თამო ონიანი, მრჩეველთა საბჭოს წევრი, ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი	თუ არის შესაძლებელი ბახმაროს კლიმატის შედარება მსგავს ევროპულ კურორტთან ხომ არ მოახდინა იქ არსებულმა ჰესმა გავლენა?	პიერ ბიდერმანმა აღნიშნა რომ თავადაც საფრანგეთის ალპებში ცხოვრობს. ბოლო 30 წელიწადში განხორციელდა ბევრი კვლევა, შეიქმნა რეგულაციები ჰესების მართვასთან დაკავშირებით. მეცნიერული დასაბუთება არის ის რომ მცირე ზომის ჰესებს არა აქვთ გავლენა კლიმატზე. ამ ლოგიკით თუკი მასშტაბებს შევადარებთ (ბახვი 1 ჰესის აუზი 2300 კვ. მ იქნება), მაშინ საცურაო აუზების ან საკალმახეების მხრიდანაც უნდა გვქონდეს კლიმატზე გავლენა (ცნობისთვის მოქმედი საკალმახეები არსებობს როგორც ჩხაკურაში, ასევე ქვბლაში - ბახმაროსთან არსებული სოფლები).

- შეხვედრის ფოტო მასალა



შეხვედრის ოქმი # 25

უცხოელი ექსპერტების შეხვედრა ადგილობრივ საზოგადოებასთან - ბახვი 1 ჰესის პროექტის ბიომრავალფეროვნების, კუმულაციური და კლიმატზე შესაძლო ზემოქმედების ანგარიშების გაცნობა

ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრი
2021 წლის 20 ნოემბერი.

შეხვედრის მონაწილეები

შეხვედრას დაესწრო 70-მდე ადამიანი, მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალარჩეული მერი, ოზურგეთის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების თვითმართვებულობების წარმომადგენლები, ბახვი 1 ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრები, ადგილობრივი მოსახლეობა (ბახმარო, მთისპირი, უკანავა, ვანისქედი და ოქროსქედი), არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები.

შეხვედრის მიმოხილვა

შეხვედრა გახსნა CCEH-ის დირექტორი, ბ-ნი მიხეილ ნიბლაძე რომელმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნო ინფორმაცია პროექტის შესახებ ზოგადად, ასევე პროექტის გზშ-ს ანგარიშის მომზადების ფარგლებში დამოუკიდებელი კონსულტანტების მიერ მომზადებული ბიომრავალფეროვნების, კლიმატის და კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შედეგები. მან ასევე თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ადგილობრივ მოსახლეობასთან სწორ კომუნიკაციას და კონსტრუქციულ რეჟიმში თანამშრომლობას, რისი ერთ ერთი მნიშვნელოვანი შედეგიც აღნიშნული კვლევებია, ამასთანავე აღინიშნა ის სოციალური პროექტები რომლებიც უკვე განახორციელა კომპანიამ და ასევე ის აქტივობებიც რომლებიც მიმდინარეობს ან დაგეგმვის ფაზაზეა - თანამშრომლობა USAID-ის ეკონომიკური და ენერგეტიკული უსაფრთხოების პროგრამებთან და ა.შ.

შეხვედრას ფასილიტაცია გაუწია ბახვი 1 ჰესის ESG მენეჯერმა ბატონმა დავით მიქელაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში მოკლედ მიმოიხილა აღნიშნული კვლევების წინაპირობა, ექსპერტების კვალიფიკაცია და გამოცდილება და ის ფაქტიც რომ ფაქტიურად პირველად ხდება საქართველოში ის რომ შეიქმნა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისგან დაკომპლექტებული მრჩეველთა საბჭო, რომელიც კომპეტენტურ რჩევებს აძლევს ჰესის დეველოპერ კომპანიას.

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ბატონმა ნუგზარ ასათიანმა, რომელმაც მოკლე შესავალი მიუძღვნა გურიაში მცირე ჰესების ისტორიას 1930 წლებიდან დღემდე, ასევე გააცნო დამსწრეებს საბჭოს მუშაობის პრინციპები და შედეგები, ხაზი გაუსვა იმას რომ მისი წარსული გამოცდილების საპირისპიროდ განვითარებულმა მოვლენებმა - კონსტრუქციული თანამშრომლობა დაპირისპირების ნაცვლად, ღიაობა, საბჭოს მოსაზრებების გათვალისწინება,

სოციალური პროექტები, კომპანიის მიერ უკვე დასრულებული და მიმდინარე ჰესების მონახულებამ და კომპანიის ხელწერის გაცნობამ დაარწმუნა ის რომ ბახვი 1 სწორად აშენების შემთხვევაში არ გახდება გარემოზე დიდი მასშტაბების უარყოფითი ზემოქმედების მომატანი.

ექსპერტების ანგარიშები

პროექტის ფარგლებში ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასება განხორციელდა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის SLR consulting-ის ლონდონის ოფისის მიერ, კვლევებს და ანგარიშის მზადების პროცესს წარმართავდა ნიკოლა ფოლკსი.

კლიმატის ცვლილების და კუმულაციური ზემოქმედების კვლევა კი განხორციელდა საკონსულტაციო კომპანია Alpage-ს მიერ, კერძოდ კი ბ-ნ პიერ ბიდერმანის მიერ.

ძირითადი შედეგები:

ბიომრავალფეროვნება -

ტერიტორიაზე წარმოდგენილია სხვადასხვა სახეობები, მათ შორის:

- კავკასიური სალამანდრა (IUCN ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი და საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობა)
- მურა დათვის ნაკვალევი (ფოტო ხაფანგის სურათები)
- მდინარეში დაფიქსირდა მხოლოდ კალმახი
- პროექტი მდებარეობს აჭარა-იმერეთის ქედზე (IBA / KBA)
- მიმდინარეობს გურიის ეროვნული პარკის შექმნასთან დაკავშირებული სამუშაოები, პარკის ტერიტორია შეიძლება გადაიკვეთოს საპროექტო ტერიტორიასთან
- კავკასიური გველგესლა არსებობის შემთხვევაში, წარმოქმნიდა კრიტიკულ ჰაბიტატს
- სხვა კრიტიკული ჰაბიტატი არ არის წარმოდგენილი

საპროექტო არეალში დაფიქსირებული ერთადერთი თევზის სახეობა არის კალმახი *Salmo trutta*, აღნიშნული სახეობა არ მოექცევა პროექტის მხრიდან მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- მცირე წყალმიმღების აუზს შეიძლება ჰქონდეს დადებითი სარგებელი ამ სახეობისთვის ზამთრის პერიოდში
- ბახვი 1 ჰესს ექნება თევზსავალი, სასურველია ბუნებრივი თევზსავალი
- განხორციელდება მდინარის კალაპოტის მართვა, რაც ხელს შეუწყობს მდინარეში კალმახის გადაადგილებას
- ეკოლოგიური ხარჯი (0.29 მ³/წმ) იქნება საკმარისი კალმახის პოპულაციის და მდინარეში არსებული სხვა ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად
- ბახვის 1 წყალმიმღებზე გამოყენებული იქნება თევზამრიდი, რათა თავიდან აიცილოს თევზის მოხვედრა ტურბინაში

ყველა სხვა სახეობისა და ჰაბიტატისთვის, პროექტი ასევე გამოიყენებს შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიას:

მთავარი ზომა არის ზემოქმედების თავიდან არიდება - მაგალითად:

- ინდუსტრიაში დამკვიდრებული წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება
- ქვეწარმავლებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო
- ფრინველებისა და ღამურების გამრავლების პერიოდში ხეების მოჭრის აკრძალვა

ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა – მაგალითად:

- რეპტილიებისთვის 10 საარსებო გარემოს შექმნა
- ღამურებისთვის 40 ბუდის მოწყობა
- ფრინველებისთვის 20 ბუდის მოწყობა
- დროებითი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უბნების აღდგენა

საკომპენსაციო ქმედებები, მაგალითად:

- ხეების დარგვა (20 ჰა)
- კავკასიური სალამანდრასთვის მინიმუმ 8 ტბორის ჰაბიტატის მოწყობა
- გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიები, შეესაბამება IFC-ისა და EIB-ის სტანდარტებს
- შემუშავებულ იქნა ბიომრავალფეროვნების მართვის ყოვლისმომცველი გეგმა, რომელიც ეფუძნება ბიომრავალფეროვნების ზემოქმედების შესწავლას
- ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში მოცემულია თითოეულ სახეობაზე და ჰაბიტატზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები
- ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში აღწერილი შემარბილებელი ღონისძიებები უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპს (no net loss)
- საკომპენსაციო ღონისძიებები ასევე განხორციელდება ტყისა და კავკასიური სალამანდრას გამრავლების უზრუნველსაყოფად (net gain)
- თუ პროექტი განახორციელებს ყველა შემოთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებას, ბახვი 1 ჰესის პროექტს არ ექნება ბიომრავალფეროვნებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება

კლიმატზე ზემოქმედების შეფასების ანაგარიშის ძირითადი დასკვნები:

- ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ოპერირების პროცესს, არ ექნება გაზომვადი ან მნიშვნელოვანი ზემოქმედება ბაზმაროს მაკრო ან მიკროკლიმატზე, და არც მდინარე ბახვისწყლის წყალშემკრებ აუზზე

- ბახმარო და მდინარე ბახვისწყლის აუზი არის და მომავალშიც იქნება კლიმატის გლობალური ცვლილებების ზემოქმედების ქვეშ, და ეს პროცესი მიმდინარეობს ბახვი 1 ჰიდორექტოსადგურისგან დამოუკიდებლად. კლიმატის გლობალური ცვლილებება ზოგადად მოახდენს ზემოქმედებას ადგილობრივ ეკოსისტემებზე
- იქედან გამომდინარე, რომ მაკრო და მიკროკლიმატზე ბახვი 1 ჰესის მიერ რაიმე სახის და მით უმეტეს მნიშვნელოვანი, უარყოფითი ზემოქმედება არ დასტურდება, პროექტს არ ესაჭიროება რაიმე სახის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება კლიმატის საკითხთან მიმართებაში

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შემარბილებელი ღონისძიებები:

ნაკადულის კალმახი

- კუმულაციური ზემოქმედება თევზზე შემოიფარგლება მხოლოდ ნაკადულის კალმახით (კალმახი არის ერთადერთი სახეობა, რომელიც პოტენციურად იმყოფება მდინარე ბახვისწყლის ზემო აუზში, წყლის ტემპერატურის გამო). ცნობილია, რომ კალმახი გვხვდება ბახვის 3 ჰესის ქვედა და ზედა კალაპოტში, რადგან კალმახი ამჟამად იყენებს ბახვი 3 თევზსავალს

არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება არის მიზანშეწონილი:

- ბახვისწყლისათვის ეკოლოგიური უწყვეტობის აღდგენის გეგმის შემუშავება
- მდინარე ბახვისწყალზე კალაპოტში არსებული ბუნებრივი ბარიერების მენეჯმენტი და მათი მოხსნა საჭიროების შემთხვევაში
- მდინარე ბახვისწყალზე კალმახისთვის რთული მონაკვეთების მართვის უზრუნველყოფა
- მდინარე ბახვისწყალზე და თევზზე დაკვირვების პროგრამის / მონიტორინგის უზრუნველყოფა
- განხორციელებადობის შემთხვევაში ნატურალიზირებული თევზსავალის აშენება, (თუმცა დამოკიდებულია ტექნიკურ პარამეტრებზე)

ტყის საფარი

- ტყის აღდგენის გეგმა ბახვი 1-ის პროექტისათვის
- ტყის განაშენიანების პროგრამის განხორციელება, რათა მოხდეს გაჩეხილ ტყის მინიმუმ პროპორტიციული და უფრო დიდი ტერიტორიის განაშენიანება
- ბიომრავალფეროვნების შეუფერხებელი განვითარების უზრუნველყოფა ტყის განაშენიანების პროგრამის მეშვეობით

სახელმწიფო ელექტრო სისტემასთან თანამშრომლობა

- სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე) თანამშრომლობა, ოზურგეთი-ზოტის გადამცემი ხაზის და ბაზვი 1 მიერთების ფარგლებში, ლანდშაფტზე ზემოქმედების საკითხებთან დაკავშირებით
- სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე) თანამშრომლობა - ბაზვი 1-ს შეუძლია შესთავაზოს სსე-ს ახლად განთავსებული ანძების ტერიტორიაზე ეროზიული პროცესების მონიტორინგი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება
- ბაზვი 1-ის პროექტის ფარგლებში წარმოქნილი ვიზუალური ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა

პროექტთან ასოცირებული ტრანსპორტის მართვა

- ტრანსპორტის მართვის გეგმის შემუშავება ბაზვი 1-ის მშენებლობის და ოპერირების პროცესში
- ახალი გზების გაყვანისგან თავის შეკავება, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება
- უპირატესობის მინიჭება უკვე არსებულ გზებისათვის
- გზებზე შესაბამისი ნიშნების დამონტაჟება და წესების ზედმიწევნით დაცვა, რათა საფრთხეები მაქსიმალურად თავიდან იყოს არიდებული
- პროექტის მიერ გამოყენებულ გზებზე სატრანსპორტო ნაკადის ეფექტური მართვა
- სამუშაოების დასრულების შემდეგ შესაბამისი მონაკვეთებისათვის პირველადი სახის დაბრუნება

ნარჩენების მართვა

- ბაზმაროდან მდინარე ბაზვისწყალში მოხვედრილი მყარი ნარჩენების შეგროვება და ნარჩენების შესაბამისი მართვა ბაზვი 1-ის სათავე ნაგობობის მიმდებარე პერიმეტრზე

შეხვედრის შეჯამება:

შეხვედრამ ჩაიარა კონსტრუქციულ რეჟიმში, შეხვედრის მონაწილეებმა გამოხატეს თავისი დაინტერესება პროექტის განხორციელების მიმართ, ასევე კმაყოფილება განხორციელებული აქტივობების და კვლევების მასშტაბებისადმი.

არასამთავრობო ორგანიზაცია ეკოს წარმომადგენელმა ქ-ნმა ირმა გორდელაძემ მადლობა გადაუხადა კომპანიას განხორციელებული კვლევების ჩატარების გამო და აღნიშნა რომ მის გამოცდილებაში პირველი ფაქტია და მიესალმება ღიაობას, თუმცა შეინარჩუნა კრიტიკული რიტორიკა და განაცხადა რომ პრეზენტაციიდან ვერ მიიღო სრული ინფორმაცია, ასევე განაცხადა რომ მიუხედავად იმისა რომ ის არ არის დარგის ექსპერტი და არ შეუძლია უარყოს ან დაადასტუროს უცხოელი ექსპერტების ნამუშევარს, მას მაინც არ ჯერა რომ სრულყოფილი კვლევა ჩატარდა.

შეხვედრის დროს გაჟღერებული კითხვები და პასუხები

#	კითხვის ავტორი	კითხვა	კითხვის პასუხი
1	გრიგოლ მახარაძე - დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი	დააფიქსირა პოზიცია რომ კომპანიას სთავაზობს დებატების რეჟიმში შეხვედრას საზოგადოებასთან	CCEH-ის დირექტორმა, ბ-მა მიხეილ ნიბლაძემ შეახსენა ბ-ნ მახარაძეს რომ რამდენჯერმე მიიწვიეს შეხვედრაზე მაგრამ არ მიუღია მონაწილეობა, ასევე დღევანდელი შეხვედრა იყო ფართო საზოგადოებისთვის და ყველა დაინტერესებული ჯგუფისთვის ღია.
2	საბა სირაძე - სოციალური საწარმო 3D სააქმრო	ვის მოხმარდება გამომუშავებული ელ. ენერგია - საქართველოს თუ ექსპორტზე გავა?	ბ-ნი მიხეილ ნიბლაძე - არსებული კანონმდებლობით და მოწყობით ენერგიის წარმომქმნელი ვერ წყვეტს ვის მიეწოდება ელ. ენერგია ,რადგანაც გამომუშავებული ენერგია მიდის საერთო ქსელში და დისტრიბუცია ანაწილებს, მაგრამ იმის გათვალისწინებით რომ მოთხოვნა იზრდება და დეფიციტი გვაქვს, დიდი ალბათობით გამომუშავებული იაფი ენერგია მოხმარდება საქართველოს ელექტროსისტემას.
3	ვახუშტი მენაბდე, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია	<ul style="list-style-type: none"> • სეზონურობის გათვალისწინებით მიღს გარეთ რა რაოდენობის წყალი რჩება ყველაზე დაბალი წყალუხვობის პერიოდში? • საშუალოდ რამდენი წყალი რჩება? • მაქსიმუმ რამდენი წყალი რჩება? • პროექტისთვის რამდენ ჰა მიწას იყენებთ? • შეიძინეთ ეს მიწები თუ იჯარით აიღეთ სახელმწიფოსგან? 	პროექტის ტექნიკური ხელმძღვანელი გიგლა სიხარულიძე - საერთაშორისო კომპანია AFRY-სთან თანამშრომლობით პროექტის ძირეულმა ცვლილებამ გამოიწვია ის რომ სათავის ქვემოთ რჩება მინიმუმ 290 ლ/წმ წყალში, რომელსაც ემატება 32 შენაკადის მოცულობა, ასევე წყალდიდობების დროს ზედმეტი წყალი გადაედინება სათავე ნაგებობაზე და მიდის კალაპოტში, რაც დადებითად აისახება ჰიდროლოგიურ რეჟიმზე - საერთო ჯამში წლიური ჩამონადენის 40% რჩება მდინარეში. ბ-ნი მიხეილ ნიბლაძე - ფართობი დაზუსტდება დეტალური პროექტის დასრულების შემდეგ, მიწები სავარაუდოდ იქნება იჯარის სახით.
4	ირმა გორდელაძე, არასამთავრობო	<ul style="list-style-type: none"> • პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ბაზვი 1 ჰესის პროექტის 	<ul style="list-style-type: none"> • ბ-ნ მა პიერმა განუმარტა რომ ხეობის ტოპოგრაფიის გათვალისწინებით და ზოგადად ბუნების პრინციპებით მცენარეული საფარი განსაზღვრავს მდინარის რეჟიმს და არა

<p>ორგანიზაცია ეკო</p>	<p>გუნდს რომ მისცეს შესაძლებლობა დასწრებოდა ღონისძიებას ონლაინ ფორმატში და დაესვა შეკითხვები, რადგანაც იმყოფებოდა თვითიზოლაციაში და ვერ მოახერხა ღონისძიებაზე დასწრება. ასევე, ხაზი გაუსვა CCEH-ის განსხვავებულ მიდგომას ღიად და გამჭვირვალედ წარმართოს საზოგადოებასთან ურთიერთობის პროცესი, და ის რომ მისი და მისი მეგობრების რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდა და მაგალითად შემცირდა ბაზვი 1 ჰესის შეგუბების ფართობი).</p> <ul style="list-style-type: none"> • მოსახლეობა დგას არჩევანის წინაშე და რომელ პროექტს უნდა დაუჭიროთ მხარე, გურიის ეროვნულ პარკს თუ ბაზვი 1 ჰესს? • 14 კილომეტრს მიღში რომ გაივლის წყალი რა ზემოქმედებას იქონიებს გარემოზე კერძოდ ბახმაროს 	<p>პირიქით, რადგან შეუძლებელია მდინარიდან 400-500 მეტრით მაღლა დაშორებული ტყე იკვებობოდეს მდინარიდან.</p> <ul style="list-style-type: none"> • კლიმატის ცვლილების შეფასება განახორციელა ბ-ნმა პიერ ბიდერმანმა და წარადგინა შესაბამისი შედეგები - შეტბორვის და სამუშაოების მასშტაბი იმდენად მცირეა რომ მისი შეფასება პრაქტიკულად შეუძლებელია და ევროკავშირში არც არსებობს მცირე ჰესებზე მსგავსი კვლევები ჩატარების აუცილებლობა. შესაბამისად ბაზვი 1 ჰესის მშენებლობა და ოპერირება არ და ვერ მოახდენს ზეგავლენას ადგილობრივ მიკრო-კლიმატზე (ამის აღიარება ქ-ნმა გორდელაძემ თავად მოახდინა მოგვიანებით). • ნიკოლა ფოლკსი - აღნიშნულ ტერიტორიას საკმაოდ კარგად ვიცნობ, ჯერ კიდევ ბაზვი -1 ის პროექტამდე, 2017 წლიდან სსე-ს პროექტის ფარგლებში მომიწია ამ ტერიტორიაზე კვლევების განხორციელება. გარდა ამისა 2021 წლის ივნისში გერგილთან ერთად პირადად მივიღე მონაწილეობა განხორციელებულ დეტალურ საველე კვლევებში. ცალკე გერგილის სპეციალისტების მიერ განხორციელდა კვლევები 2021 წლის მაისი - ივლისის პერიოდში. ასევე, გავეცანი გამა კონსალტინგის მიერ მომზადებულ წინარე ანგარიშს, როგორც ჩემი სამაგიდე კვლევის ნაწილს, ასევე გავეცანი ბაზვი 3 ჰესის მიერ მომზადებულ ანგარიშებს და ინფორმაციას, ვესაუბრე ბაზვი 3-ის ბიომრავალფეროვნების სპეციალისტს, ასევე შევხვდი ადგილობრივ მოსახლეობას, ვინც იცნობს აღნიშნულ ხეობას და ეწევა ნადირობას ან თევზაობას. ასევე შევისწავლე KBA/IBA-სთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურა და გავაკეთე ანალიზი.
----------------------------	--	--

		<p>ტყეებზე. რატომ არ იყო პრეზენტაციაში ნახსენები ?</p> <ul style="list-style-type: none"> • ბახმაროს კლიმატი გამოიკვლიეს და შეისწავლეს უცხოელმა ექსპერტებმა? • ბახმაროს და ზოგადად ბიომრავალფეროვნების კვლევას რამდენი ხანი დასჭირდა ექსპერტების მხრიდან? • <i>ქ-ნმა გორდელაძემ ასევე აღნიშნა რომ მისთვის საინტერესო შეკითხვებს წერილობითაც მიაწოდებდა კომპანიას, თუმცა 2021 წლის 9 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ მიუღია წერილობითი სახით რაიმე შეკითხვები.</i> 	
5	<p>მაია ჩავლეიშვილი, მრჩეველთა საბჭოს წევრი, მთისპირის თემში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი</p>	<p>აღნიშნა რომ არის ადგილობრივი, დაბადებულ-გაზრდილი მთისპირში. კარგად იცნობს ადგილობრივ ბუნებას და მას შემდეგ რაც თავისი თვალთ ნახა ის მაღალი სტანდარტები, რისი დაცვითაც კომპანიამ ააშენა ჰესი ლახამში და ამჟამად აშენებს</p>	

		<p>ახალქალაქში, დარწმუნებულია რომ ბაზვი 1 ჰესს არ ექნება ადგილობრივ ბუნებაზე ზიანი და შესაბამისად მხარს უჭერს პროექტს.</p>	
--	--	--	--

შეხვედრის ფოტო მასალა

